პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბ. საოლქო
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის
პროსპ. № 16 წინა სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 84, ტელეფონი № 8—81.
ხელისმოწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.
საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონის ტექსტის ბოლოში—1 მან., ტექსტის შიგნით — 2 მან.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებელი, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15. 20 და 25 მან. „კომუნისტი“-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

პარასკევი, 18 აპრილი 1930 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 88 (2736)

დღიური

— პოლონეთის მთავრობის პროტესტი გერმანიაში ბაჟების გადიდების წინააღმდეგ
— მასიური დემონსტრაციები ინდოეთის სამრეწველო ცენტრებში
— დმოვსკის წერილებმა დიდი აღშფოთება გამოიწვია პილსუდსკის მომხრეებში
— პოლონეთის გლეხთა პარტიების გაერთიანება
— ავსტრიის მუშები მასიურად შედიან კომპარტიაში
— გერმანიის რეიხსტაგის კომისიამ დაამტკიცა კრედიტები მეორე ჯავშნოსანის ასაგებად
— გაიხსნა საბჭოთა აპარატის გამწმენდ კომისიების წარმომადგენელთა საკავშირო თათბირი

„კომუნისტი“-ს რედაქცია გადავიდა
ახალ ბინაზე
რუსთაველის პროსპექტი № 16
ტელეფონები: რედაქტორის—14—76, მდივნის—10—58
მასიური მუშაობის განყოფილება—22—44.

ინგლის-საბჭოთა სავაჭრო შეთანხმება

სავაჭრო შეთანხმება საბჭოთა კავშირსა და ინგლისს შორის, რომელსაც გუშინ მოაწერეს ხელი ლონდონში, უაღრესად საგულისხმო ფაქტს წარმოადგენს. ეს ფაქტი ჩვენი ქვეყნის მშრომელთა ფართო ფენების ყურადღების ღირსია. 1924 წელს მაკდონალდის პირველმა მთავრობამ საბჭოთა კავშირთან დასდო სავაჭრო ხელშეკრულება და საერთო პოლიტიკური ხელშეკრულება, რომლებიც უნდა გადაქცეულიყვნენ უფლებრივ საფუძვლად ორივე ქვეყნის ურთიერთობისათვის. მაგრამ იმავე 1924 წლის დამლევს „მუშათა მთავრობამ“ ადგილი დაუთმო ბოლდუინისა და ჩემბერლენის კონსერვატიულ კაბინეტს; რომლის პირველი ნაბიჯი იყო მაკდონალდის მიერ დადებულ ხელშეკრულებათა რატიფიკაციაზე უარის თქმა. ამრიგად ეს ხელშეკრულებანი მკვდრადშობილნი გამოდგნენ. შემდეგ, ამ სამი წლის წინად, 1927 წლის 12 მაისს, თავდამსხმელმა მინისტრმა, მისტერ ხიქსმა მოაწყო თავისი პოლიციელების თავდასხმა ჩვენს სავაჭრო წარმომადგენლობაზე „არკოსზე“, რასაც მოჰყვა დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტა და ჯერ კიდევ 1921 წელს ხელმოწერილი დროებითი სავაჭრო შეთანხმების გაუქმება.

თითქმის სამმა წელმა განვლო ამ მომენტის შემდეგ. და აი დღეს ბრიტანეთის მთავრობა იძულებული ხდება კვლავ დაადგეს საბჭოთა კავშირთან შეთანხმების გზას. არ გამართლდა შუბლმაგართა მოლოდინი—წამოეხოქებია მშრომელთა სახელმწიფო და აძულებიით იგი მოეხდინა კაპიტულიაცია მსოფლიო იმპერიალიზმის ძალების წინაშე. ჩვენ არა თუ კერზონზე, არამედ ხიქსსა და ჩემბერლენზედაც უფრო მეტი სიმტკიცე გამოვიჩინეთ. აღმოჩნდა, რომ სოციალიზმის მშენებელ რევოლიუციონურ მუშათა და ღარიბ და საშუალო გლეხთა მასების რევოლიუციონური აღფრთოვანება ისეთი ძალაა, რომელსაც ანგარიში უნდა გაუწიოს ბრიტანეთის კაპიტალმა. აღმოჩნდა, რომ საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის ზრდა ჯიუტი ფაქტია, რომ ინგლისთან ურთიერთობის გაწყვეტამ ოდნავაც ვერ შეარყია ჩვენი სოციალისტური მრეწველობის ზრდა და რომ, პირიქით, ამ სამი წლის განმავლობაში ჩვენ მოწმენი ვიყავით საბჭოთა სახალხო მეურნეობის ზრდის ისეთი სწრაფი ტემპებისა, როგორიც ჯერ კიდევ არ უნახავს მსოფლიოს. მეორეს მხრივ გამოუვალი კრიზისი, რომელსაც მთელი კაპიტალისტური მსოფლიო განიცდის და რომელიც განსაკუთრებით მძიმე გავლენას ახდენს ინგლისის მრეწველობის მდგომარეობაზე, აიძულებს ინგლისის ბურჟუაზიას და მისი ინტერესების წარმომადგენელს, „მუშათა მთავრობას“, ერთხელ კიდევ „სცნონ“ საბჭოთა კავშირი და შეეცადონ მასთან შეთანხმების დადებას. უდიდესი მნიშვნელობის ფაქტორს, რომელიც ამ მიმართულებით მოქმედებს, წარმოადგენს ზეგავლენა ინგლისის მუშათა მასებისა, რომელნიც რამდენიმე წელიწადია უკვე დიდ გაჭირვებას განიცდიან უმუშევრობისაგან. უკანასკნელი არჩევნების დროს საბჭოთა კავშირთან დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენისა და ორივე ქვეყნის შორის ეკონომიურ ურთიერთობის გაფართოების ლოზუნგი ტყუილად არ იყო ყველაზე პოპულიარული საარჩევნო ლოზუნგი. ამ ლოზუნგმა თვალსაჩინოდ შეუწყო ხელი არჩევნებში მუშათა პარტიის გამარჯვებას.

ხელმოწერილი შეთანხმების შინაარსი საერთოდ შემდეგი ორი მომენტით განისაზღვრება. პირველი—თვითეული მხარე კისრულობს ვალდებულებას უდიდესი უპირატესობის პრინციპი შეუფარდოს მეორე მხარის საქონელს, მოქალაქეებს და სამეურნეო ორგანიზაციებს. მეორე შეთანხმება, იღებს რა მხედველობაში საბჭოთა კავშირში არსებულ საგარეო ვაჭრობის მონოპოლიას, უზრუნველჰყოფს სავაჭრო წარმომადგენლობის ხელმძღვანელთა და სავაჭრო წარმომადგენლობის სადგომის ექსტერიტორიალობის უფლებას. შეთანხმება სწორად განსაზღვრავს სავაჭრო წარმომადგენლობის პასუხისმგებლობის ფარგლებს. სავაჭრო წარმომადგენლობა კისრულობს სრულ პასუხისმგებლობას ყველა იმ გარიგებებისათვის, რომლებსაც იგი დიდი ბრიტანეთის ტერიტორიაზე დასდებს. ამავე დროს წესდება, რომ იმ გარიგებებისათვის, რომლებსაც სხვა სამეურნეო ორგანიზაციები დასდებენ, პასუხისმგებელნი არიან მხოლოდ სათანადო ორგანიზაციები. ამით წინდაწინვე აღკვეთილია შესაძლებლობა ისეთი ბოროტი, არაკეთილსინდისიერი „სამოსამართლო“ თავდასხმებისა, რომლებსაც თითქმის ყოველ დღე მიმართავენ საფრანგეთში ჩვენი სამეურნეო ორგანოების მიმართ. სავაჭრო შეთანხმების პრაქტიკული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ ხელშეკრულება მკაფიო უფლებრივ დასაყრდენს უქმნის ჩვენს ეკონომიურ ურთიერთობას დიდ ბრიტანეთთან. ასეთი დასაყრდენის საჭიროება განსაკუთრებით მკაფიოდ ისახება საფრანგეთში მომხდარი უკანასკნელი ამბების ფონზე. მაგრამ ლონდონში ხელმოწერილი აქტის აზრი და მნიშვნელობა ეკონომიური ურთიერთობათა სფეროთი არ ამოიწურება. ლონდონის შეთანხმება წარმოადგენს ჩვენი თანმიმდევარი და მტკიცე მშვიდობიანი პოლიტიკის უეჭველად დიდ მიღწევას.

ხუთწლიანი გეგმის წარმატებით განხორციელება ჰქმნის ფართო პერსპექტივებს ჩვენი სავაჭრო ურთიერთობის განვითარებისათვის კერძოდ, ჰქმნის ხელსაყრელ წინასწარ პირობებს ჩვენი ვაჭრობისათვის ინგლისთან. ამ წინასწარ პირობებს ანგარიშს უწევენ ინგლისის სამეურნეო წრეები, რომელნიც ყურადღებით ადევნებენ თვალყურს ჩვენს ეკონომიურ წარმატებებს. ინგლისსა და საბჭოთა კავშირს შორის დიპლომატიური ურთიერთობის განახლებას ტყუილად არ უძღოდა წინ ინგლისის ვაჭრობისა და მრეწველობის წარმომადგენელთა დელეგაციის ჩამოსვლა საბჭოთა კავშირში.

მაგრამ თუ ბურჟუაზიის ცალკე ჯგუფებს საბჭოთა კავშირის სამეურნეო ზრდის ფაქტიდან ის დასკვნა გამოჰყავთ, რომ შესაძლებელია ვაჭრობის გაფართოება საბჭოთა კავშირთან, რომელშიაც ისინი ხედავენ დიდ და გადამხდელუნარიან კონტრაგენტს, სამაგიეროდ მონოპოლისტური კაპიტალის სხვა უფრო მტაცებლური, უფრო აგრესიული და ავანტიურისტული ელემენტები საბჭოთა კავშირის განუწყვეტელ სამეურნეო ზრდაში ხედავენ უწინარეს ყოვლისა სასიკვდილო საფრთხეს თავიანთი საკუთარი არსებობისათვის. ეს აი იწვევს მათ გაფთრებას და მისწრაფებას— ყოველნაირი საშუალებით გამოიწვიონ სამხედრო ავანტიურა, რათა მოსპონ მშრომელთა სახელმწიფო. ჩვენ არა ერთხელ აღგვინიშნავს, რომ საფრანგეთის მთავრობის პოლიტიკა ამ ბოლო დროს თანდათან უფრო ექცევა სწორედ ამ ავანტიურისტული ელემენტების გავლენის ქვეშ. მაგრამ შეცდომა იქნება ვიფიქროთ, რომ ავანტიურისტულ ანტისაბჭოთა ელემენტებს მხოლოდ საფრანგეთში აქვთ გავლენა. ყოველი დღე ცხადჰყოფს, რომ ინგლისში საბჭოთა კავშირთან ომის შუბლმაგარი მოციქულები, რომლებსაც ფაქტიურად ხელს აფარებს „მუშათა“ მთავრობა, გააფთრებული აქტივობით მოქმედებენ. თითქმის ყოველდღე შეგვიძლია შევამჩნიოთ, რომ ინგლისის პარლამენტის ორივე პალატა იქცევა ანტი-საბჭოთა უტიფარი და უსინდისო პროპაგანდის ასპარეზად. ამიტომ სწორი არ იქნებოდა, გადაჭარბებით შეგვეფასებინა იმ შეთანხმების მნიშვნელობა, რომელსაც გუშინ მოაწერეს ხელი ლონდონში. განვლილ ათ წელიწადში ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის გზა, როგორც დავინახეთ, მოფენილია გაუქმებული ხელშეკრულებებით. გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ იმპერიალისტური ბურჟუაზიის მთავრობები, რომლებიც სიტყვიერად ჰქადაგებენ „ხელშეკრულებებისადმი პატივისცემას“, სინამდვილეში უყოყმანოდ ფეხქვეშ ჰქელავენ ამ ხელშეკრულებებს, როდესაც მათ სურთ ლახვარი ჩასცენ საბჭოთა კავშირს.

ჩვენ ერთი წუთითაც არ შევასუსტებთ რევოლიუციონურ ბოლშევიკურ სიფხიზლეს, მაგრამ ამავე დროს მზად ვართ გამოვიყენოთ 16 აპრილის შეთანხმება, რათა მაქსიმალურად გავაფართოოთ და განვამტკიცოთ სამეურნეო ურთიერთობა საბჭოთა კავშირსა და ინგლისს შორის. ამისათვის, რა თქმა უნდა, მარტო ფორმალური შეთანხმებები არ კმარა. ინგლისის მთავრობამ და ინგლისის სამეურნეო წრეებმა საქმით უნდა დაამტკიცონ, რომ მათ შეგნებული აქვთ ინგლის-საბჭოთა ვაჭრობის განვითარების მთელი მნიშვნელობა და რომ ისინი შესძლებენ გაანაღდონ ამ განვითარებისათვის საჭირო პირობები.

ინგლისის მშრომელი მასები 16 აპრილის შეთანხმების მაგალითით ერთხელ კიდევ დარწმუნდებიან საბჭოთა მთავრობის მშვიდობიან პოლიტიკაში. ინგლისის მუშათა კლასი, რომლის ზეგავლენაც იყო ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორი, რამაც აიძულა მთავრობა ხელი მოეწერა შეთანხმებაზე, ფხიზლად ადევნებს თვალყურს იმპერიალისტური წრეების, მეფის გენერალთა მფარველების და ახალი ომების გამღვივებლების ანტისაბჭოთა ხრიკებს და მზად იქნება საჭირო მომენტში უაღრესად ენერგიული პასუხი გასცეს მათ.

ეს იმიტომ, რომ ინგლისის მუშათა კლასი ისევე უაღრესად დაინტერესებულია მშვიდობიანობის დაცვით, როგორც საბჭოთა კავშირის მშრომელი მასები, რომელნიც სოციალიზმს აშენებენ.

„პრავდა“, 17 აპრილი.

ხელმოწერილია ინგლის-საბჭოთა სავაჭრო შეთანახმება

150.000 ფეიქარის გაფიცვა ინგლისში კომპარტიის გავლენის ქვეშ ვითარდება

ინგლის-საბჭოთა სავაჭრო შეთანხმება ხელმოწერილია

ლონდონი, 17 აპრილი. 16 აპრილს, ხელი მოაწერეს ინგლისსა და საბჭოთა კავშირს შორის დადებულ დროებით სავაჭრო შეთანხმებას. (ადს).

ბრედფორდის ფეიქართა გაფიცვა

კომპარტიის გავლენის ქვეშ

ლონდონი, 16 აპრილი. შალეულობის მრეწველობის მუშათა გაფიცვაში თანდათან იზრდება კომპარტიის გავლენა. ფეიქრები, რომლებსაც იმედი გაუცრუვდათ მუშათა პარტიისა და რეფორმისტული პროფკავშირების პოლიტიკაზე, კომპარტიაში შედიან. კომპარტიაში შევიდა ცენტრალური საგაფიცვო კომიტეტის ორი ხელმძღვანელი მუშაკი და ადგილობრივი საგაფიცვო კომიტეტებისა და მოქმედების კომიტეტების ბევრი ხელმძღვანელი და წევრი. გაფიცვას თანაგრძნობით ეხმაურებიან სხვა დარგების მუშები.

უმცირესობის მოძრაობის ორგანიზაციების მიერ გამოქვეყნებული მიმართვები მატერიალურ დახმარებას აღუთქვამენ გაფიცულებს. მასების ზეგავლენით გისაბჭოც იძულებული გახდა გამოექვეყნებინა მოწოდება იორკშირის შალეულის მრეწველობის გაფიცულ მუშებისათვის ფულადი დახმარების აღმოჩენის შესახებ.

გაფიცულთა დასახმარებლად გისაბჭომ თავისი სახსრებიდან 500 გირვანქა სტერლინგი გადასდო. (ადს).

5.000 მან. მუშებს შორის პრესტიჟის აღსადგენად

ლონდონი, 17 აპრილი. ტრედიუნიონთა კონგრესის გენერალური საბჭოს დადგენილება — გადასცეს 500 გირვ. სტერლინგი ფეიქართა საგაფიცვო ფონდს და იმავე საბჭოს მოწოდება კავშირებისადმი, — შეიტანონ სათანადო თანხები საგაფიცვო ფონდში მოწმობს, რომ რეფორმისტები დიდად არიან შეშფოთებულნი მუშებს შორის პრესტიჟის დაცემით.

ამ დადგენილებას ორმაგი მნიშვნელობა აქვს: ერთის მხრივ, იგი წარმოადგენს სასოწარკვეთილ ცდას — უკანვე დაიბრუნონ საგაფიცვო მოძრაობის ხელმძღვანელობა და აღადგინონ თავიანთი პრესტიჟი მუშებს შორის, ხოლო მეორეს მხრივ—აიძულონ მრეწველები მიიღონ წინადადება შუამდგომლობის შესახებ. (ადს).

კამათი ბიუჯეტის გარშემო

ინგლისის თემთა პალატაში

ჩერჩილის გამოსვლა

ლონდონი, 17 აპრილი. რეიტერის სააგენტოს ცნობით, თემთა პალატაში დაიწყო კამათი ბიუჯეტის გარშემო. პირველად გამოვიდა კონსერვატორების დეპუტატი ჩერჩილი (ყოფილი ფინანსთა მინისტრი ბოლდუინის კაბინეტში), რომელსაც ახლად შემოღებული გადასახადები ზედმეტად მიაჩნია. ჩერჩილის აზრით, ახალი გადასახადები გააუარესებენ ინგლისის მდგომარეობას, რადგან ისინი „დაზოგვის ხალისს მოუსპობენ მოსახლეობას, ხელს შეუწყობენ კაპიტალის გატანას სახელმწიფოდან და შეაფერხებენ ვაჭრობის განვითარებას“. ჩერჩილის აზრით, ახალი გადასახადების ერთად-ერთი მიზეზი დამატებითი ხარჯებია, რომლებსაც „სოციალისტური მთავრობა“ ეწევა.

კამათში მონაწილეთ პასუხი გასცა ფინანსთა მინისტრის ამხანაგმა ლოურენსმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ზოგიერთი ბიუჯეტის წინააღმდეგ ილაშქრებს იმიტომ, რომ, მათი აზრით, ბიუჯეტში საკმაო ადგილი არა აქვს დათმობილი სოციალურ რეფორმებს. ბიუჯეტით გათვალისწინებულია სახელმწიფო შემოსავლის გადიდება. „ფინანსთა მინისტრს — განაცხადა ლოურენსმა —რომ ბიუჯეტში შეეტანა ხარჯები ყოველგვარ სოციალურ რეფორმაზე, მაშინ იგი გადააჭარბებდა არსებულ შესაძლებლობას“. ლოურენსის გამოსვლის შემდეგ კამათი შეწყდა.

მექსტონის სიტყვა

ლონდონი, 17 აპრილი. როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, თემთა პალატაში ბიუჯეტის გარშემო გამართული კამათის დროს გამოვიდა მუშათა პარტიის „მემარცხენე“ ფრთის ბელადი მექსტონი, რომელმაც აღნიშნა, რომ კონსერვატორები სავსებით კმაყოფილნი უნდა იყვნენ ბიუჯეტით, ვინაიდან მათ ბევრ რამეს უფრო ადვილად მიაღწიეს, ვიდრე თითონ მოელოდნენ. მექსტონის სიტყვით, ის ბიუჯეტი, რომელსაც სნოუდენი იცავდა, უფრო კონსერვატორების ბიუჯეტია, ვიდრე ლიბერალების ან მუშათა პარტიის. შემდეგ მექსტონმა აღნიშნა, რომ მთავრობის ბიუჯეტის პროექტი წმინდა ოპორტუნისტული ხასიათისაა და რომ მას საფუძვლად უდევს კაპიტალისტური სისტემის განმტკიცების და კაპიტალისტთა კლასის გამდიდრების სურვილი.

ბიუჯეტის კანონპროექტის წინააღმდეგ გაილაშქრა აგრეთვე „მემარცხენე ფრთის“ მეორე დეპუტატმა სტივენსმა, რომელმაც აღნიშნა, რომ იმ დროს, როცა მუშათა საარსებო პირობები შეუჩერებლივ უარესდება, მდიდრების კეთილდღეობა დღითი დღე იზრდება“ (ადს).

მუშები სტოვებენ მენშევიკურ პარტიას

„ერთად-ერთი გზა—კომ პარტიაში შესვლაა“

ვენა, 16 აპრილი. ოპოზიციონერ სოციალ-დემოკრატთა კომიტეტის მიერ კომპარტიაში შესვლის საკითხის განსახილველად მოწვეულ კრებას დაახლოვებით 600 მუშა დაესწრო. შუცბუნდის (სოციალ - დემოკრატიული თავდაცვის რაზმი) ყოფილმა წევრმა კოდანიმ განაცხადა, რომ რევოლიუციონური სოციალ-დემოკრატები ეძლეოდნენ იმ ილიუზიას, ვითომ შესაძლებელია მიღწეულ იქნას პარტიის ხელმძღვანელობის გამოცვლა. მაგრამ მოვლენებმა დაამტკიცეს, რომ პარტიის შიგნით შეუძლებელია რაიმე დისკუსია.

კომპარტიის წარმომადგენელმა ბენედიქტმა აღნიშნა, რომ ეს კრება წარმოადგენს გარდატეხას ავსტრიის პროლეტარიატის ბრძოლებში და რომ რევოლიუციონურ მუშებს არ შეუძლიათ დარჩნენ სოციალ - დემოკრატიული პარტიის რიგებში; მათი ერთად-ერთი გზა კომპარტიაში გადასვლაა.

ამ კრებას წინ უძღოდა ოპოზიციონერ სოციალ - დემოკრატთა მთელი რიგი კრებები, რომლებსაც ერთხმად გამოჰქონდათ დადგენილებები კომპარტიაში შესვლის შესახებ. ერთხმად მიღებულ რეზოლიუციებში აღნიშნულია, რომ სოციალ - დემოკრატიული პარტიის რიგებში რევოლიუციონური მუშების შემდგომი დარჩენა საზიანოა რევოლიუციის საქმისათვის და ამიტომ საჭიროა გადასვლა კომინტერნის ავსტრიის სექციაში — ავსტრიის კომპარტიაში, რომელიც არის ერთად-ერთი მუშათა პარტია ავსტრიაში. (ადს).

პილსუდსკის დიქტატურის წინააღმდეგ

პოლონეთის გლეხურ პარტიების გაერთიანება

ვარშავა, 17 აპრილი. ამ ბოლო დროს პოლონეთის პოლიტიკურ წრეებში დიდი ყურადღება მიიქციეს სამი გლეხური პარტიის —„პიასტ“-ის „ვიზვოლენიე“-ს და „გლეხთა პარტიის“ გაერთიანების პროექტებმა. 15 აპრილს შესდგა ამ სამი გლეხური პარტიის გაერთიანებული სხდომა. სხდომის მიერ მიღებულ რეზოლიუციაში ნათქვამია: „**წვრილი გლეხური მეურნეობა უფსკრულისაკენ მიექანება. მთელი პოლონეთი მძიმე ეკონომიურ კრიზისს განიცდის და ყველას მძიმე ტვირთად აწევს არაჩვეულებრივად გადიდებული გადასახადები.** ისინი, ვინც ქვეყანას განაგებენ, დიდძალ ფულს ხარჯავენ. მათ არა სურთ დაუშვათ კანტროლი სეიმის მხრით. სეიმის დეპუტატები სცდილობენ — განიხილონ მომხდარი ბოროტმოქმედებანი, მაგრამ მთავრობა მათ ლანძღვა - გინებით უპასუხებს. სეიმს მუშაობის საშუალებას არ აძლევენ. ყოველივე ამის გამო „ვიზვოლენიე“-ს, „გლეხთა პარტიის“ და „პიასტ“-ის საპარლამენტო კლუბებმა გადასწყვიტეს — შეათანხმონ თავიანთი გამოსვლები როგორც სეიმში, ისე სეიმს გარეთ“.

პოლიტიკურ წრეებში ფიქრობენ, რომ ეს რეზოლიუცია პირველი ნაბიჯია ამ პარტიების ბლოკის განსახორციელებლად სეიმის არჩევნებში, თუ არჩევნები მართლაც მოხდება (ადს).

„კურიერ კრაკოვსკი“ გერმანიის მიერ საბაჟო გადასახადების გადიდების შესახებ

ვარშავა, 17 აპრილი. „კურიერ კრაკოვსკი“ მოწინავეში, რომელიც ეხება საბაჟო გადასახადების გადიდებას გერმანიაში, სწერს: „გერმანიის მიერ აგრარული ბაჟის გადიდებას პოლონეთის მთავრობამ უნდა უპასუხოს პოლონეთ - გერმანიის ხელშეკრულების უარყოფით და საბაჟო ომის გაძლიერებით გერმანიასთან“ (ადს).

„ხელები შორს საბჭოთა კავშირისაგან“

ლატვიის სეიმის მუშურ-გლეხური ფრაქციის დეპუტატის ერზოვის სიტყვა

რიგა, 16 აპრილი. ლატვიის სეიმში სამხედრო ბიუჯეტის ირგვლივ გამართული კამათის დროს სიტყვა წარმოსთქვა სოციალ-დემოკრატმა **ბრუნო კალნინშმა**, რომელმაც უსაყვედურა სამხედრო ხელმძღვანელობას, რომ იგი საკმაოდ არ ზრუნავს ლატვიის არმიის შეიარაღებასა, აღჭურვასა და სწავლებაზე. მუშურ-გლეხური ფრაქციის დეპუტატმა ერზოვმა სასტიკად გაილაშქრა ახალი ომის მზადებაში ლატვიის მონაწილეობის წინააღმდეგ და დაჰგმო სოციალ - დემოკრატების საქციელი.

ერზოვმა აღნიშნა ლატვიისა და პოლონეთის გენერალური შტაბების თანამშრომლობა, რუსეთის ყოფილი თეთრგვარდიელი არმიების ოფიცრების დიდი პროცენტის არსებობა ლატვიის არმიის შემადგენლობაში, მონარქიზმის ზრდა და სამხედრო ხარჯების გადიდება. მან ასე დაამთავრა სიტყვა:

„ლატვია შედის იმ სამ სახელმწიფოს შემადგენლობაში, რომელნიც ამზადებენ გამოსვლას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ომის მომზადებაში თავიანთი ძალღონისა და უნარის მიხედვით მონაწილეობას იღებენ ლატვიის სოციალ - დემოკრატები. **მე ენერგიულ პროტესტს ვაცხადებ საბჭოთა კავშირთან ომში ლატვიის ჩათრევის წინააღმდეგ და მშრომელთა სახელით ვაცხადებ: „ხელები შორს მუშათა სახელმწიფოსაგან“**. (ადს).

დმოვსკის წერილების გამოძახილი

ვარშავა, 16 აპრილი. როგორც ვიცით, ნაციონალ - დემოკრატების ბელადმა **დმოვსკიმ** „გაზეტა ვარშავსკა“-ში მოათავსა წერილები ანტისაბჭოთა სამხედრო გეგმების შესახებ. ამ წერილებმა მთელი პოლონეთის პრესა აალაპარაკეს. განსაკუთრებით აღშფოთებულნი არიან **პილსუდსკის** მომხრე გაზეთები.

„დმოვსკის წერილების აზრი, — სწერს „კურიერ პორანნი“, — სავსებით ნათელია. დმოვსკი გულისხმობს მარშალს, როგორც ისეთ პირს, რომელიც ამზადებს ომს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ევროპის კაპიტალის ინტერესებისათვის.

„გაზეტა პოლსკა“ გაკვირვებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ „იზვესტია“, დმოვსკის წერილებთან დაკავშირებით, განმარტებას მოითხოვს პოლონეთის მთავრობისაგან.

„ნუ თუ „იზვესტია“-ს დაავიწყდა, — სწერს გაზეთი, — რამდენჯერ დაამტკიცა ამ ბოლო დროს პოლონეთმა თავისი მშვიდობიანი დამოკიდებულება საბჭოთა კავშირისადმი? გავიხსენოთ თუნდაც მოსკოვის ოქმი“.

ზოგიერთი გაზეთის „კურიერ ვარშავსკი“-ს მოწინავეში სენატორი **კოსკოვსკი** გაკვირვებას გამოსთქვამს: რატომ ვერ შესძლო აქამდის **პატეკმა** პოლონეთის მთავრობაზე გავლენის მოხდენა, რათა ამ უკანასკნელმა გამოაქვეყნოს ისეთი განცხადება, რომელიც ბოლოს მოუღებს ლაპარაკს პოლონეთის საიდუმლო სამხედრო გეგმების შესახებ (ადს).

გერმანია იარაღდება

ბერლინი, 17 აპრილი. რეიხსტაგის კომისიამ დაამტკიცა ნაციონალისტების წინადადება, რომელსაც მთავრობაც მხარს უჭერს. ამ წინადადების თანახმად, ბიუჯეტში შეტანილი იქნება 2.900 ათასი მარკა მეორე ჯავშნოსნის ასაგებად. (ადს).

საფრანგეთის ბიუჯეტი

პარიზი, 17 აპრილი. როგორც ჰავასის სააგენტო იუწყება, სენატმა 275 ხმით 17 ხმის წინააღმდეგ დაამტკიცა მთავრობის ბიუჯეტი. (ადს).

მდგომარეობის გამწვავება ინდოეთში

მუშურ-გლეხური მასების აქტივობის ზრდის გამო მთავრობა აძლიერებს რეპრესიებს

ინგლისის რეაქციონური წრეები ნერვიულობას იჩენენ

ლონდონი, 16 აპრილი. ინდოეთის რევოლიუციონური მოძრაობის განვითარება ნერვიულობას იწვევს ინგლისის რეაქციონურ წრეებში. ამ წრეების აზრით, მთავრობა საკმაო სიმტკიცეს ვერ იჩენს მოძრაობის ჩასაქრობად.

თემთა პალატაში კონსერვატორები ვერ დააკმაყოფილა ინდოეთის საქმეთა მინისტრის პასუხმა და მახლობელ დღეებში ისინი მოსთხოვენ მთავრობას ახალ პასუხს მთავრობის პოლიტიკის შესახებ ინდოეთში.

ბურჟუაზიული პრესა სცდილობს დაარწმუნოს საზოგადოებრივი აზრი, რომ მოძრაობის ჩასაქრობად საჭიროა სასტიკი ზომების მიღება. ჩვეულებრივისამებრ გაზეთები იწყებენ იმით, რომ საჭიროა დახმარება გაეწიოს ინგლისელებს, რომელნიც ვითომ საფრთხეში არიან და ყოველგვარ შეურაცყოფას განიცდიან.

ინგლისის იმპერიალიზმის ნერვიულობის ნამდვილი მიზეზი არის საბარიკადო ბრძოლა კალკუტაში, საგაფიცვო მოძრაობის ზრდა მთელს ინდოეთში, ბოიკოტის გავრცელება ლანკაშირის საფეიქრო მრეწველობის პროდუქციაზე და ქიმიურ საღებავო საქონელზე და, ბოლოს, ურჩობის საერთო მოძრაობა, გადასახადების ბოიკოტი, ტრანსპორტის მოშლა და სხვ.

ნაციონალური კონგრესის ცნობილ მოღვაწეთა დაპატიმრება

ლონდონი, 17 აპრილი. როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, კარაჩში (ინდოეთი) დააპატიმრეს ნაციონალური კონგრესის 6 ცნობილი მოღვაწე. პოლიცია თავს დაესხა მრავალ ნაციონალისტურ ორგანიზაციას და ხელთ ჩაიგდო მათი საიდუმლო წიგნები და სხვა დოკუმენტები. (ადს).

ევროპიელთა წინააღმდეგ

ლონდონი, 16 აპრილი. როგორც რეიტერის სააგენტო კალკუტიდან იუწყება, იმ ევროპიელებს, რომელნიც კალკუტის სამხრეთ ნაწილიდან ბრუნდებოდნენ, თავს დაესხნენ ინდოელები და ქვები დაუშინეს. ცხრა ევროპიელი საავადმყოფოში გაიგზავნა. ორი მათგანი მძიმედ არის დაშავებული. პოლიციამ დააპატიმრა 20 კაცი. აქედან ცხრა კაცი სახლების სახურავებზე დააპატიმრეს. მათ აღმოაჩნდათ აგურები. ამ დაპატიმრების შემდეგ ბრბო თავს დაესხა საავადმყოფოს მცველებს, მაგრამ თავდასხმა მოგერიებულ იქნა. იმ შეტაკების დროს, რომელიც კალკუტაში 15 აპრილს მოხდა, დაიჭრა 50 კაცზე მეტი. დაჭრილთა შორის არის 15 პოლიციელი და 11 მეხანძრე. (ადს).

მარილის მონოპოლიის კანონის დამრღვევნი პასუხისგებაში მისცეს

ლონდონი, 17 აპრილი. რეიტერის სააგენტო იუწყება: „მადრასში გაირჩა პირველი საქმე მარილის მონოპოლიის კანონის დარღვევის შესახებ. ბრალდებულთ — ამას წინად საკანონმდებლო კრების წევრობიდან გადამდგარს პრაკასამს და გაზეთ „ანდხრაპატრიკა“-ს რედაქტორს ნაგე სვარარაოს — მიესაჯათ [illegible] გადახდა თვითეულს, 500 რუპიის. [illegible] ორივემ უარი განაცხადა ჯარიმის გადახდაზე, პოლიციამ მოახდინა მათი ავტომობილების კონფისკაცია. ავტომობილები საჯარო ვაჭრობით გაიყიდება.

მასიური საპროტესტო დემონსტრაციები ინდოეთის უმთავრეს სამრეწველო ცენტრებში

ლონდონი, 17 აპრილი. სრულიად ინდოეთის კონგრესის თავმჯდომარის ჯავახარლალ ნერუს დაპატიმრებამ გამოიწვია **მასიური პროტესტები და დემონსტრაციები ინდოეთის უდიდეს სამრეწველო ცენტრებში. ბომბეი-ბაროდის რკინის გზაზე, აგრეთვე ინდოეთის ცენტრალურ რკინის გზაზე ყველა რკინისგზის სახელოსნოების მუშებმა მოაწყეს ერთდღიური საპროტესტო გაფიცვა.** ირკვევა, რომ კალკუტაში მომხდარი შეტაკება, რომელიც შედეგად მოჰყვა მასიურ დემონსტრაციებს, გამოიწვია პოლიციის პროვოკაციულმა მოქმედებამ (ადს).

შეტაკება კარაჩში

ლონდონი, 17 აპრილი. კარაჩში (ინდოეთი) პოლიციამ სროლა აუტეხა ქალაქის სასამართლოს შენობასთან თავმოყრილ ხალხს. მოჰკლეს ერთი და მძიმედ დასჭრეს 7 კაცი პოლიციის სროლას მოჰყვა ხელჩართული ბრძოლა, რომლის დროსაც ხალხმა კეტებსა და ქვებს მიმართა, დაშავდა 26 კაცი, მათგან 2 მძიმედ. ბევრნი დააპატიმრეს. (ადს).

უმუშევართა საბჭო

ლონდონი, 16 აპრილი. ბომბეიში დაარსებულმა უმუშევართა საბჭომ მთავრობას მოსთხოვა მიეცეთ უმუშევრებს დახმარება, თვითეულ კაცს 30 მანეთი თვეში.

ბომბეიში გამოვიდა მუშათა პირველი მასიური გაზეთი — „მებრძოლი, მუშათა კლასის ორგანო“. (ადს).

მირუტის ტუსაღების დაპატიმრების წლის თავი

სტამბოლი, 17 აპრილი. კალკუტიდან მიღებული ცნობებით, 20 მარტს, მირუტის პროცესის გამო 32 ბრალდებულის დაპატიმრების წლის თავზე, **ინდოეთის ბევრ ქალაქში გაიმართა მრავალრიცხოვანი დემონსტრაციები.** განსაკუთრებით დიდი დემონსტრაციები გაიმართა კალკუტაში, ბომბეიში და ლაჰორში. **კალკუტაში პოლიცია თავს დაესხა დემონსტრანტებს და დააპატიმრა დემონსტრაციის ხელმძღვანელნი. მუშები პოლიციის სამმართველომდე მიჰყვნენ დაპატიმრებულებს და გაიძახოდნენ: „გაუმარჯოს მუშებსა და გლეხებს, გაუმარჯოს წითელ არმიას“.**

პოლიციის სამმართველოსთან პოლიციამ კვლავ მიიტანა მუშებზე იერიში და კიდევ რამდენიმე კაცი დააპატიმრა. ლაგორში პოლიციამ სცემა რამდენსამე დემონსტრანტს. ბევრი დააპატიმრეს. (ადს).

ინდოეთის რკინისგზელთა გაფიცვის შეწყვეტა

ლონდონი, 17 აპრილი. ინდოეთის ნახევკუნძულის დიდი რკინისგზის პროფკავშირმა დაადგინა — შესწყვიტოს გაფიცვა, რომელიც გამოცხადებული იყო 4 თებერვალს. ასეთი დადგენილების საბაბად ასახელებენ მუშების უკიდურეს გაჭირვებას. გაფიცვის ხელმძღვანელები აცხადებენ, რომ თუ რკინისგზის კომპანია უარს იტყვის გაფიცვის ყველა მონაწილეთა უკან მიღებაზე, ისინი მიმართავენ რკინისგზელთა კავშირების ფედერაციას მოწოდებით — გამოაცხადოს რკინისგზელთა საყოველთაო გაფიცვა. (ადს).

პოლონეთის მთავრობის პროტესტი

გერმანიაში საბაჟო გადასახადების გადიდების წინააღმდეგ

პოლონეთის მთავრობის ნოტა გერმანიაში საბაჟო გადასახადების გადიდების წინააღმდეგ

ბერლინი, 17 აპრილი. გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ მიიღო პოლონეთის მთავრობის ნოტა, რომელიც მიმართულია საბაჟო გადასახადების გადიდების წინააღმდეგ. პოლონეთის მთავრობა აცხადებს, რომ გადასახადების გადიდება ეწინააღმდეგება ჟენევის შეთანხმებას და არღვევს პოლონეთ-გერმანიის სავაჭრო ხელშეკრულებას. როგორც გერმანიის მთავრობის წრეებში აღნიშნავენ, პოლონეთ - გერმანიის სავაჭრო ხელშეკრულება იმდენ უპირატესობას ანიჭებს პოლონეთს, რომ საეჭვოა მან უარი სთქვას ხელშეკრულების რატიფიკაციაზე (ადს).

შრომისა და წარმოების ორგანიზაცია კოლმეურნეობებში

მოსკოვი, 17 აპრილი. დაიხურა საბჭოთა კავშირის მიწსახკომის და კოლმეურნეობათა ცენტრის მიერ მოწვეული თათბირი, რომელმაც განიხილა კოლმეურნეობათა შრომისა და წარმოების ორგანიზაციის საკითხები. თათბირმა დაადგინა: კოლმეურნეთა შორის მუშაობის განაწილება უნდა მოხდეს თანაბრად, მაგრამ იმავე დროს დასაშვებია მუშაობის განაწილება ოჯახის წევრთა რიცხვის მიხედვითაც. კოლმეურნეობებმა ფართოდ უნდა გამოიყენონ შრომის უნარის მქონე წევრები. ამის საუკეთესო საშუალებაა შრომის ტევადი კულტურების განვითარება, მესაქონლეობა, შინამრეწველობა და ფულის საშოვრად გასვლა. კოლმეურნეობის წევრთა შორის შემოსავლის განაწილება უნდა ხდებოდეს გამომუშავების ღირსებისა და ნორმების საფუძველზე.

თათბირმა მოიწონა საბჭოთა კავშირის მიწსახკომის და კოლმეურნეობათა ცენტრის დადგენილება იმის შესახებ, რომ კოლმეურნეთა განკარგულებაში დატოვებულ იქნას შემოდგომის იმ ნათესის მოსავალი, რომელიც კოლმეურნეობებში შესვლამდე დაითესა. იმ პურის აკრება, რომელიც წევრმა კოლმეურნეობაში შესვლამდე დასთესა, სწარმოებს საერთო წესით—კოლმეურნეობის ძალებით და დამთესის უშუალო მონაწილეობით. თუ კოლმეურნე მოისურვებს, შეუძლია პირადად აკრიბოს მოსავალი, რისთვისაც ინვენტარს მიიღებს კოლმეურნეობიდან და ქირას გადაიხდის საერთო კრების დადგენილების მიხედვით. პურეულის ერთდროულად მომწიფების დროს, პირველ რიგში ხდება კოლექტიური ნათესის მოსავლის აკრება, შემდეგ—ინდივიდუალურის. იმ მრავალწლიანი ბალახის მოსავალი, რომლის დათესვაც ინდივიდუალური წესით მოხდა, უნდა გადავიდეს კოლმეურნეობის განკარგულებაში. დამთესს მიეცემა თესლისა და შრომის ღირებულება. მოსავლის აკრების კამპანიის დაწყებამდე უნდა შემუშავდეს სამუშაო გეგმა და განხილულ იქნას იგი საწარმოო თათბირებზე. სამუშაო გეგმაში აღნიშნული უნდა იყოს ბრიგადების შემადგენლობა და იმ სამუშაო დღეების რიცხვი, რომელიც უნდა მოხმარდეს კოლექტიურ და ინდივიდუალურ მეურნეობის პურის აკრეფას. კოლმეურნეობათა შორის უნდა გაიშალოს სოციალისტური შეჯიბრება და უნდა მოეწყოს დამკვრელი ბრიგადები. (ადს).

მეთევზეთა კოლმეურნეობების განსამტკიცებლად

საბჭოთა კავშირის ცაკის და სახკომსაბჭოს დადგენილება

მოსკოვი, 17 აპრილი. საბჭოთა კავშირის ცაკმა და სახკომსაბჭომ დაადგინეს:

1. მეთევზეთა კოლმეურნეობის მატერიალური მდგომარეობის განმტკიცების მიზნით დაწესდეს მათთვის შემდეგი შეღავათები:

გაუქმებულ იქნას მიმდინარე წელს მთლიანი სასოფლო - სამეურნეო გადასახადის, თევზის ჭერის უფლების გამოსაღების და სახელმწიფო სარეწაო გადასახადის შესატანი თანხების გადიდება მეთევზეობაში იმ ანგარიშით, რომ ამ თანხების სიდიდე მეთევზეთა კოლმეურნეობებში არ აღემატებოდეს გადასახადების შარშანდელ თანხას. ამასთან ყველა ზემოაღნიშნულ გადასახადების ნაცვლად დაწესდეს მთლიანი დაბეგვრა.

იმ დავალიანების გასტუმრება, რომელიც აქვთ მეთევზეთა კოლმეურნეობებს საკრედიტო დაწესებულებების მიმართ თევზის ჭერის იარაღის შესაძენად მიღებული სესხების გამო და რომელიც უნდა გასტუმრებულიყო მიმდინარე წლის გაზაფხულზე, განაწილდეს სამ ვადათ 1931 წლის 1 ივნისამდე. ეს დავალიანება დაიფაროს სამი სეზონის ამონაგებით. ვადის გადადება უნდა გავრცელდეს როგორც მიმდინარე წლის დავალიანებაზე, ისე წარსული წლების დავალიანებაზე.

აეკრძალოს ყველა სამეურნეო ორგანიზაციებს — წარუდგინონ კოლმეურნე მეთევზეებს მოთხოვნა იმ დავალიანების გადახდის შესახებ, რომელიც ამ სამეურნეო ორგანიზაციებმა ჩამოსწერეს ინდივიდუალურ მეურნეობებს კოლმეურნეობაში შესვლამდე.

2. შემცირებულ იქნას მეთევზეთა ინდივიდუალური მეურნეობების საგადასახადო დაბეგვრა იმ ანგარიშით, რომ თევზის ჭერის უფლების გამოსაღებისა და მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის საერთო გადასახდელი თანხა 50 პროცენტზე მეტით არ აღემატებოდეს შარშან გადახდილ თანხას.

დაწესდეს მეთევზეთა ინდივიდუალური მეურნეობებისათვის საბილეთო გამოსაღები საიჯარო ქირისათვის მტკიცე განაკვეთებით.

სხვადასხვა

ლოვსტონის ჯგუფის გამოაშკარავება

ნიუ-იორკი, 16 აპრილი. ლოვსტონის ჯგუფის ერთ-ერთმა მეტად თვალსაჩინო წევრმა პილ სირომ, რომელიც ამ ჯგუფის „ნაციონალურ საბჭოში“ შედიოდა, გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიაც ააშკარავებს ლოვსტონის ჯგუფს. თავის განცხადებაში სირო თხოულობს — დაბრუნებულ იქნას კომპარტიაში და სინანულს გამოსთქვამს იმის გამო, რომ უფრო ადრე არ გასწყვიტა კავშირი ლოვსტონთან (ადს).

„ჩვენ გვსურს დავბრუნდეთ შინ— ჩვენს ნამდვილ სამშობლოში“

სტოკჰოლმი, 17 აპრილი. როგორც კომუნისტური გაზეთი „ნიუ დაგ“-ი იუწყება, საბჭოთა კავშირიდან წასულ შვედელ კოლონისტთა რიცხვიდან 7 ოჯახმა კიდევ შეიტანა განცხადება საბჭოთა კავშირში **დაბრუნების ნებართვის შესახებ**. თავიანთ განცხადებაში კოლონისტები სწერენ: „**ჩვენ არა გვსურს ვიყოთ შვედელი კულაკების მონებად და ხელი შეუწყოთ შვედელი მუშების ხელფასის დაკლებას. ჩვენ სიმპატიით და ნდობით ვეპყრობით საბჭოთა კავშირის მუშებსა და გლეხებს და მათ მუშაობას სოციალისტური მშენებლობის დარგში. ჩვენ გვწადია დავბრუნდეთ შინ, ჩვენს ნამდვილ სამშობლოში**“.

✱ საფრანგეთის კოლონიის შუა კონგოს ცენტრში, ბრაზვილში, ადგილობრივ მკვიდრთა შორის დიდი მღელვარებაა. მღელვარება გამოიწვია იმან, რომ ადგილობრივ მკვიდრს გრენერს, ზანგების ურთიერთ დამხმარე სალაროს ორგანიზატორს, კატორღა მიუსაჯეს. გრენერი და სხვა მსჯავრდადებულნი ღამით გაამგზავრეს ჩადის ტბის რაიონში, რათა თავიდან აეცილებინათ ადგილობრივ მკვიდრთა გამოსვლა მათ განსათავისუფლებლად. (ადს).

სახელმწიფო კრედიტის ამოცანები

თათბირი სახელმწიფო კრედიტის საკითხებზე

ამხ. ბრიუხანოვის სიტყვა

მოსკოვი, 17 აპრილი. საბჭოთა კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატში გაიხსნა სრულიად საკავშირო თათბირი სახელმწიფო კრედიტის შესახებ. თათბირის ძირითადი ამოცანების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ბრიუხანოვმა.

„სახელმწიფო კრედიტის განვითარების ახლანდელ სტადიას, — განაცხადა ამხ. ბრიუხანოვმა, — ახასიათებს სხვადასხვა თავისებურება, რომლებიც გამოწვეულია იმით, რომ გამოიცა კანონი ხუთწლედის 4 წელიწადში შესრულების სესხის შესახებ. ის უდიდესი ამოცანები, რომლებიც დასახულია საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე, გვაიძულებენ გამოვნახოთ ახალი გზები მოსახლეობის დანაზოგის მოსაქცევად სახელმწიფო კრედიტის კალაპოტში. განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა ობლიგაციების მფლობელისადმი ინდივიდუალურ მიდგომას. სახელმწიფო კრედიტის სფეროში მუშაობის წარმატების ძირითად პირობას წარმოადგენს სახელმწიფო კრედიტის და დაზოგვის საქმის ხელისშემწყობი კომისიების წარმატებითი მუშაობა. ხელისშემწყობი კომისიები სახელმწიფო კრედიტის სფეროში მუშაობის მთავარ ბაზად უნდა გადაიქცნენ“.

შემდეგ ამხ. ბრიუხანოვი შეეხო შემნახველ სალაროების მუშაობას. მან აღნიშნა, რომ ამ სალაროების საშუალებით ბევრი რამ შეიძლება გაკეთდეს მოსახლეობის სახსრების მისაზიდათ სახელმწიფო კრედიტის სისტემაში. შემნახველ სალაროების განვითარებას დიდ სამსახურს გაუწევს ხელისშემწყობ კომისიების მუშაობა. (ადს).

ამხ. შნეიდერის მოხსენება

მოსკოვი, 17 აპრილი. საკავშირო თათბირზე სახელმწიფო კრედიტის შესახებ საბჭოთა კავშირის ფინსახკომის სახელმწიფო კრედიტის სამმართველოს უფროსმა ამხ. შნეიდერმა გააკეთა მოხსენება სახელმწიფო კრედიტის შედეგებისა და მახლობელი ამოცანების შესახებ. მომხსენებელმა განაცხადა, რომ ხელისშემწყობი კომისიების მნიშვნელობა და პასუხისმგებლობა უაღრესად გაიზარდა და კონტროლის განსახორციელებლად ხელისშემწყობმა კომისიებმა განსაკუთრებით მკაფიოდ უნდა იმუშაონ. ამასთან ამხ. შნეიდერმა აღნიშნა, რომ თუ წინად კომისიების მუშაობაზე დამოკიდებული იყო სესხების განაწილება, ახლა კომისიები რამდენადმე სახელმწიფო სალაროს გამგენი ხდებიან. კომისიებმა მაქსიმალური აქტივობა უნდა გამოიჩინონ. ხელისშემწყობი კომისიები მუდმივ მომქმედ დაწესებულებებად უნდა გადაიქცნენ. ფინორგანოებისა და ხელისშემწყობი კომისიების მახლობელი ამოცანებია — ძველი სესხების გადაცვლა ახალ სესხზე, ახალი სესხის განაწილების კამპანია, ქალაქად და სოფლად მოგებებისა და პროცენტების შემოწმება და გადახდა. ამ უკანასკნელ მუშაობას უაღრესად სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს, ვინაიდან თებერვლის განმავლობაში გამოუთხოვნელი დარჩა მასიური სესხების 46 მილიონი მანეთი მოგება და პროცენტი. სესხის განაწილების მომავალი კამპანია უნდა ემყარებოდეს მხოლოდ ნებაყოფლობის პრინციპს. ფინორგანოებმა და ხელისშემწყობმა კომისიებმა უნდა გაშალონ განსაკუთრებით ინტენსიური მასიური და სააგიტაციო მუშაობა. მუშაობა ახალი სესხის გასანაწილებლად უნდა ჩატარდეს შემდეგი ლოზუნგებით: „ნახევარი თვის ხელფასი მუშა - მოსამსახურეთა შორის ქალაქში და „არც ერთი მეურნეობა უობლიგაციოდ სოფლად“. (ადს).

ამხ. ვულფის მოხსენება

მოსკოვი, 17 აპრილი. სრულიად საკავშირო თათბირზე სახელმწიფო კრედიტის ირგვლივ ამხ. ვულფმა გააკეთა მოხსენება ინდუსტრიალიზაციის სამი სესხის და გლეხურ მეურნეობის განმტკიცების სესხის გადაცვლის შესახებ სესხზე „ხუთწლედი ოთხი წელიწადში“.

გადაცვლისა და ახალი სესხის გავრცელების კამპანია ჩატარებული იქნება ერთსა და იმავე დროს. ინდუსტრიალიზაციის სესხის და გლეხური მეურნეობის განმტკიცების სესხის ობლიგაციების ყოველმა მფლობელმა თავისი ობლიგაციები გადასაცვლელად უნდა წარადგინოს ინდივიდუალური წესით. ინდუსტრიალიზაციის მე-3 სესხის ობლიგაციები, რომელთა გადაცემაც ჯერ კიდევ არ მომხდარა, გადაცვლილ უნდა იქნან კოლექტიური წესით. სოფლად ყველა სესხების გადაცვლა ინდივიდუალური წესით უნდა მოხდეს. თუ ობლიგაციების პატრონი ამ ობლიგაციებს გადასცვლის 1931 წლის 1 იანვრამდე, იგი შემოსავალს განუწყვეტლივ მიიღებს გადაცვლამდე ძველი სესხებით, ხოლო გადაცვლის შემდეგ—ახალი სესხით.

1931 წლის 1 იანვრიდან ინდუსტრიალიზაციის პირველი, მეორე და მესამე სესხის და გლეხური მეურნეობის განმტკიცების სესხის ობლიგაციებზე მათი მფლობელნი არც პროცენტს და არც მოგებებს არ მიიღებენ. ინდუსტრიალიზაციის პირველი, მეორე და მესამე სესხის და გლეხური მეურნეობის განმტკიცების სესხის ახალ სესხზე გადაცვლის უკანასკნელ ვადად დანიშნულია 1934 წლის 1 იანვარი. ახალ სესხზე ხელისმოწერის კამპანია დაიწყება მიმდინარე წლის ივნისის დამლევს და ივლისის დამდეგს. სესხი გამოშვებული იქნება 1931 წლის 1 იანვარს. ახალი სესხის ღირებულების შეტანა დაიწყება 1930 წლის აგვისტოდან. (ადს).

თათბირი საბჭოთა აპარატის წმენდის შესახებ

ამხ. პეტერსის მოხსენება

მოსკოვი, 17 აპრილი. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატში გაიხსნა საბჭოთა აპარატის შემმოწმებელი კომისიების წარმომადგენელთა სრულიად საკავშირო თათბირი.

მოხსენება გააკეთა ამხ. პეტერსმა.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წმენდამ მარტო ორ სახკომატში (ფინსახკომის და მიწსახკომის ორგანოებში) შესაძლებელი გახადა ამ ორი უმნიშვნელოვანესი აპარატის გულდასმით შემოწმება და შემდეგ მათი გამარტივება და შემოკლება. წმენდაში რამდენიმე ათასმა მუშამ მიიღო მონაწილეობა. წმენდამ ნათლად დაამტკიცა, რომ საფინანსო ორგანოები, დაწყებული საკავშირო ფინსახკომით და გათავებული ძირითადი საფეხურის ფინგანყოფილებებით, ძალიან ცუდ მდგომარეობაში იმყოფებიან. როდესაც საბჭოთა კავშირის ფინსახკომის წმენდამ გამოარკვია, რომ აუკრეფავი გადასახადების რაოდენობა 150 მილიონ მანეთს აღწევდა, სახკომატის პასუხისმგებელმა ხელმძღვანელებმა დაიწყეს მტკიცება, რომ აუკრეფავი გადასახადების სიდიდე აიხსნება კერძო ვაჭრების გადაჭარბებული დაბეგვრით. ამჟამად აღარ შეიძლება ეჭვის შეტანა იმაში, რომ მრავალ ადგილას კერძო ვაჭრებს ნაკლები გადასახადები ჰქონდა შეწერილი. თავდაპირველად საბჭოთა აპარატის წმენდას წინააღმდეგობა გაუწიეს დაწესებულებების ზოგიერთმა ხელმძღვანელებმა, ცალკე ადგილკომებმა და უჯრედების ბიუროებმაც კი. ადგილობრივი მუშგლეხინები იმ დამოკიდებულებას, რომელიც საბჭოთა აპარატის მუშაკებმა წმენდისადმი გამოიჩინეს, ახასიათებენ როგორც „დუმილის შეთქმულებას“. საჭიროა სათანადო ახსნა-განმარტებითი მუშაობა მოსამსახურეთა შორის. ორ-ნახევარი თვის განმავლობაში განზრახულია წმენდის ჩატარება „ცენტროსოიუზ“-ში, გზათა სახალხო კომისარიატში და ს. მ. უ. საბჭოში.

წმენდის შედეგად აპარატი თავისუფლდება უვარგისი და მავნე ელემენტებისაგან. საშუალოდ გაწმენდილთა პროცენტი უდრის: დაწესებულებებში—10-ს, საბჭოების ქვედა აპარატში—12-15-ს. თითქმის ყველგან წმენდის უმნიშვნელოვანეს შედეგს წარმოადგენს სტრუქტურის გამარტივება და აპარატის შემცირება. ფინსახკომის აპარატი შემცირდა 18 პროცენტით, მოსკოვის ფინგანყოფილების აპარატი—50 პროცენტით, ურალის საადგილმამულო სამმართველოს აპარატი —60 პროცენტით და სხვა. წმენდის დროს ხდებოდა მრავალი მუშის დაწინაურება საბჭოთა აპარატში. ამჟამად უმნიშვნელოვანესი ამოცანაა— წმენდის შედეგების განმტკიცება დაწინაურებულთა დახმარების გზით. საჭიროა დაწინაურებულთა გადამზადება სამუშაოდ. ფაბრიკებმა და ქარხნებმა მჭიდრო კავშირი უნდა იქონიონ თავიანთ დაწინაურებულებთან. მართებულად იქცევა ილექტრო - ქარხანა, რომელიც დაწინაურებულთაგან მოითხოვს—გაუკეთონ თავიანთ საამქროებს საანგარიშო მოხსენებები. (ადს).

სომხეთის კ. პ. (ბ) ცეკას რეზოლიუცია

საკოლმეურნეო მშენებლობაში დაშვებული შეცდომების შესახებ

ერევანი, 17 აპრილი. სომხეთის კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი სავსებით ეთანხმება საქ. კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის 2 აპრილის დირექტივას და საქ. კომპარტიის (ბ) ა.-კავკასიის საოლქო კომიტეტის 10 აპრილის დადგენილებას საკოლმეურნეო მშენებლობაში დაშვებული შეცდომების შესახებ და აღნიშნავს, რომ საკოლმეურნეო მშენებლობის ხელმძღვანელობის დარგში სომხეთის კომპარტიის (ბ) ცეკას მიერ დაშვებულია მთელი რიგი დიდი შეცდომები.

სომხეთის კომპარტიის (ბ) ცეკას 6 იანვრის დადგენილებაში სათანადოთ არ იყო გათვალისწინებული ცალკე რაიონების კონკრეტული თავისებურებანი და მომზადება მთლიანი კოლექტივიზაციისათვის. შემცდარი იყო აგრეთვე ამ დადგენილების მუხლი უმაღლეს ტიპის კოლმეურნეობათა შესახებ: არტელების გვერდით—კომუნები. იანვარში შემჩნეული იყო რიცხვობრივ მაჩვენებლების გამოდევნება. თებერვლის დასაწყისიდან ცენტრალურმა კომიტეტმა შეუდგა დაშვებულ შეცდომების გამოსწორებას. მაგრამ მიუხედავად ადგილობრივი პარტორგანიზაციებისათვის მიცემული მრავალრიცხოვანი დირექტივებისა და მითითებებისა, ცენტრალური კომიტეტი ყველა შემთხვევებში არ იჩენდა სათანადო სიმტკიცეს დაშვებულ შეცდომებისა და გადამახინჯებების დაუყოვნებლივ და მტკიცედ გამოსწორების დარგში.

აღნიშნავს რა გადამჭრელ გარდატეხას ადგილობრივი პარტორგანიზაციების მუშაობაში, ცეკა წინადადებას აძლევს მათ--განაგრძონ ენერგიული მუშაობა პარტიული ხაზის დამახინჯებასთან საბრძოლველად. მომავალი პარტკონფერენციები უნდა ჩატარდეს თვითკრიტიკის ნიშან ქვეშ. ცენტრალური კომიტეტი წინადადებას იძლევა—მტკიცედ იქნას გატარებული ცხოვრებაში ცეკას 7 აპრილის დირექტივა ბრძოლის შესახებ, როგორც დაშვებული შეცდომების მიჩქმალვასთან, ისე მიღწეული წარმატებების სათანადოდ შეუფასებლობასთან და აგრეთვე გადამჭრელი ბრძოლის შესახებ ყოველგვარ გადახრებთან პარტიის ლენინური ხაზიდან. (ადს) .

სომხეთის კ. პ. (ბ) ყრილობა შესდგება 25 მაისს

ერევანი, 17 აპრილი. სომხეთის კომპარტიის (ბ) ყრილობა მოწვეულია 25 მაისისათვის. ყრილობის დღის წესრიგში სდგას: 1) საქ. კომპ. (ბ) ა.-კავკასიის საოლქო კომიტეტის მოხსენება, 2) ცენტრალური კომიტეტის ანგარიში, 3) ცენტრ. საკონტროლო კომისია—მუშგლეხინის ანგარიში, 4) ცენტრალური სარევიზიო კომისიის ანგარიში, 5) სომხეთის მრეწველობის 5-წლიანი გეგმის შესრულების შესახებ, 6) საკოლმეურნეო მშენებლობა და სასოფლო მეურნეობის განვითარება, 7) მუშაობა ახალგაზრდათა შორის, 8) არჩევნები. (ადს).

კვირას, 20 აპრილს, საღამოს 6 საათზე თბილისის აღმასკომის დარბაზში მოწვეულია საქ. კ.პ. (ბ) თბილისის საოლქო კომიტეტის

მე-10 გაფართოებული პლენუმი

დღის წესრიგი:

1) გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანიის მიმდინარეობა და საკოლმეურნეო მშენებლობის მდგომარეობა თბილისის ოლქში. 2) 1929-30 სამეურნეო წლის პირველ ნახევარ წელში საწარმოო-საფინანსო გეგმის შესრულების შედეგები. 3) თბილისის პარტ-ორგანიზაციის წმენდის შედეგები. 4) მიმდინარე საკითხები.

თბილისის საოლქო კომიტეტის წევრთა და კანდიდატების, რაიკომების პრეზიდიუმის წევრების, მსხვილი საწარმოო უჯრედების მდივნების, პროფკავშირების ცენტრ. გამგეობების თავმჯდომარეების, ტრესტების ხელმძღვანელების და ფაბრიკა-ქარხნების დირექტორების (კომუნისტების) დასწრება სავალდებულოა.

თბ. საოლქო კომიტეტის პრეზიდიუმი.

შაბათს, 19 აპრილს, საღამოს 6 საათზე, რედაქციის ახალ ბინაზე,
(რუსთაველის პროსპ. № 16)

შესდგება გაზეთ „კომუნისტი“-ს **მუშკორთა საქალაქო კრება**, რომელსაც უნდა დაესწრონ კედლის გაზეთების რედკოლეგიათა წევრები და ადგილობრივი კორესპონდენტები.

გაზ. „კომუნისტი“-ს მასიური მუშაობის განყოფილება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საუკეთესო კოლმეურნეობები გადაჭარბებით ასრულებენ თესვის გეგმას

კოლექტიური თესვის უპირატესობა იმდენათ ნათელია, რომ კოლექტივებიდან გასულ გლეხთა საუკეთესო ნაწილი ბრუნდება უკან

მიუხედავათ პარტიის და მთავრობის მთელ რიგ დირექტივებისა, თესვას ინდივიდუალურ მეურნეობებში ჯერ კიდევ არ ექცევა სათანადო ყურადღება

კოლმეურნეობათა ხელმძღვანელების რესპუბლიკანური თათბირი

კამათი ამხ. ს. ხოშტარიას მოხსენების გარშემო

თათბირის მეოთხე სხდომაზე, 16 აპრილს დილით, გაიხსნა კამათი ამხ. ს. ხოშტარიას მოხსენების გარშემო.

ამხ. კილაძე
(აჭარისტანი)

ახასიათებს კოლმეურნეობათა მშენებლობას აჭარისტანში და აღნიშნავს, რომ ეს მშენებლობა ორი წლის წინედ დაიწყო. ამ საქმეს მაშინ ხელმძღვანელობდნენ არა კოლმეურნეობათა სისტემის მუშაკები და საერთოდ კოოპერატორები, არამედ ჩაის სპეციალისტები („საქართველოს ჩაი“), რომლებიც, შეიძლება დიდი მოსურნე იყვნენ სწორ პრინციპებზე აეგოთ ეს ორგანიზაციები, მაგრამ მათ არ ქონდათ საჭირო გამოცდილება. აჭარისტანში სას.-სამ. არტელები შეიქმნა ჩაის კულტურის გარშემო და ისიც სულ საფონდო მიწებზე. ეს არტელები (ისინი აღრიცხული არიან როგორც არტელები) თავისი შინაარსით მიწის საზოგადო შრომით დამმუშავებელ ამხანაგობის წესდებასაც ვერ აკმაყოფილებენ. არტელებში გაერთიანებულ გლეხებს ხელუხლებელი აქვთ თავისი საკუთარი მეურნეობები. ასეთი მდგომარეობა იყო გასული წლის შემოდგომამდე. კოლექტივიზაციის ტემპის გაძლიერებასთან ერთად, აჭარისტანის მუშაკებმაც გადასწყვიტეს კოლექტივიზაციის სწრაფი ტემპით ჩატარება. კაბინეტში შემუშავებულ იქნა კოლექტივიზაციის გეგმა, რომლის მიხედვითაც ოლქში უნდა მოეწყოთ 72 კოლექტივი, მხოლოდ როგორი ფორმის, სად და მეურნეობის რომელ დარგში, — ამის შესახებ გეგმა არაფერს ამბობდა. კამპანიის განმავლობაში ნათელი შეიქნა, რომ პასუხისმგებელ ხელმძღვანელ ამხანაგების ნაწილი არ იცნობს კოლმეურნეობათა მშენებლობის პრინციპებს.

ეს მოწმობს, რომ აჭარისტანში კოლექტივიზაციის ტემპის დაჩქარებაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება. იქ მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს საკოლმეურნეო მშენებლობის პრინციპების უცოდინარობის ლიკვიდაციას, რა მიზნითაც გაძლიერებული უნდა იქნეს ადგილობრივ მუშაკებიდან კადრების მომზადება, კურსების მოწყობის გზით. ამაზე ლაპარაკი იყო გასულ წელსაც. საქართველოს მთავრობამ გასული წლის სექტემბერში აჭარისტანის კოლმეურნეობათა მუშაკების მოსამზადებლად გადასდო 7 ათას მანეთამდე. ეს თანხა აჭარისტანს კიდეც გადაეგზავნა, მაგრამ ერთ-ერთმა პასუხისმგებელმა ამხანაგმა საჭიროდ არ სცნო ამ თანხის გამოყენება, დამალა მისი არსებობა, ხოლო წლის დამლევს ეს თანხა ჩარიცხულ იქნა ისევ სახელმწიფო სალაროს შემოსავალში, როგორც გამოუყენებელი თანხა. ამრიგად, ამ ამხანაგის წყალობით შეუძლებელი შეიქნა ამ დიდი საქმის გაკეთება. ეხლა კი, როდესაც გლეხები ჩაბმულნი არიან თესვის კამპანიაში, კურსების მოწყობა აღარ შეიძლება. შემოდგომაზე კი ამ საქმეს აუცილებლად უნდა მიექცეს სერიოზული ყურადღება.

ამასთან ერთად ამხ. კილაძე საჭიროდ სცნობს, რომ აჭარისტანში არსებული ჩაის კოლექტივები გადაყვანილ იქნან მიწის საზოგადო შრომით დამმუშავებელ ამხანაგობების წესდებაზე, რაც უფრო ახლოა მათ შინაარსთან. მომავალში კი აჭარისტანში გაძლიერებული უნდა იქნეს უმარტივესი გაერთიანებას მოწყობა, ვინაიდან ზემოხსენებულ მიზეზებისა და ოლქის განსაკუთრებული მდგომარეობის გამო აქ მაღალი ფორმების კოლმეურნეობათა მოწყობა ჯერ-ჯერობით შეუძლებელია.

ამხ. ქლენტი
(განათლების მუშაკთა კავშირი)

ახასიათებს ჩვენი გლეხობის და კერძოდ კოლმეურნეობათა წევრების დაბალ კულტურულ დონეს და აღნიშნავს, რომ ამ მდგომარეობის გამოსწორებისაკენ არის ამჟამად მიქცეული ყველა ორგანიზაციების ყურადღება. კერძოდ, განათლების მუშაკთა კავშირმა კოლმეურნეობათა ცენტრთან დადო ხელშეკრულება, რომლითაც იკისრა 1930-31 წლის დამლევამდე კოლმეურნეობათა წევრების წერა-კითხვის უცოდინარობის სრული ლიკვიდაცია, ბიბლიოთეკა - სამკითხველოების მოწყობა კოლმეურნეობებში, რამოდენიმე ათასი კოლმეურნეთა და მათი შვილების ჩაბმა დაბალ, საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში და სხვ. ამ დიდი საქმის განხორციელებას განათლების მუშაკთა კავშირი შესძლებს თუ თვით კოლმეურნეობათა სისტემა სათანადო დახმარებას აღმოუჩენს კავშირს. კულტურული მუშაობის მთავარი გამტარებლები სოფლად არიან მასწავლებლები, რომლებსაც უნდა აღმოუჩინოს ფართო დახმარება. უნდა მივიღოთ ზომები, რომ განათლების მუშაკთა კავშირმა და კოლმეურნცენტრმა მიაღწიონ დასახულ მიზანს.

ამხ. მატინოვი
(კახეთის ოლქი)

საჭიროდ სცნობს, საშუალო გლეხის კოლმეურნეობაში ჩაბმის საქმეში შეტანილ იქნეს მეტი გარკვეულობა. ამ მხრივ მას სწორად მიაჩნია საკავშირო სახკომსაბჭოს უკანასკნელი განმარტება და აუცილებლად სთვლის ამ განმარტების ფართო პოპულარიზაციას.

შემდეგ ამხ. მატინოვი აღნიშნავს, რომ ზოგან ღარიბ გლეხებსა და მოჯამაგირეებს უძნელდებათ კოლექტივში შესვლა, ვინაიდან მათ მცირე ქონება აქვთ. ამას სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს. მეცხვარეობა-მევენახეობას კოლმეურნეობათა სისტემა სათანადო ყურადღებას არ აქცევს, მაშინ, როდესაც მეურნეობის ამ დარგებს საკმაოდ დიდი ხვედრითი წონა აქვთ საქართველოს სინამდვილეში. ორატორს საჭიროდ მიაჩნია ამ საკითხების ზედმიწევნით დამუშავება და იმის გამორკვევა, თუ განსაზოგადოების რომელი ფორმა უფრო მიზანშეწონილია მესაქონლეობა - მევენახეობისათვის. ამხ. მატინოვი საჭიროდ სთვლის დაჩქარებით მოგვარდეს კოლმეურნეობათა საბრუნავი თანხების საკითხი. იგი აღნიშნავს, რომ კოლექტივში შესვლამდე ღარიბ გლეხს შეეძლო გაზაფხულის პერიოდში დროგამოშვებით წასულიყო გარე სამუშაოზე, ეშოვნა ფული და თავისი მოთხოვნილებები დაეკმაყოფილებია. ამას იგი ადვილად ახერხებდა იმის გამო, რომ მისი ადგილების დამუშავება მთელ დროს არ მოითხოვდა. ეხლა კი გარეთ გასვლა მას არ შეუძლია, ვინაიდან კოლექტივს, რომელსაც გადაეცა კულაკებისაგან ჩამორთმეული მიწები, ბევრი სამუშაო აქვს და თანხები კი არ მოეპოვება, რომ ღარიბ გლეხებსა და მოჯამაგირეებს მისცეს ავანსი და დააკმაყოფილოს მათი აუცილებელი მოთხოვნილება. ეს საკითხიც დაჩქარებით უნდა დამუშავდეს.

ამხ. შ. დუგლაძე
(გორის ოლქი)

ეხება კადრების საკითხს. იგი აღნიშნავს, რომ კოლმეურნეობათა მშენებლობაში აღებული ტემპის შენარჩუნება და კოლმეურნეობათა მშენებლობის სწორად წაყვანა დამოკიდებულია კადრების საკითხზე. კოლმეურნეობათა სისტემა მომზადებული მუშაკების დიდ ნაკლებობას განიცდის. გასულ ზამთარში და გაზაფხულის დამდეგს დიდი ყურადღება ექცეოდა კოლმეურნეობათა ხელმძღვანელ კადრების (გამგეობის თავმჯდომარეები, წევრები, სარევიზიო კომისიების წევრები) მომზადებას, საოლქო - სამაზრო და სარაიონო მასშტაბის მომუშავეთა მომზადების საკითხი კი უყურადღებოთ დარჩა. კოლმეურნეობათა სისტემის ეს საფეხურები ამჟამად კადრების მხრივ მეტად მძიმე მდგომარეობაში იმყოფებიან. ამ საფეხურებში თითქმის ყველგან სამუშაოდ გაგზავნილია დაბალი კვალიფიკაციის მუშაკები. ამ საკითხს სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს. განსაკუთრებით უნდა დაჩქარდეს საოლქო - სამაზრო და სარაიონო კავშირების ინსტრუქტორების მომზადება, ვინაიდან ამჟამად კავშირებს თითქმის სრულიად არა ჰყავთ მომზადებული ინსტრუქტორები.

ამხ. დუგლაძე აღნიშნავს, რომ კადრების მოსამზადებლად ხელისუფლება დიდ თანხებს ხარჯავს. უკანასკნელად ამ მიზნით გადაცემულ იქნა საგრძნობი თანხა, რომელიც კოლმეურნეობათა ცენტრმა გაანაწილა ამ ერთი კვირის წინედ, მაგრამ ადგილებს ეს თანხა ჯერაც არ მიუღიათ. თანხების დაგვიანებას სისტემატიური ხასიათი აქვს, რასაც დროზე უნდა მიექცეს ყურადღება.

ამხ. ქანთარია
(კოლმეურნეობათა ცენტრი)

აღნიშნავს, რომ ამ ორი თვის წინედ „სოფლის კავშირთან“ შეთანხმებით სას.-სამ. კოოპერაციის კავშირებს მიეცათ დირექტივა ჩამოეყალიბებიათ კავშირებთან კოლმეურნეობათა სექციები, რომლებმაც ხელმძღვანელობა უნდა გაუწიონ კოლმეურნეობებს. ეს დირექტივა ფაქტიურად აქამდე არ არის განხორციელებული.

შემდეგ ამხ. ქანთარია აღნიშნავს, რომ სას.-სამ. კოოპერაციის ცალკე მუშაკების დამოკიდებულება კოლმეურნეობათა სისტემისადმი არანორმალურია. ისინი ერთმანეთში ურევენ სას.-სამ. კოოპერაციის კავშირებთან არსებულ კოლმეურნეობათა სექციების, კოლმეურნეობათა კავშირების და სას.-სამ. კოოპერაციის კავშირების ფუნქციებს. მათ არ ესმით, რომ კოლმეურნეობათა საოლქო და სამაზრო კავშირების ფუნქციებს შეადგენს კოლმეურნეობათა იდეურ - ორგანიზაციული ხელმძღვანელობა, ხოლო სას.-სამ. კოოპერაციის კავშირების ფუნქციას — დამზადება - გასაღება, რომელიც კოლმეურნეობებში განხორციელებულ უნდა იქნეს ამ კავშირებთან არსებულ კოლმეურნეობათა სექციების საშუალებით.

ამხ. ქანთარია ეთანხმება ორატორებს, რომ კოლმეურნეობებში მოუგვარებელია ანგარიშწარმოება და აღნიშნავს, რომ ამ საქმის ერთი დაკვრით მოწესრიგება არ შეიძლება. ამჟამად სწავლობენ მუშაობა ანგარიშწარმოების მთლიანი ფორმის შესამუშავებლად, რომელიც დამტკიცების შემდეგ დაუყოვნებლივ გადაეგზავნება ადგილებს.

ვინაიდან თითეული კოლექტივი ვერ შესძლებს სპეციალური მოანგარიშის ყოლას, ერთი მოანგარიშე უნდა აიყვანოს ჯგუფურმა [illegible]. რადგან მოანგარიშეთა მომზადების დონე დაბალია, ამხ. ქანთარიას საჭიროდ მიაჩნია ბუხჰალტერ - ინსტრუქტორების ინსტიტუტის შექმნა, რომლებსაც უნდა დაევალოს კოლმეურნეობებში მომუშავე მოანგარიშეთა ინსტრუქტაჟის ხელმძღვანელობა.

ამხ. ლაჟუგიანი
(„სოფლის კავშირი“)

ეხება კოლმეურნეობათა ხელმძღვანელობაში არსებულ პარალელიზმს და აღნიშნავს, რომ კოლმეურნეობათა განვითარება - განმტკიცების საქმეში უდიდესი მნიშვნელობა აქვს სწორ ორგანიზაციულ მშენებლობას, რომელიც ასეთსავე სწორ ორგანიზაციულ ხელმძღვანელობას მოითხოვს. ამ მხრივ საქმე მთლად კარგად ვერ არის. ზოგან ადგილი აქვს ორგანიზაციულ არევ - დარევას, აფხაზეთში, მაგალითად, კოლმეურნეობათა ქვედა მშენებლობა შემდეგნაირად აქვთ განზრახული: კოლმეურნეობანი, რაიონული კავშირები და აფხაზეთის კოლმეურნეობათა ცენტრი. ამრიგად, იქ ადგილი ექნება სამ საფეხურიან სისტემას და ეს მაშინ, როდესაც იმავე რაიონებში ჩამოყალიბებული იქნება სას.-სამ. კოოპერაციის კავშირები, რომლებთანაც დაარსებული უნდა იქნეს კოლმეურნეობათა სექციები. ამხ. ლაჟუგიანი აღნიშნავს, რომ ასეთი მდგომარეობის გამო იქ ფაქტიურად ადგილი ექნება პარალელიზმს და გაუგებრობას, ამიტომ საჭიროა კოლმეურნეობათა მშენებლობის სტრუქტურა აფხაზეთში შეიცვალოს.

დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე კოლმეურნეობათა ცენტრის, კოლმეურნეობათა სექციის და კოლმეურნეობათა საოლქო კავშირების ურთიერთობას. ორატორის აზრით, კოლმეურნეობათა სამაზრო კავშირებიდან გადატანილი უნდა იქნეს სას.-სამ. კოოპერაციის სარაიონო კავშირების კოლმეურნეობათა სექციებზე, ვინაიდან კოლმეურნეობათა საოლქო კავშირები ვერ შესძლებენ კოლმეურნეობათათვის სათანადო ხელმძღვანელობის გაწევას. საოლქო კავშირების როლი უნდა შემოიფარგლოს საორგანიზაციო საკითხებით ოლქის მასშტაბით. რაც შეეხება ხელმძღვანელობას ოპერატიულ-ორგანიზაციულ დარგში, ეს საქმე მთლიანად კოლმეურნეობათა სექციების ხელში უნდა მოექცეს და კოლმეურნეობათა ცენტრმა თავისი მუშაობა მთლიანად მათი საშუალებით უნდა განახორციელოს. საოლქო კავშირი, როგორც უნივერსალური კავშირი, ვერ შესძლებს სათანადო ხელმძღვანელობის გაწევას. ეს მდგომარეობა მოითხოვს სექციების გაძლიერებას და განმტკიცებას. ამასთან ერთად აუცილებელია ჩამოთვლილ კოლმეურნეობათა ორგანიზაციებს შორის ფუნქციების გამიჯვნა, რაზედაც კოლმეურნეობათა ცენტრმა უნდა იზრუნოს.

ამხ. ხუბუა
(„საქართველოს ღვინო“)

აღნიშნავს, რომ მთავარი ყურადღება ამჟამად მიქცეული უნდა იქნეს სას. - სამეურნეო კამპანიის წარმატებით ჩატარებაზე. უნდა მივიღოთ ზომები, რომ თესვის კამპანიის მტკივნეული საკითხები დროზე მოვაგვაროთ. ერთ-ერთ ასეთ საკითხად მას მიაჩნია დამოკიდებულება კოლმეურნეობათა სისტემასა და სას.-სამ. კოოპერაციას შორის. საჭიროა ეს ურთიერთობა დაჩქარებით მოგვარდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი უარყოფით გავლენას მოახდენს თესვის კამპანიაზე.

შემდეგ ამხ. ხუბუა საჭიროთ სცნობს ღარიბთა და მოჯამაგირეთა ჯგუფების დაჩქარებით ჩამოყალიბებას კოლექტივებში, რომ ამ ჯგუფების საშუალებით უზრუნველყოფილი იქნეს კოლექტივებში კლასობრივი ხაზის სწორად გატარება.

ამხ. გ. არუთინოვი
(კოლმეურნეობათა ცენტრის თავმჯდომარე)

ამხ. არუთინოვი სავსებით ეთანხმება აჭარისტანის წარმომადგენელს ამხ. კილაძის აზრს, რომ აჭარისტანში გაძლიერებული უნდა იქნეს მარტივი ფორმის გაერთიანებათა მშენებლობა. იგი აღნიშნავს, რომ ასეთივე ფორმები გამოყენებული უნდა იქნეს სხვა ჩამორჩენილ და ეროვნულ უმცირესობათა რაიონებში (ახალ-ქალაქი, ახალ-ციხე და სხვა).

შემდეგ ამხ. არუთინოვი ეხება კოლმეურნეობათა სისტემის და სას.-სამ. კოოპერაციის ურთიერთობის საკითხს და აღნიშნავს, რომ სას.-სამ. კოოპერაციის მუშაკები ხშირად უკიდურესობაში ვარდებიან: კოლექტივიზაციის ტემპის გაძლიერების დროს სას.-სამ. კოოპერაციის ხელმძღვანელი ამხანაგები მოითხოვდნენ სას.-სამ. კოოპერაციის ლიკვიდაციას, რის წინააღმდეგაც კოლმეურნეობათა მუშაკებს დიდი ბრძოლა დასჭირდათ. ეხლა კი, როდესაც კოლექტივიზაციის ტემპი ნაწილობრივად შენელდა, სას.-სამ. კოოპერაციის მუშაკები მოითხოვენ კოლმეურნეობათა სისტემის სას.-სამ. კოოპერაციისათვის დაქვემდებარებას. ამხ. არუთინოვი აღნიშნავს, რომ სას.-სამ. კოოპერაციის მუშაკები, როგორც ამ შემთხვევაში სცდებიან. იგი მოაგონებს ამხ. კოოპერატორებს, რომ სას.-სამ. კოოპერაცია ასრულებს მომარაგებისა და დამზადება - გასაღების ოპერაციებს. კოლექტიური მეურნეობანი კი მოწოდებულნი არიან ახალ სოციალისტურ საფუძველზე გარდაქმნან სოფლის მეურნეობა, გააერთიანონ სოფლის მეურნეობის საწარმოო პროცესები, რომ ამ გზით სოფლად შეიქმნას მსხვილი სოციალისტური მეურნეობანი. როგორც სას.-სამ. კოოპერაცია, ისე კოლმეურნეობათა ცენტრი ემსახურებიან ერთსა და იმავე მიზანს — სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციას. მაგრამ მათ შორის არსებობს ზოგიერთი შეუთანხმებლობა.

ამ ორი სისტემის მუშაობის მოსაწესრიგებლად ამხ. არუთინოვი მიზანშეწონილად სცნობს მოეწყოს მესამე ორგანიზაცია, რომელიც მიუდგომლად უხელმძღვანელებს ამ ორ სისტემას და მათ მუშაობას წაიყვანს სწორი გზით.

გარდა ხსენებულ ორატორებისა, კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. გოგიბერიძემ (აჭარისტანი) და მესხიძემ (კოლმეურნ. ცენტრი). კამათის დამთავრების შემდეგ მოსმენილ იქნა ამხ. ს. ხოშტარიას საბოლოო სიტყვა.

თათბირის დახურვა

თათბირის უკანასკნელ სხდომაზე, 17 აპრილს დილით, განხილულ და დამტკიცებულ იქნა კომისიების მიერ შემუშავებული რეზოლუციები მოსმენილ მოხსენებათა გარშემო, რის შემდეგაც თათბირმა განიხილა და მოიწონა კოლმეურნეობათა სანიმუშო წესდებები, რომლებიც დამტკიცებულ უნდა იქნენ სახკომსაბჭოს მიერ.

დასასრულ თათბირმა მოისმინა კოლმეურნეობათა ცენტრის გამგეობის წევრის ამხ. ზ. ჩაბაძის საინფორმაციო მოხსენება კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციის შემოწმების შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ თანახმად საკავშირო კოლმეურნეობათა ცენტრის დადგენილებისა, ამჟამად მთელ საბჭოთა კავშირში სწარმოებს შრომის ორგანიზაციის შემოწმება კოლექტივებში. ამ შემოწმების მიზანს შეადგენს გამორკვევა იმისა, თუ რა მიღწევები ან რა ნაკლი გვაქვს ამ დარგში. ის კოლმეურნეობები, რომლებშიაც კარგად იქნება გატარებული შრომის ორგანიზაცია, დაჯილდოვებულნი იქნებიან.

შრომის ორგანიზაციის შემოწმებას საქართველოში ჩაატარებს გაზეთ „კომუნისტი“-ს რედაქცია, რომელსაც ამ მიზნით უკვე გამოყოფილი ყავს სპეციალური სამეული ამხ. ნ. კანდელაკის თავმჯდომარეობით.

შემოწმება ჩატარდება ყველა კოლმეურნეობებში. შემოწმებას ჩაატარებენ გაზ. „კომუნისტი“-ს კორესპონდენტთა ბრიგადები. ადგილებზე მომუშავე ამხანაგები ვალდებულნი არიან სათანადო დახმარება აღმოუჩინონ ხსენებულ ბრიგადებს და ხელი შეუწყონ შრომის ორგანიზაციის შემოწმების წარმატებით ჩატარებას.

ამხ. ზ. ჩაბაძის მოხსენების შემდეგ თათბირი დაიხურა.

ამხ. შ. ელიავა სენაკის მაზრის კოლექტივებში

ამიერ-კავკასიის სახკომსაბჭოს თავმჯდომარემ ამხ. შ. ელიავამ სენაკის მაზრაში დაჰყო სამი დღე. ამ ხნის განმავლობაში მან დაათვალიერა მაზრის მთელი რიგი კოლექტივები.

14 აპრილს ამხ. ელიავა სხვა ამხანაგებთან ერთად გაემგზავრა ლეძაძამეში, სადაც საუბარი ჰქონდა გლეხებთან.

ლეძაძამის სასოფლო სამეურნეო არტელში გაერთიანებულია 240 კომლი (მოსახლეობის 80 პროცენტი). კოლექტივს მიღებული აქვს ახალი წესდება, შედგენილია საწარმოო გეგმა, მინდვრის სამუშაოების უმეტესობა შესრულებულია. ჩაის კულტურისათვის დამუშავებულია 40 ჰექტარი მიწა.

კოლექტივს აქვს 63 გუთანი, ფარცხი, სათესი მანქანა, მათოხი და სხვა. ყავს 90 უღელი ხარი. „სოფლის კავშირის“ მიერ მოწყობილია ხარის კოლონა 20 უღელი ხარით. კოლექტივს განზრახული აქვს [illegible] მეძროხეობის ფერმა, შეიძინოს მეწველი ძროხები და სხვა.

კონტრაქტაცია ჩატარებულია ყველა კულტურებზე. [illegible] განწყობილება საერთოდ გლეხობაში კარგია. კოლექტივიდან გარიცხულია 30 კაცამდე მეურნეობისათვის. აქედან 15 ღარიბ-საშუალო გლეხმა ისევ შემოიტანა განცხადება უკან დაბრუნების შესახებ.

კოლმშენებლობის საქმეს გლეხობა დიდი ინტერესით ეკიდება. განსაკუთრებით დიდ გავლენას ახდენს გლეხობაზე აბრეშუმის საბჭოთა მეურნეობა და სანერგე, რომელსაც გლეხობამ დაუთმო 54 ჰექტარი საუკეთესო მიწა, განსაკუთრებით დიდი მომავალი აქვს ლეძაძამის თემში ჩაის კულტურას.

კოლექტივი სათესლე მასალით უზრუნველყოფილია. მიწები 60 ჰექტრამდე დათესილია.

იმავე დღეს ამხ. ელიავამ დაათვალიერა ნაქალაქევის, თამაკონის, დიდი-ჭყონის და კურზუს თემები.

დასახელებული თემები მთა-გორიანი ადგილებია, სადაც განსაკუთრებით ხარობს ჩაის კულტურა. დიდი-ჭყონში „საქართველოს ჩაი“ აწყობს დიდ საბჭოთა მეურნეობას, სადაც ყოველდღიურად მუშაობს რამოდენიმე ათასი მუშა.

კურზუს თემში არსებობს ჩაის რამოდენიმე კოლექტივი, მემინდვრეობის ერთი ჯგუფური გაერთიანება და აბრეშუმის სანერგე. ხვნა-თესვა დაწყებულია. იმავე თემში დაარსებულია მესაქონლეთა კავშირი, რომელშიაც შეკავშირებულია 150-მდე მესაქონლე. ამხანაგობას წევრების ყოველდღე ემატება, კავშირს დადებული აქვს ხელშეკრულება მესაქონლეობის სარაიონო კავშირთან 750 ფუთ ყველის მიწოდებაზე.

მესაქონლეობას კურზუს თემში დიდი პერსპექტივები აქვს.

კოლექტივების მუშაობით ამხ. ელიავა კმაყოფილი დარჩა.

ბ. მირცხულავა.

პოლიტგანმანათლებელი მუშაობა კოლმეურნეობებში

თბილისის ოლქში უკანასკნელ დრომდე კულტურული და პოლიტგანმანათლებელი მუშაობა არ იყო შეფარდებული სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ამოცანებთან. დღეს უკვე თბილისის პოლიტგანი შეუდგა გაცხოველებულ მუშაობას იმისათვის, რომ კოლმეურნეობები გადაიქციოს სოფლის კულტურულ კერად. თბილისის პოლიტგანს გამომუშავებული აქვს გეგმა პოლიტ-განმანათლებელი მუშაობის გასაძლიერებლად კოლმეურნეობებში. თბ. პოლიტგანმა თავის ამოცანათ დაისახა ოლქში არსებულ კოლმეურნეობების ყველა წერა-კითხვის უცოდინარ წევრებს ერთი წლის განმავლობაში შეასწავლოს წერა-კითხვა. ზაფხულის პერიოდში კომუნებში, მსხვილ არტელებში და ამხანაგობებში გაიხსნება წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლები. ამ სკოლების შესანახი ხარჯები განაწილებული იქნება შემდეგ ორგანიზაციებზე: ცაკავშირზე საერთო თანხის 20 პროც., სოფლის კავშირზე—15 პროც., საზ-ბა „წერა-კითხვაზე“—20 პროც., საშეფო საზოგადოებაზე 10 პროც. და თბ. საოლქო პოლიტგანზე 35 პროცენტი.

კოლმეურნ. წევრების მოსამზადებლად, მათი პოლიტიკური და სასოფლო-სამეურნეო ცოდნის დონის ასამაღლებლად მსხვილ კოლმეურნეობებში წელს გაიხსნება კურსები და აგრეთვე მოეწყობა გლეხთა საერო სკოლები. მიმდინარე წელსვე კომუნებში, არტელებში და სამკითხველოებთან ჩამოყალიბებული იქნება 80 აგრონომიული წრე. წრეების ხელმძღვანელებათ გამოყოფილი იქნებიან ადგილობრივი აგრონომები, მასწავლებლები და სხვა კულტურული ძალები. მოწყობილი იქნება აგრეთვე საკოლმეურნეო მშენებლობის შემსწავლელი წრეები, რომლებსაც პროგრამებსა და პოპულარულ ლიტერატურას მიაწვდის თბ. საოლქო პოლიტგანი. ოლქში არსებული სამკითხველოები და ბიბლიოთეკები შევსებული იქნება უმთავრესად პოპულარული სასოფლო-სამეურნეო ხასიათის ლიტერატურით. ამიერიდან ყველა კულტურული დაწესებულება პირველ რიგში მოემსახურება კოლმეურნეობებს. პოლიტგანი დახმარებას გაუწევს კოლმეურნეობებს აგრეთვე კინოთი და რადიოთი. უკვე შეძენილია 2 მოძრავი კინო სპეციალურად კოლმეურნეობებისათვის.

ცნობები კოლექტივიზაციის ფრონტიდან

(ჩვენი საქ. კორესპონდენტებისა და ა-კ. დეპ. სააგენტოსაგან)

ახალი ბაღების გაშენება

გორი, 17 აპრილი. (საქ. კორ.). ამჟამად გორის ოლქში გამოყოფილია 433 ჰექტარი საბაღე მიწა, რომელზედაც დაწყებულია მუშაობა ხეების დასარგავად. ხეხილის ძირები შეძენილია ხვრის და მერეთის საბჭოთა მეურნეობებში. ამ დღეებში დაიწყება ხეხილის დარგვა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ მუშაობას ჩაშლა მოელის და 70 ათასი მანეთი, რომელიც ამ საქმეზე იხარჯება, წყალში გადაყრილი იქნება, თუ მიწის ეს ნაკვეთი არ იქნა შემორაგული რკინის მავთულით. ჯერ-ჯერობით მავთული ვერსად იშოვნა ოლქმა.

—:—

კოლმეურნეობათა სარაიონო კავშირები სუსტათ მუშაობენ

გორი, 17 აპრილი. (საქ. კორ.). კოლმეურნეობათა სარაიონო კავშირებს არ მოეპოვებათ ცნობები ძირითად კოლმეურნეობების სამეურნეო საქმიანობის მიმდინარეობის შესახებ. მაგ., მათ არ იციან დღემდე რამდენი ჰექტარი მიწა არის მოხნული და დათესილი კოლმეურნეობებში. საერთოდ, ცნობების შეგროვების მხრივ ძლიერ ჩამორჩება კასპის და გორის რაიონი.

—:—

მევენახეობის განვითარება

გორი, 17 აპრილი. (საქ. კორ.). გორის ოლქში მევენახეობის განვითარებას დიდი ყურადღება ექცევა. ამჟამად უკვე გამზადებულია კოლმეურნეობებში 20 ჰექტარი მიწა სანერგეთ, საბჭოთა მეურნეობებში 7 ჰექტარი და კერძო სექტორში 3 ჰექტარი. დაიწყო ვაზის მყნობა. ატენის სანერგე წელს დამყნის 120.000 ვაზს, ხაშურის რაიონში დაიმყნება 20 ათასი ძირი, ალაიანის კოლმეურნეობის მიერ წელს დამზადებული იქნება 150 ათასი ძირი ნერგი. მთელ ოლქში წელს დაიმყნება 400 ათასი ძირი ვაზი. საძირე და სანაყოფე მასალა უკვე მიღებულია. უმთავრესათ დაიმყნება სუფრის ჯიშები, ექსპორტის ყურძენი, რომელსაც განვითარების ხელსაყრელი პირობები აქვს გორის და კასპის რაიონში.

გორის მახლობლათ მდებარე კვერნაკის ფერდობზე წელს გაშენებული იქნება 60 ჰექტარი ვენახი. მომავალ წლისათვის აქ უნდა გაშენდეს მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა 600 ჰექტარზე.

—:—

ბოსლების აგება

გორი, 17 აპრილი. (საქ. კორ.). ტირიფონის ველზე და სოფ. კასპში უკვე დაიწყო სახარკამეჩო კოლონებისათვის ბოსლების აგება. ოლქაღმასკომი შეუდგა მესამე კოლონის მოწყობას 80 უღელი ხარკამეჩით.

ბოსლების აგებას ხელმძღვანელობენ თბილისიდან მოვლინებული ტეხნიკოსები. მუშაობა დამთავრდება ორ თვეში. საალმშენებლო მასალის მხრივ დაბრკოლება არ არის.

მშრომელ ებრაელების მიწათმოწყობა

გორი, 17 აპრილი. (საქ. კორ.). ქართლის მშრომელ ებრაელებმა, რიცხვით 76 კომლმა, შუამდგომლობა აღძრეს გორის ოლქაღმასკომის წინაშე კახეთის ოლქში გადასახლების და მიწათმოწყობის შესახებ. გორის ოლქაღმასკომი მშრომელ ებრაელების ნაწილს აწყობს ტირიფონის ველზე, დანარჩენების შესახებ კი შუამდგომლობს ცენტრის წინაშე, რომ ისინი დასახლებულ იქნენ კახეთის ოლქში. გარდა ამისა, გორის მახლობლათ და გორში მცხოვრებ ებრაელებისათვის გამოყოფილ და მოწყობილ იქნა 137 ჰექტარი საბაღე და საბოსტნე მიწა, რომელზედაც მოეწყობა მშრომელ ებრაელთა კოლმეურნეობა.

ვინაიდან ებრაელთა შორის ბევრია შავსიელი, ამიტომ ოლქაღმასკომმა გამოყო კომისია მათი სიების გადასასინჯად.

—:—

სავეტერინარო ქსელის გაფართოება

გორი, 17 აპრილი. (საქ. კორ.). ზოომინიმუმის გატარებისა და საქონლის დაავადებასთან ბრძოლის გაძლიერების მიზნით, ოლქაღმასკომმა გააფართოვა ვეტერინარული პუნქტების ქსელი 5 ერთეულით.. ვეტექიმების მიერ თესვის დაწყების დროს გასინჯულ იქნა მუშა-საქონელი. უკანასკნელ თვეებში საგრძნობლათ იკლო მუშა-საქონლის სიკვდილიანობამ, რასაც ხელი შეუწყო თავის დროზე მიღებულმა პროფილაქტიურმა ზომებმა.

—:—

ბამბის თესვა სიღნაღის რაიონში

სიღნაღი, 17 აპრილი. (საქ. კორ.). ბამბის თესვა სიღნაღის რაიონში გეგმიანათ სწარმოებს. წელს რაიონში უნდა დათესილიყო 1422 ჰექტარი ბამბა. ლაგოდეხის სატრაქტორო კოლონის მიერ ალაზნის ველზე მოხნული საბამბე მიწები ნაწილობრივ უვარგისი გამოდგა. საჭიროა მათი ხელმეორედ გადახვნა, მაგრამ სატრაქტორო კოლონის ხელმძღვანელი ვასო ხელაშვილი ჯიუტობს, რითაც ბამბის თესვა ფერხდება. კონტრაქტაცია ნელი ტემპით მიმდინარეობს. დღემდე არ არის გამორკვეული რამდენ ჰექტარ ბამბაზეა ჩატარებული კონტრაქტაცია. უკანასკნელი ცნობებით კონტრაქტაციით დათესილია 840 ჰექტარი, მაგრამ არც ეს ციფრია რეალური. სიღნაღის მემინდვრეობის კავშირმა მებამბეებზე გასცა 8.500 მანეთი გრძელვადიანი სესხი, მაგრამ მებამბეები ბამბის დასათესად ჯერ არაფერს აკეთებენ. რაიონებსა და დაწესებულებებს შორის ადგილი აქვს ბიუროკრატიულ მიწერ-მოწერას.

ყველა კუთხეებიდან

მამათის (გურია) მთლიან კოლექტივმა დამთავრდა ხელისმოწერა სასოფლო-სამეურნეო არტელის ახალ წესდებაზე. სოფლის მოსახლეობის 332 კომლიდან ხელი მოაწერა 273 კომლმა. დანარჩენები ზოგი ხმაჩამორთმეულია, ზოგიც ქალაქად არის წასული. კოლექტივში შესასვლელი შესატანი გაწერილია. შესატანის საერთო თანხა უდრის 2.174 მანეთს. უ.

—:—

ოზურგეთის რკინის გზის მუშა-მოსამსახურეებმა შეფობა აიღეს სილაურის კოლექტივზე. შეფმა კოლექტივს ერთი წლით გამოუწერა გაზ. „კომუნისტი“, „საბჭოთა აჭარისტანი“ და „კოლექტივიზაცია“ და უფასოდ გაუგზავნა 23 ფუთი სათესლე კარტოფილი. ქ.

—:—

აბაშაში 4 აპრილისათვის ტრაქტორებით მოხნული იყო 2.300 ჰექტარი. კოლექტივების განმტკიცებასთან ერთად მატულობს მათი რაცხვი. გლეხობა აღტაცებით ეგებება ტრაქტორებით მუშაობას. სატრაქტორო სადგურს განზრახვა აქვს შემოიღოს ღამით მუშაობა. კანდელი.

დიღმის ველზე, წითელ დუქანთან, მინდორზე მიტოვებულია ტრაქტორი, რომელიც ეკუთვნის სოფ. დიღმის ამხ. სტალინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელს. ტრაქტორი წვიმისაგან და ქარით მიყრილი მტვერისაგან ოხრდება. ტრაქტორისტმა არა ერთხელ მიმართა თხოვნით არტელის გამგეობას, რომ ტრაქტორისათვის გაეკეთებიათ რაიმე ფარდული, მაგრამ გამგეობა ყურსაც არ იბერტყავს. საჭიროა ამას ყურადღება მიექცეს. დიღმელი.

—:—

მარტვილის რაიონში მიწების პირველი მოხვნა დამთავრებულია კოლმეურნეობებში 85 პროცენტით, საბჭოთა მეურნეობებში ასი პროცენტით და ინდივიდუალურ მეურნეობებში 50 პროცენტით. 25 მარტიდან კოლმეურნეობები შეუდგნენ თესვას. დიდი ყურადღება ექცევა სათესლე ფონდის განაწილებას. დღემდე დარიგებულია მთელი სათესლე მასალის 65 პროცენტი. მემინდვრეობის კავშირმა „სოფლის კავშირისაგან“ მიიღო 150 გუთანი, მაგრამ ამ გუთნებს აკლია ნაწილები, რის გამო ისინი უსარგებლოდ ჰყრია. ბ. უ.

საბჭოების ახალი ამოცანები

ამხ. ფ. მახარაძის მოხსენება ა. წ. 9 აპრილს რესპუბლიკანურ თათბირზე საბჭოების ახალი ამოცანების შესახებ

ამხანაგებო, ჩემი მოხსენება შეიცავს საბჭოების ახალი ამოცანების გაშუქებას. აქ უმთავრესად ჩვენ გვაქვს მხედველობაში სოფლის საბჭო, მაგრამ შეიძლება ქალაქის საბჭოებსაც შეეხოთ.

საბჭოები, როგორც თქვენ იცით, წარმოადგენენ პროლეტარიატის დიქტატურის ორგანოს. ეს დებულება არავისათვის ახალი არ არის. ეს საყოველთაოდ მიღებულია და ყველა ჩვენთვის ურყევია. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამის განმეორება ზედმეტი არ არის, იმიტომ, რომ ხშირად ჩვენ ვივიწყებთ ამას მუშაობის დროს. ამიტომ ბევრი ფიქრობს, რომ საბჭოები,— ეს მეორე და მესამეხარისხოვანი ორგანოებია, მაშინ, როცა საბჭოებისათვის ჩვენი პარტია იბრძოდა რამოდენიმე ათეული წლების განმავლობაში. თქვენ იცით, თუ რა მნიშვნელობას აძლევდა საბჭოებს ლენინი, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის ორგანოს, რომლებიც განსაზღვრულ ეპოქაში, განსაზღვრულ დროში ასრულებენ უდიდეს დანიშნულებას. ერთის მხრივ, ისინი ემსახურებიან კლასების საბოლოოდ მოსპობას და მეორეს მხრივ აწარმოებენ მუშაობას სოციალიზმის და კომუნიზმის დასამყარებლად. აი ის უდიდესი ამოცანები, რომლებიც დასახული იქნენ ჯერ კიდევ პროლეტარიატის უდიდეს იდეოლოგების: მარქსის, ენგელსისა და ლენინის მიერ. როცა შესრულებული იქნება ეს უდიდესი ამოცანები, მაშინ საბჭოები—როგორც გამომხატველი პროლეტარიატის ნებისყოფისა, მისი დიქტატურისა—თავის თავად გაქრებიან.

პრაქტიკამ დაგვანახვა, რომ ვერ შევძლებთ იმ ამოცანების შესრულებას, რომლებიც დღეს ჩვენს წინაშე დგანან, თუ საბჭოების მუშაობა არ გადახალისდა. ცხოვრება საბჭოთა კავშირში წინ უსწრებს ყველა ჩვენ გეგმებს. ის, რაც ჩვენ განზრახული გვქონდა შარშან, რაც უნდა განხორციელებულიყო ერთი წლის შემდეგ, დღეისთვის ის განვლილი არის. მე მოვიყვან აქ რამოდენიმე ციფრებს სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის შესახებ. 1928 წლის პირველ ოქტომბრის მთელ საბჭოთა კავშირში კოლექტივში გაერთიანებული იყო 595,4 ათასი გლეხის ოჯახი, რაც შეადგენდა მთელი რაოდენობის 2 პროცენტს. 1929 წლის 1 ივნისისათვის ეს რიცხვი ავიდა 1.094.000-მდე, ანუ 4,1 პროც. იმავე 1929 წ. პირველ ოქტომბრისათვის ეს რაოდენობა ავიდა 1.943 ათასამდე, რაც შეადგენდა 7,5 პროც. ხოლო 1930 წ. 1 მარტისათვის ეს ციფრი ავიდა 14.264 ათასამდე, რაც შეადგენს მთელ გლეხურ მეურნეობათა რიცხვის 55 პროცენტს. გეგმით კი სულ სხვა იყო გათვალისწინებული, ბევრად ნაკლები. დიდი-დიდ 1930 წ. გაზაფხულისათვის გათვალისწინებული იყო გლეხურ მეურნეობათა საერთო რაოდენობის 20—30 პროც. გაერთიანება.

აქედან თქვენ ხედავთ, როგორი ტემპით ვითარდება ჩვენი სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია. მაგრამ უნდა მოვახსენოთ, რომ იმ დროს, როცა კოლექტივიზაციის ტალღა ასე მაღლა ავიდა, როცა გლეხკაცობის ძირითადი მასები გაემართნენ, შეიძლება ითქვას, სტიქიურად კოლექტივიზაციისაკენ, იმ დროს საბჭოთა ხელისუფლების ორგანოები და პარტიული ორგანოებიც ვერ აღმოჩნდნენ თავის სიმაღლეზე, რომ ამ დიდი მოძრაობისათვის გაეწიათ სათანადო ხელმძღვანელობა. რასაკვირველია, ჩვენ აქ არავის ბრალს არ ვდებთ, ჩვენ აქ მხოლოდ ფაქტებს აღვნიშნავთ. ის გარემოება, რომ ჩვენი სოფლის საბჭოები ვერ იყვნენ სათანადოთ მომზადებული ამ დიდი ამოცანისათვის—ეს არ არის მათი ბრალი, არამედ უბედურებაა. რა იყო ამის მიზეზი? რასაკვირველია მოუმზადებლობა.

არ უნდა დავივიწყოთ ის, რომ ეხლანდელი საბჭოები არჩეული იქნენ დაახლოებით 1 წლის წინათ, როცა კოლექტივიზაციის ტემპი სოფლად ჯერ კიდევ მეტად სუსტი იყო, როცა [illegible] ჯერ კიდევ ინდივიდუალურ, კერძო გლეხურ მეურნეობაზე ვამყარებდით. ამიტომ ამ საბჭოებსაც სწორედ ასეთი გეზი მიეცათ. იმათ ეჭირათ მთავარი გეზი აი ამ კერძო, ინდივიდ. მეურნეებზე. რა თქმა უნდა, ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ სოფლის საბჭოებს არ უნდა აეღოთ ალღო შექმნილი მდგომარეობისათვის, არ უნდა ეგრძნოთ ანგარიში იმ მოძრაობისათვის, რომელიც მათ თვალწინ გადაიშალა. უნდა ითქვას, რომ მთელ რიგ შემთხვევებში ჩვენ მივიღეთ სოფლის საბჭოების ან განდგომა კოლმეურნეობრივი მოძრაობისაგან, ან მისთვის ხელის შეშლა. არსებითად ეს ნიშნავდა კულაკობისათვის მხარის დაჭერას, მაგრამ როცა მიიღეს დირექტივა, რომ ჩაერიონ ამ მოძრაობაში, გაეწიათ მისთვის სწორი ხელმძღვანელობა, აი სწორედ მაშინ გამოაშკარავდა, რომ ისინი ამისათვის ვერ იყვნენ სათანადოთ მომზადებულნი. ამ დროს ჩვენ მივიღეთ უკვე მეორე გადახრა, „მემარცხენეობისაკენ“ —აქედან გადამახინჯება და გამოყენება პარტიული და საბჭოთა ხაზისა კოლექტივიზაციის საქმეში, რასაკვირველია, ეს არ მომხდარა მარტო ჩვენში. ეს, როგორც თქვენ კარგად უწყით, საერთო მოვლენად შეიქმნა მთელ საბჭოთა კავშირში. ნურავინ ნუ იფიქრებს, რომ ამით რაიმე კატასტროფა მოხდა კოლექტივიზაციის საქმეში. რასაკვირველია, არა. ჩვენ ამას სრულებით არ ვფიქრობთ. მაგრამ ყველა თქვენთაგანმა იცის, რომ სოფლის ორგანოების მიერ დაშვებული იქნა მთელი რიგი უშნოებანი, რამაც ხელი შეუწყო კულაკობას გადაეყვანა თავის მხარეზე გლეხკაცობის საკმარისი რაოდენობა არა მარტო საშუალო, არამედ ღარიბი გლეხობისაც, და წარმოიდგინეთ მოჯამაგირეობისაც კი, განსაკუთრებით ქალების, რამაც, რა თქმა უნდა, დიდად დააბრკოლა ეს საქმე. რასაკვირველია, ეს ხაზი დღეს გამოსწორებულია. მიღებულია სათანადო ზომები. მაგრამ ჩვენ ვერ ვიტყვით იმას, რომ ამით უზრუნველყოფილია სოფლის სოციალისტური გარდაქმნა.

სანამ საბჭოების დღევანდელ ამოცანებზე გადავიდოდე, საჭიროა უპირველეს ყოვლისა ვიცოდეთ, თუ რას წარმოადგენენ დღეს ჩვენი საბჭოები. რას აკეთებენ ისინი? რა თქმა უნდა საბჭოებს დიდი მიღწევები აქვს. თქვენ იცით, რომ უკანასკნელი წლების განმავლობაში პარტია ღებულობდა ყოველგვარ ღონისძიებებს საბჭოების გამოსაცოცხლებლად, მათ გასაჯანსაღებლად, მათი მუშაობის გასაუმჯობესებლად. თავის თავად იგულისხმება, რომ ამ მუშაობამ სათანადო ნაყოფი გამოიღო. თქვენ იცით, რომ ერთ დროს (1921-23 წ.) საბჭოების მუშაობა თითქმის ჩამქრალი იყო, მაშინ პარტიამ მიაქცია ამ გარემოებას უდიდესი ყურადღება და ჩქარა გამოკეთდა საქმე. მიუხედავად ამისა მთლიან კოლექტივიზაციაზე გადასვლის დროს, ერთი მხრით, და კლასობრივი ბრძოლის გამწვავების ხანაში სოფლად, მეორე მხრით, ჩვენ წინაშე წარმოიშვნენ მეტად რთული ამოცანები სოფლად, რომელთა გადაჭრის საქმეში სოფლის საბჭოები უმეტეს ნაწილად უძლური გამოდგნენ.

მე უნდა მოვიყვანო აქ რამოდენიმე ფაქტი სოფ. საბჭოების მუშაობის დასახასიათებლად. მე დავასახელებ მხოლოდ უარყოფით მოვლენებს. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, თუ რა ნაკლი აქვს დღევანდელ საბჭოს. უნდა გამოვიდეთ აქედან, რომ მივიღოთ სათანადო ღონისძიებანი.

ჩემს განკარგულებაში არის, სხვათა შორის, მოხსენება იმ გამოკვლევის შესახებ, რომელიც მოახდინა საქართველოს ცაკის ორგანიზაციულ განყოფილებამ დაახლოებით ამ ნახევარი წლის წინათ, ოქტომბერში, რასაკვირველია, ეს გამოკვლევა სრულებით არ შეიძლება ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად, ვინაიდან გამოკვლეულ იქნა მხოლოდ 19 სოფლის საბჭო. მთელ საქართველოში კი 688 სოფლის საბჭოა. მაშასადამე, გამოკვლევა შეეხო მხოლოდ საერთო რიცხვის 2,7 პროცენტს. ეს გამოკვლევა არ შეეხებია ისეთ რაიონებს, როგორიცაა ქუთაისის და კახეთის ოლქები, სენაკის და ოზურგეთის მაზრები. ამ ოლქებში და მაზრებში არც ერთი საბჭო არ ყოფილა გამოკვლეული. გამოკვლეულ იქნენ: სამხრეთ ოსეთში 3 საბჭო, ბორჩალოს რაიონში—6, ახალქალაქის მაზრაში—3, ახალციხის მაზრაში—3, გორის ოლქში—1 და ზუგდიდის მაზრაში—3. რა თქმა უნდა, ასეთი გამოკვლევა ვერ მოგვცემს სწორ სურათს საბჭოების მუშაობის შესახებ მთელ საქართველოში. მაგრამ მიუხედავათ ამისა დასახელებული გამოკვლევა მაინც საყურადღებოა. ის იძლევა ერთნაირ წარმოდგენას საბჭოების მუშაობის შესახებ. რასაკვირველია, ჩვენში ალბათ მოიძებნებიან მუშაობის მხრივ უფრო დამაკმაყოფილებელი საბჭოები. ყოველ შემთხვევაში ის, რაც მოგვცა ამ გამოკვლევამ შეიძლება გამოვიყენოთ ჩვენი სოფლის საბჭოების მუშაობის დასახასიათებლად რამდენიმედ მაინც. მე მივაქცევ თქვენს ყურადღებას შემდეგ ფაქტებს.

ავიღოთ, მაგ., საბჭოების მუშაობა სასოფლო-სამეურნეო დარგში. რას ვხედავთ აქ ჩვენ? ვხედავთ იმას, რომ სასოფლო მეურნეობის დარგის საკითხებზე მსჯელობა ყოფილა გამოკვლეულ საბჭოებში მხოლოდ 10 პროცენტში; დანარჩენებში სრულიად არ ისმულა კითხვა ამაზე. მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ის, რომ ეს გამოკვლევა მოხდა დაახლოებით 5-6 თვის წინ, ე. ი. ისეთ დროს, როდესაც კოლექტივიზაციის საკითხი უკვე აქტუალურ საკითხად იყო გადაქცეული. რაც შეეხება ისეთ საკითხს, როგორიცაა კოლექტივიზაცია, სრულებით არ ყოფილა დაყენებული. პირიქით, გამოკვლევის დროს ადგილი ჰქონდა შემდეგ ფაქტს: ზუგდიდის მაზრაში გლეხ-ქალების ერთმა ჯგუფმა მოიწადინა ჩაის კოლექტივის დაარსება და დახმარებისათვის მიმართეს სოფლის საბჭოს, მაგრამ ამაოდ. საბჭოდან ვერავითარი პასუხი ვერ მიიღეს. წარმოიდგინეთ ნახევარი წლის წინად ზუგდიდის მაზრაში ქალების ერთი ჯგუფი აყენებს საკითხს კოლექტივის მოწყობის შესახებ (კიცხის თემში), მაგრამ მას საბჭო ყურადღებას არ აქცევს. უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ სხვათა შორის, შემდეგ ზუგდიდის მაზრაში ქალებმა გამოიჩინეს დიდი აქტივობა, მაგრამ არა კოლექტივიზაციის სასარგებლოდ, არამედ მის წინააღმდეგ. აქედან ჩვენ ვხედავთ, რომ საბჭომ, როცა საჭირო იყო ვერ მიაქცია ყურადღება ქალების ინიციატივას კოლექტივიზაციის საქმეში. სამაგიეროთ შემდეგში კულაკებმა გამოიყენეს ქალების აქტივობა უკვე კოლექტივიზაციის წინააღმდეგ. ეს მეტად საგულისხმიეროა. თქვენ იკითხავთ, რას აკეთებდენ საბჭოები, სას.-სამეურნეო სექციები, რას აქცევდენ ისინი ყურადღებას? გამოკვლევის მასალები ამბობენ, რომ ეს სექციები თითქმის განსაკუთრებით იხილავდნენ საკითხს მიწების ჩამორთმევისა და ან ჩამორთმეულ მიწების დანაწილების შესახებ. აი თუ გნებავთ გადამახინჯების მაგალითები სოფლის საბჭოების სას.-სამეურნეო სექციების მხრივ. ასეთ ფაქტებს მრავალ ადგილას ჰქონდა ადგილი.

ახლა, განვიხილოთ, თუ როგორ ხდებოდა ზოგიერთ შემთხვევაში კოლექტივების ორგანიზაცია, არც მაზრის და არც სოფლის ხელისუფლება ამ საქმეში არავითარ დაინტერესებას არ იჩენდა. ახალციხის მაზრაში დაარსებულ იქნა კარლ მარქსის სახელობის კოლექტივი. წარმოიდგინეთ, ეს კარლ მარქსის სახელობის კოლექტივი მიწებს ართმევდა არა შეძლებულ გლეხებს, არამედ უმეტესად საშუალო და ღარიბ გლეხებს. გამოაშკარავდა, რომ ეს ღარიბი გლეხობა, რომელსაც ჩამოართვეს მიწა და რომელიც შემდეგ თხოულობდა კოლექტივში მიღებას მაინც, კოლექტივში არ მიიღეს. მე უნდა განვაცხადო, რომ ასეთ ფაქტებს სხვა ადგილასაც ჰქონდა ადგილი, მაგ., კახეთის ოლქში, ამავე ახალციხის მაზრაში ყოფილა კოლექტივი სოფელ ასპინძაში, შემდგარი 8 კაცისაგან. ეს მეტად ახირებული კოლექტივი გამოდგა. ჯერ ერთი ის, რომ ამ კოლექტივში ოჯახიდან შედიოდა მხოლოდ ერთი წევრი. შემდეგ კოლექტივმა საკრედიტო ამხანაგობისაგან მიიღო სესხი 800 მან. მუშა-საქონლის შესაძენად და ამ ფულით კოლექტივის წევრებმა იყიდეს თავისი საკუთარი საქონელი. ეს იყო პირდაპირი დატყუილება. ასეთი მაგალითი ხდება ხელისუფლების თვალწინ, როგორც სოფლის საბჭოს, ისე მაზრის. იმავე ახალციხის მაზრაში იყო კოლექტივი ყოფილ მემამულის თავმჯდომარეობით. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, სახელს უტეხდა კოლექტივიზაციას მშრომელი გლეხების თვალში. ყველამ იცის, რომ ამ უკანასკნელ დროს სოფლად გამწვავდა კლასობრივი ბრძოლა. ეს იმას ნიშნავს, რომ, როცა ჩვენი პოლიტიკა ტარდება ცხოვრებაში სოფლად, ეს იწვევს კულაკების მხრით ბრძოლის გაძლიერებას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. ეს ახალი ამბავი არ არის. მერე რას აკეთებს ამ დროს სოფლის ხელისუფლება—სოფლის საბჭოს ხაზით? ამის დასახასიათებლად შეგვიძლია მოვიყვანოთ გამოკვლევიდან ასეთი მაგალითი, სოფ. ხერთვისში (ახალქალაქის მაზრა) არის რამდენიმე შეძლებული გლეხი—კულაკი, რომელნიც ავიწროებენ გლეხკაცობას, მაგრამ ამის წინააღმდეგ ხმისამოღება არავის შესძლებია. ამხანაგმა, რომელიც ახდენდა გამოკვლევას, მოიწადინა გამოეწვია ღარიბ გლეხობის აქტივობა, მაგრამ ხმა ვერავის ვერ ამოაღებინა. ბოლოს გამოსულა ერთი კომკავშირელი და უთქვამს: „ჩვენ დაშინებული ვართ კულაკებისაგან“-ო. რას ამტკიცებს ეს, ამხანაგებო? ეს იმას ამტკიცებს, რომ ადგილობრივი ხელისუფლების მფარველობის ქვეშ, შეიძლება ითქვას ამ შემთხვევაში, შეძლებული გლეხობა ჩაგრავს ღარიბ გლეხობას. ეს ხდება საბჭოთა ხელისუფლების დროს.

ბორჩალოს რაიონში არსებობს ს. გომარეთი, სადაც მიწის რეფორმა რევოლუციის შემდეგ არ ჩატარებულა (ხმები—ოოოოო!)... განსაკვირი აქ არაფერია, ამხანაგებო, მე ვიცი უფრო დაწინაურებული ოლქების და მაზრების სოფლები, სადაც იგივე მოვლენაა. აიღეთ, თუ გნებავთ, ქუთაისის ოლქი. თვით ქუთაისის მახლობლად გამოირკვა, რომ ძველ მებატონეებს აქამდის შერჩენიათ 20-30 ქცევა მიწა, რომელსაც ისინი აქირავებდნენ იჯარით გლეხებზე და თვითონ დაბეტიალობდნენ. ამიტომ მე სრულებით არ გამიკვირდა გომარეთის ამბავი. ამავე დროს შეძლებული გლეხობა, კულაკობა, ყოფ. მემამულეები კიდევ განაგრძობენ პარაზიტობას. ეს სამწუხარო გარემოებაა. გამოკვლევა იძლევა მრავალ მაგალითებს, როცა ღარიბი გლეხი კოოპერატივიდან ფულით ვერ იღებს პირველ მოთხოვნილების საგნებს, როგორიცაა ნავთი, მარილი, საპონი და სხვ. მაშინ, როცა შეძლებული გლეხისთვის კოოპერატივის კარები ღიაა. მე ქვევით კიდევ შევჩერდები კოოპერატივის მუშაობაზე, რადგან საბჭოები უმეტეს ნაწილად ან სრულებით არავითარ ყურადღებას აქცევენ კოოპერატივის მუშაობას ან თუ აქცევენ, ძლიერ ნაკლებს.

ბორჩალოს რაიონის შესახებ გამოკვლევა შემდეგ დასკვნას იძლევა: ადგილობრივი [illegible] ღარიბი გლეხების აქტივობას კულაკობის წინააღმდეგ არავითარ ყურადღებას არ აქცევენ, ეს მეტად საგულისხმიერო უნდა ყოფილიყო იმ ამხანაგებისათვის, რომლებმაც ადგილობრივი მდგომარეობის გაუცნობლად მოისურვეს იქ მთლიანი კოლექტივიზაციის გატარება და შემდეგ სასტიკად დამარცხდნენ ამ საქმეში. იმის მაგიერ, რომ ჯერ გაეცნობოდნენ ადგილობრივ პირობებს, შეედგინათ ღარიბი გლეხების და მოჯამაგირეების ჯგუფები და იმათზე დაეყრდნობოდნენ კულაკობის წინააღმდეგ, ეს მათ არ მოისურვეს. ჩვენ ვიცით, რომ საბჭოები არაფერს აკეთებდნენ გლეხკაცობაში კულაკობის გავლენის შესასუსტებლად. გამოკვლევაში სწერია: „კულაკები აწარმოებენ აქტიურ ბრძოლას კოლმეურნეობების და კოლექტივიზაციის წინააღმდეგ; კულაკობა უმორჩილებს თავის გავლენას საშუალო გლეხობას და თითქმის ღარიბ გლეხობასაც კი“. საგულისხმიეროა ის, რომ ამ ფაქტს ადასტურებდა იქ ჩატარებული გამოკვლევა უფრო ადრე, ვინემ ჩვენ ამ გაკვეთილს მივიღებდით. აი სადაა ჩვენი დიდი ნაკლი და დეფექტი, რომ სინამდვილეს ანგარიშს არ უწევთ და ვფიქრობთ, რომ ამას ჩვენთვის მნიშვნელობა არ აქვს.

აქ მოვიყვან კიდევ ერთ კურიოზულ მაგალითს იმის დასამტკიცებლად, თუ ადგილობრივი ხელმძღვანელობა როგორ არ სდგას თავის სიმაღლეზე. აი მაგ. ახალციხის მაზრის ერთ-ერთ სოფელში, საგონეთში (აწყურის თემი) ამს წინათ ააშენეს მეჩეთი, რაზედაც დაიხარჯა თვითდაბეგვრის წესით შეგროვილი ათი ათასი მანეთი. წარმოიდგინეთ, ამაში მონაწილეობა მიუღია ადგილობრივ გლეხკომს და ზოგიერთ პარტიულებს და კომკავშირელებსაც. ახლა ვიკითხოთ: როგორ იყო ან როგორ არის დღესაც დაყენებული ჩვენ საბჭოებში მუშაობა ღარიბ გლეხკაცობაში და მოჯამაგირეობაში?

რამდენი მელანი და ქაღალდი დაიხარჯა ცირკულიარების და ინსტრუქციების წერაზე, ინსტრუქტორებს რომ თავი გავანებოთ, იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იყოს მოწყობილი ღარიბთა და მოჯამაგირეთა ჯგუფები და რისთვის არის საჭირო ეს ჯგუფები. ქაღალდზე ყველაფერი ეს არის, მაგრამ სინამდვილეში თითქმის არაფერი არ გაკეთებულა. ამ გარემოებამ დიდი გაუგებრობა გამოიწვია, განსაკუთრებით მთლიან კოლექტივიზაციის ჩატარების დროს: რა გამოაშკარავდა? გამოაშკარავდა ის, რომ ხშირად ჩვენს სოფელში შეძლებული გლეხკაცობა—კულაკობა უმორჩილებს თავის გავლენას არა თუ საშუალო გლეხკაცობას, არამედ ღარიბი გლეხების და მოჯამაგირეების საკმარისად დიდ ნაწილს. მეტად სამწუხარო მდგომარეობა. საბჭოთა ხელისუფლება თითქოს დაინტერესებული არ იყოს ამაში, თითქოს ღარიბებთან მუშაობა ეს უბრალო ფორმალობა იყოს. ეს დამტკიცდა მთლიან კოლექტივიზაციის ჩატარების დროს.

რაც შეეხება მოჯამაგირეობას, აქაც იგივე მდგომარეობაა: ქაღალდზე თითქოს ყველაფერია, მაგრამ არსებითად არაფერი არ კეთდება, ანდა შეიძლება ცოტაოდენი რამ კეთდება ზოგიერთ ადგილებში. როგორც გამოკვლევა ამტკიცებს და პირადი ჩემი დაკვირვებაც, ვიცი, ერთ-ერთ რაიონში, განსაკუთრებით კახეთის ოლქში, მოჯამაგირეობის დიდი ნაწილი კოლექტივიზაციის წინააღმდეგ გამოვიდა და იცავდა კულაკებს. ეს იმას ამტკიცებს, რომ მათთვის არასოდეს არ აუხსნიათ, თუ რას ნიშნავს საბჭოთა ხელისუფლება, კომუნისტური პარტია.

შეუძლებელია არ შევჩერდეთ აქ საბჭოების მუშაობაზე ქალთა შორის. მეტია ლაპარაკი იმაზე, თუ რას წარმოადგენს საბჭოთა ხელისუფლება ქალებისათვის. თუ ოდესმე ან სადმე რამიმე გაკეთებულა ქალების სასარგებლოდ, იმათი მონობისაგან დასახსნელად, ეს მოხდა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს. რა თქმა უნდა, ჩვენ ბევრი მიღწევები გვაქვს ამ მხრივ. ვინ არ იცის, რომ ქალები ჩვენში წამოყენებული არიან საპასუხისმგებლო პოსტებზე, მუშა ქალები და გლეხი ქალები ისევე, როგორც მამაკაცები ჩაბმული არიან საბჭოების, პარტიულ და პროფკავშირულ მუშაობაში. ვინ არ იცის, რომ უკანასკნელი წლების განმავლობაში სხვადასხვა დარგებში ჩაბმულ ქალთა რიცხვი იზრდება. მარტო სასოფლო საბჭოებში მთელ კავშირში 5.000-დე ქალი გვყავს საბჭოების თავმჯდომარეებათ, საბჭოების წევრთა რიცხვი კი მთელ კავშირში რამდენიმე ასი ათასი ქალია. ჩვენშიაც, საქართველოში, რამდენიმე ათეული ქალები არიან სოფლის საბჭოს თავმჯდომარეებათ. მაგრამ, მიუხედავად ამისა, აქ ჯერ კიდევ დიდი ჩამორჩენილობაა. ჩვენ დავინახეთ, რომ ჩვენი მუშაობა ამ მხრივ ძალიან მოიკოჭლებს. კავშირშიც და საქართველოშიც კერძოდ, ჩვენ დავინახეთ ქალების აქტიობა. მაგრამ ეს აქტიობა ხშირად გამოვიდა არა კოლექტივიზაციის სასარგებლოდ, არამედ მის წინააღმდეგ. რამ გამოიწვია ეს? ეს გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ ჩვენ ვერ უჩვენეთ გზა ქალების აქტიობას, ვერ გაუწიეთ მათ ხელმძღვანელობა, ე. ი. ჩვენ ვერ გავხდით კარგი ორგანიზატორები.

ეს ჩვენთვის გაკვეთილია, ეს გამოცდილება სათანადოთ უნდა იყოს შეფასებული და გამოყენებული. ჩვენ ვერ დავიკვეხნით, რომ საქართველოში ქალების აქტიობა საკმარისად გაიზარდა. რომ ავიღოთ, მაგალითად, ქალების ხვედრითი წონა პარტიაში, მთელ კავშირში ეს უდრის დაახლოებით 14 პროცენტს. როგორი არის მდგომარეობა ამ მხრივ საქართველოში? აი რას გვეუბნება უკანასკნელი ცნობები?

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში ყველაზე ნაკლებია კომპარტიის წევრ-ქალების რიცხვი სომხეთში,—ეს უდრის 4,9 პროცენტს, აზერბეიჯანში 5,3 პროცენტს და საქართველოში 6,7 პროცენტს. რა თქმა უნდა, კომუნისტ-ქალების მეტი ნაწილი დაახლოებით 80 პროცენტიდან 90 პროცენტამდე ქალაქებშია და მხოლოდ 10 და 15 პროცენტი სოფლად. ახლა ჩვენთვის ადვილი გასაგებია, თუ რატომ ქონია ადგილი გლეხ-ქალების გამოსვლებს სოფლებში კოლექტივიზაციის წინააღმდეგ დაწყებული აფხაზეთიდან, ზუგდიდიდან—სენაკის მაზრამდე. შემდეგ ეს გადავიდა კახეთში. ქალების აქტიობამ, ქალების მოქმედებამ კულაკების მხარეზე უმაღლეს წერტილამდე მიაღწია, წარმოიდგინეთ, თუ ავიღებთ კომუნისტურ პარტიაში ქალების რიცხვს, ჩვენ უკან ვყოფილვართ ისეთ ქვეყნებზე, როგორიცაა თურქმენისტანი, სადაც ქალების ხვედრითი წონა პარტიაში უდრის 7,7 პროცენტს, ყაზახსტანი—8,9 პროცენტს, უზბეკისტანი—10,4 პროცენტს, ყირიმი—13.4 პროცენტს. მე ვიღებ აქ იმ რესპუბლიკებს, რომლებიც ბევრად უფრო ჩამორჩენილი არიან საქართველოზე. ასეთი მდგომარეობა აიხსნება პარტიული ორგანიზაციების სუსტი მუშაობით. ამგვარად ყველაზე უფრო მეტი სუსტი მხარე ჩვენი ორგანიზაციების არის ქალთა შორის მუშაობა. ამაზე ჩვენ ბევრს ვლაპარაკობთ, მაგრამ როგორც სჩანს, ჯერ-ჯერობით აქ დიდი მიღწევებით ვერ დავიკვეხნით.

არის თუ არა ჩვენში პირობები ქალთა შორის მუშაობისათვის? რა თქმა უნდა, არის. კომპარტიის წევრ ქალების რიცხვი აბსოლიუტურად ერთი წლის წინეთ იყო 2.198, 1930 წ. 1 იანვრისათვის ეს რიცხვი ავიდა 2.339-მდე. მე დამაინტერესა საკითხმა, თუ როგორ არიან ჩვენი ქალები ჩაბმული წარმოებაში. ამის შესახებ მე მაქვს შემდეგი ცნობები: საქართველოში 1929 წლის 1 იანვრისათვის მუშა-ქალების რიცხვი წარმოებაში იყო 3.686, ხოლო 1930 წ. 1 იანვრისათვის ეს რიცხვი 4.668-მდე გაიზარდა. ამ ათიოდე წლის წინეთ კი და გასაბჭოების დროს ქალების რიცხვი წარმოებაში მხოლოდ თითებზე ჩამოსათვლელი იყო. დღეს კი წარმოებაში ჩაბმულია 4.000-5.000-მდე ქალი. მე არ ვამბობ დაწესებულებებზე, მე არ ვამბობ გლეხის ქალებზე—მოჯამაგირეებზე. მე ვამბობ მხოლოდ წარმოებებზე. მაშასადამე, ნიადაგი ქალთა შორის მუშაობისათვის გაიზარდა, პირობები ხელსაყრელი შეიქნა. მიუხედავად ამისა, ჩვენ ამას ვერ ვიყენებთ. ქალებში მუშაობის გაძლიერება სდგას ჩვენს წინაშე როგორც ერთი გადაუდებელი ამოცანათაგანი.

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ კრედიტის დარგში, კოოპერაციის დარგში ჩვენი სოფლის საბჭოები ვერ იცავენ საბჭოთა ხელისუფლების და პარტიის პოლიტიკას, აქ გადახრებს შეძლებულ გლეხების სასარგებლოდ თითქმის ყოველ ფეხის ნაბიჯზე აქვს ადგილი. გამოკვლევა აღნიშნავს აგრეთვე სექციების მუშაობის სისუსტეს და დასკვნის, რომ სოფ. საბჭოების სექციების მუშაობა მეტად მოიკოჭლებს. ამაზე შემდეგ მქნება ლაპარაკი. აგრეთვე უნდა აღინიშნოს თვითკრიტიკის სრული უქონლობა. საერთო დასკვნა მდგომარეობს იმაში, რომ თითქმის ყველა მთავარი საკითხები, რომლებიც აინტერესებენ გლეხკაცობას, მიმდინარეობს ხშირად სოფლის საბჭოების გარეშე. სოფლის საბჭოები უნდა გამხდარიყვნენ ცენტრად სოფლის სამეურნეო და პოლიტიკური ცხოვრებისა, მაგრამ ამათ ბევრგან ეს ამოცანა ვერ შეასრულეს. სხვათა შორის გამოკვლევა აღნიშნავს, რომ თითქმის არც ერთ სოფლის საბჭოში არ ყოფილა მოსმენილი მოხსენება კოოპერაციის შესახებ, სახელმწიფო დაზღვევის შესახებ და სხვა საჭირბოროტო საკითხებზე. ყველა ამას მოჰყვა ზოგიერთ ალაგას სოფლის საბჭოს ავტორიტეტის დაცემა მშრომელ გლეხკაცობის თვალში. ამ მხრივ დამახასიათებელია შემდეგი ფაქტი: ერთ-ერთი გლეხთა ურთიერთ-დამხმარე კომიტეტი შუამდგომლობას ძრავს, რომ სოფლის საბჭოს მიეცეს ხე-ტყის დამუშავების ნებართვა, ე. ი. გამოდის, რომ საზოგადოებრივი ორგანიზაცია, როგორიცაა გლეხკომი, მფარველობას უწევს სახელმწიფოებრივ ორგანოს, ე. ი. სოფლის საბჭოს, პროლეტარიატის დიქტატურის გამომხატველ ორგანოს. ეს რას ნიშნავს? ეს ნიშნავს იმას, რომ სოფლის საბჭო არ სდგას თავის სიმაღლეზე, ვერ უძღვება გლეხკაცობას, ვერ იცავს თავის ავტორიტეტს და ის, რასაც მე მოვახსენებდით დასაწყისში, რომ სოფლის საბჭოები წარმოადგენენ პროლეტარიატის დიქტატურის გამომხატველ ორგანოს —დავიწყებულია.

რა როლი ითამაშა ჩვენმა სოფლის საბჭოებმა კოლექტივიზაციის საქმეში? ამის შესახებ ბევრს არ გავაგრძელებ ლაპარაკს. მოვიყვან მხოლოდ ორიოდე ფაქტს, რაც გამოქვეყნებული იყო გაზეთებშიაც. ავიღოთ, მაგალითად, სოფ. ფარცხანაყანევი (ქუთაისის ოლქი). თემსაბჭოს თავმჯდომარემ კოლექტივში შეიყვანა 50 ვაჭარი, რომელთაც ხმის უფლება ჩამორთმეული ჰქონდათ. რასაკვირველია, ასეთი კოლმეურნეობა ვერ გაძლებდა. მართლაც როგორც კი ვაჭრები შევიდნენ კოლექტივში, იმ წამსვე დაიწყო კოლექტივის დაშლა. მეორე რაიონში კოლექტიურ მეურნეობაში არ მიიღეს სამი მოჯამაგირე მხოლოდ იმისათვის, რომ მათ არ ჰქონდათ სასოფლო-სამეურნეო იარაღები. „მათხოვრები ჩვენ არ გვინდა“-ო — ასე განუცხადეს მათ.

ზესტაფონის რაიონში ადგილობრივი ხელისუფლება მფარველობას უწევდა კულაკებს. ეხლა იქ საბჭოს ანგარიშის ჩაბარების დროს გამოუწვევიათ საბჭოდან 45 კაცი, სწორედ იმისთვის, რომ კულაკებს მფარველობას უწევდენ.

აქ არის კიდევ სხვა ფაქტებიც. ავიღოთ იმავე ოლქში რომანეთ-საპრასიის სოფლის საბჭოს თავმჯდომარე, რომელსაც განუცხადებია: „ჩვენ სოფელში კოლექტივების ჩამოყალიბება არ შეიძლება, მთაგორიანი ადგილია“. როცა სათესლე მასალა უნდა გაწერილიყო მან განაცხადა: „ჩვენში კულაკებს სიმინდი არა აქვთ, ისინი ღარიბი გლეხებივით სიმშილით იხოცებიან“. (იხ. „კომუნისტი“ № 49).

რასაკვირველია, თუ კი კულაკები სიმშილით იხოცებიან, ისინი რაღა კულაკები უნდა იყვნენ, მაგრამ ალბად ისინი სიმშილით არ იხოცებოდენ. აი კიდევ მეორე სოფლის საბჭოს მოქმედება: „სოფელ ტობანიერში,—ვკითხულობ იმავე კორესპონდენციაში, — ხუთი მსხვილი კულაკი აღმოჩნდა დაუბეგრავი... ერთ კულაკს გოგიძეს, რომელსაც ორი მოჯამაგირე ჰყავს და აქვს 3 ქცევა ვენახი, ორთვალიანი სახლი და წისქვილი, ინდივიდუალურ დაბეგვრის დროს შეწერილი ჰქონდა გადასახადი 76 კაპ. დაუჯერებელი ამბავია, მაგრამ ფაქტია“,—დასძენს კორესპონდენტი.

უნდა ვიფიქროთ, ალბად სამაგიეროდ რომელიმე საშუალო გლეხი იქნებოდა ინდივიდუალურად დაბეგრილი. აქ მოკლედ უნდა შევეხოთ კახეთის ოლქის მდგომარეობას. თქვენ წაიკითხავდით გაზ. „კომუნისტში“ გამოქვეყნებულ დამახინჯებებს მთლიან კოლექტივიზაციის ჩატარების დროს, რასაც ადგილი ჰქონდა კახეთის ოლქში, მაგრამ მე მივაქცევ თქვენს ყურადღებას მხოლოდ ზოგიერთ ფაქტს: „ზოგიერთი რაიონის მუშაკები,—ამბობს კორესპონდენტი—დღესაც ამტკიცებენ „ყველაფრის“ განსაზოგადოების სისწორეს და არ სურთ გამოასწორონ ამ დარგში დაშვებული შეცდომები; სოფელ ველისციხის და ახაშენის სასოფლო საბჭოებმა და კოლექტივმა არ შეასრულეს კახეთის ოლქაღმასკომის განკარგულება განსაზოგადოების დარგში დაშვებული დამახინჯების გამოსწორების შესახებ.

სოფელ ძველ ანაგაში წითელარმიელი ბეგაშვილის ხეხილის ბაღი გადასცეს კოლექტივს. კოლექტივმა ბაღი გაკაფა „შეშის უქონლობის გამო“.

სოფელ ბაისუბანში საშუალო გლეხს, ნ. რაჟიშვილს ჩამოართვეს სახლი მთლიანად და შიგ „მექათმეობის ბაზა“ მოაწყვეს.

იმავე ბაისუბანში გლეხებს შეაწერეს ქათმები და კვერცხები, რაც აკრეფილ იქნა იძულებით.

„არა ნაკლები დამახინჯებანი ირკვევა განკულაკების დარგში: თანდათან აშკარავდება ის ფაქტი, რომ განკულაკება ზოგან ტარდებოდა არასწორად და პირადი ანგარიშის გასწორების მიზნით. ზოგიერთ სოფლებში ადგილი ჰქონდა საშუალო გლეხების ([illegible]) განკულაკების ცდებს. სოფელ ახაშენში „განაკულაკეს“ ყოფილი მღვდელი ვაჩეიშვილი, 80 წ., რომელმაც მღვდლობას თავი დაანება 1923 წ. და რომელსაც არავითარი მეურნეობა არ გააჩნია.

მთლიანი კოლექტივიზაციის სოფლებში თავი იჩინა ღარიბთა და მოჯამაგირეთა შორის მუშაობის ზედმეტად [illegible].

აი რა დამახინჯებებს უშვებდენ ადგილობრივი საბჭოები მაგრამ აქ უფრო საყურადღებოა ის, რომ დაშვებულ შეცდომების გამოსწორებაზე უარს ამბობდენ, როცა მათ ზემდგომი ორგანოები ასეთ წინადადებას აძლევდენ, ეს კი არაფრით არ გამართლდება. ამ შემთხვევაში აშკარაა ის, რომ განკულაკებაში მოყვნენ არა ნამდვილი კულაკები, არამედ საშუალო და, შეიძლება, ღარიბი ელემენტებიც. როცა საოლქო კომიტეტი წინადადებას აძლევს სოფლის საბჭოს ჩადენილი შეცდომის გამოსწორების შესახებ, სოფლის საბჭო ურჩობას იჩენს და ჩადენილი შეცდომის გამოსწორების მაგიერ წინანდელ შეცდომას აორკეცებს. ეს უკვე დანაშაულია.

უნდა მოგახსენოთ, რომ განკულაკების საქმეში განსაკუთრებით დიდი შეცდომები იყო დაშვებული კახეთის ოლქში. აქ განაკულაკეს ყველა ის, ვინც შავ სიაში იყო მოხვედრილი. შეძლების მიხედვით კი არა, არამედ იმიტომ, რომ შავსიელია და უნდა განვაკულაკოთო. ასეთი დირექტივები მათთვის არავის მიუცია. თქვენ კარგად იცით, რომ შავ სიაში შეიძლება მოხვდეს ისეთი მოქალაქეც, რომელსაც არავითარი ქონება არა აქვს. შავ სიაში შეყვანის საქმეშიც დიდ შეცდომებს ჩადიან სოფლის საბჭოები. აქ არის შაბლონური მიდგომა. ვინ შეყავთ შავ სიაში? ხშირია შემთხვევები, როცა იქ შეყავთ ისეთი მოქალაქენი, ვისაც პაპის პაპა ყოლია თავადი ან მღვდელი, ან ვაჭარი და სხვ. თვითონ კი დღეს უბრალო მშრომელები არიან. მიუხედავად ამისა შავ სიაში უკრეს თავი. ხომ იცით რას ნიშნავს შავ სიაში

ბრძოლისა და სიხარულის პოეტი—ვლადიმერ მაიაკოვსკი

უცნაურია. მოულოდნელია, დაუჯერებელია.

პოეტი — სიცოცხლის, სიხარულის, ბრძოლის, პოეტი რევოლუციის, აღფრთოვანების, ენტუზიაზმის და თვითმკვლელობა?

მაიაკოვსკის თვითმკვლელობა — უდიდესი გაუგებრობაა.

რა ვქნათ? ცრემლები ვღვაროთ? სისულელეა.

გამოლენჩებული ობივატელების ჭორებს ავყვეთ? იდიოტობაა.

გოლიათი პოეტი აღარ არის — მაგრამ მისი ლექსების თვითეული სტრიქონი, უფხიზლეს გუშაგივით სდგას, სიჯანსაღის, ახალი სიცოცხლის და სიხარულის სადარაჯოზე.

სევდას უნდა დავსძლიოთ, რადგან სხვაგვარად ეს პოეტის სახელის შეურაცყოფა იქნებოდა.

სევდას, მისტიკას, ბუნდოვანებას, ხავსს და მერყეობას, მაიაკოვსკი მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში ებრძოდა.

მაიაკოვსკის თვითმკვლელობა, უაზრო, სრულებით შემთხვევითი, მოულოდნელი და უადგილო კატასტროფაა. ეს დიდი პოეტის გამოუსწორებელი შეცდომაა, ეს თვით-მკვლელობა არც ერთი ხაზით, არც ერთი წერტილით, არც ერთი სუნთქვით. არ არის დაკავშირებული მაიაკოვსკისთან, როგორც პოეტთან.

მაიაკოვსკი ისევ სდგას და მთელი მსოფლიოს გასაგონათ ეწევა კომუნიზმის აგიტაციას.

„მკერდით წინ, ამაყად, მოშვებით
ზეცას მიაფრინეთ დროშები
მარჯვნივ ვინ გაბედა? მარცხნივ
მარცხნივ
მარცხნივ
მარცხნივ“.

მაიაკოვსკი — ოქტომბრის რევოლუციის შემოქმედებაა. რევოლუციის გარეშე ის არ არსებობს.

ჯერ კიდევ რევოლუციამდე ის აჯანყდა ბურჟუაზიის წინააღმდეგ. პოეტი „ლურჯი კოფტით“ აშინებდა ობივატელებს, მაძღარ მეცენატებს და სამუზეუმო კულტურის წარმომადგენლებს. ინტელიგენტური ჯანყის, ფუტურიზმის „ბუნტარული“ დროშა მან მალე პროლეტარულ რევოლუციას შეუერთა. მახვილმა, რევოლუციონურმა შეგნებამ, მაიაკოვსკის შემოქმედებაში — ოქტომბრამდე დაიწყო ჩამოყალიბება. რევოლუციის პირველ დღეებიდანვე ის წითელი გვარდიის თავგანწირულ რიგებში იბრძვის.

მაიაკოვსკის სიტყვა ლახვარია მტრისათვის. მაიაკოვსკის სიტყვა აღფრთოვანებაა — თანამებრძოლთათვის. მაიაკოვსკი — კომუნისტური მოწოდებაა, უძლეველი, ნაღვარული და დამპყრობი. მისი პოეზია რევოლუციის ნებისყოფის ბარომეტრია. მისი ლექსები ეს ზარბაზნები, ტყვიამფრქვევლები, მახრჩობელა გაზები და უზარმაზარი, დაუძლეველი ტანკებია ყველა ჯურის თეთრების წინააღმდეგ.

მაიაკოვსკის ხმა — ეს მილიონების ხმაა, რევოლუციონური, გამბედავი, უტეხი, რა დაუდგება ანგარიშით, მოფიქრებით და თავგანწირულობით დაძრულ მშრომელთა მასებს.

პოეტი ღრიალებს და ყვირის. პოეტი სწვავს, ტკეპნის და აფურთხებს წარსულის ძონძებს. პოეტი მოავალ მილიონიან კუნთების სიმძიმით აწვება კლასიური მტრის პოზიციებს. პოეტის ყვირილში მასის ნებისყოფა და დაჯერებაა. მისი ღრიალი ეპოქის ხმაა, — უდიდესი რევოლუციონური სიმფონიაა.

მაიაკოვსკიმ მთელი თავისი ტალანტი, მთელი თავის უჩვეულო ნიჭი, უნარი და უძლიერესი გატაცება, რევოლუციას მისცა. პოეტის მთელი შემოქმედებითი ენერგია ისტორიულ ბარრიკადებზე იქნა გადატანილი, ორი მსოფლიოს სამკვდრო სასიცოცხლო ჭიდილში შთაინთქა.

მაიაკოვსკი — რევოლუციონურ გამბედაობის და თავგანწირვის მედროშეა. მისი ერთად-ერთი მიზანი, გატაცება და უდიდესი სიყვარული, კომუნიზმის გიგანტური წინსვლაა.

არც ერთი შერყევა, არც ერთი უკან დახევა ამ გზაზე.

მხოლოდ ის არის ნამდვილი კომუნისტი
ვინც უკან დასახევი ხიდები დაწვა“.

ოქტომბრის რევოლუციამ, ჩვენმა ეპოქამ, შექმნა ისეთი პოეტი, რომელიც მსოფლიოს ერთი კიდიდან — მეორე კიდემდე აწვდენდა თავის ხმას. სწვავდა და კვეთავდა მსოფლიო ბურჟუაზიის გულს; უზომოდ აზანზარებდა მათ ყურთა-სმენას. არ შეიძლებოდა ოქტომბრის პოეტური ხმა ასე ძლიერი არ ყოფილიყო.

მაიაკოვსკი — რევოლუციის პოეტია. რევოლუციამ კი მსოფლიოს ყოველი კუთხე შეარყია; მსოფლიოს ცოცხალი ქონი შიშით და ზიზღით აათრთოლა. და რაღა გასაკვირია თუ რევოლუციონური მხატვრული სიტყვის უბადლო და უდიდესი ოსტატის ხმა ყველას სწვდებოდა, ცხადია სხვადასხვა ნაირად.

მაიაკოვსკი მრავალ მილიონიან რევოლუციონურ მასის პოეტი იყო. მან გაამასხარავა კამერული ოთახის ლირიკა. გენიალური თავხედობით გაანიავა სალონური ჩურჩული და ქუჩაზე - მოედანზე — აამჭუხარა თავისი უშველებელი ხმა.

«Улицы наши кисти
площади наши политры»

პოეტის ტრიბუნა გაზეთი იყო. მისი აუდიტორიები ათასეული მუშები, ქარხნის მოედნებში თავმოყრილი, ცხადია, რომ ასეთი პოეტი, ძველი ხელოვნების ჩარჩოებში ვერ დაეტიოდა. მან დაამსხვრია ეს ჩარჩოები, რევოლუციონურ გამბედაობის მთელი სიძლიერით — ფეხქვეშ გათელა პოეზიის დამჭკნარი ყვავილები, „შეურაცყო“ და შეაგინა ხელოვნების ტრადიციული „სიწმინდენი“; საუკუნოების ხავსით დამპალ ქურუმებისაგან გაპერწყული.

«Канителят стариков бригады
канитель одну и ту ж.
Товарищи
на баррикады!
баррикады сердец и душ».

პოეტი მოუწოდებს თანამებრძოლთ, გულთა ბარიკადებზე; ახალის განსამტკიცებლად, საჭირო ხელოვნების შესაქმნელად. პოეტი ბრძანებას აძლევს, ობობას ქსელში ჩამჭკნარ —ძველი ხელოვნების ქურუმებს, გრძელთმიან ქადაგებს. ის რიახვეს აფრქვევს მათ წინააღმდეგ.

ბათი ფრონტი დიდია. მაძღარი ხვიხვინი და რომეო და ჯულეტას არიები, ადამის დროიდან — რომ წკრიალებს, თეატრებათ სახელწოდებულ „პრიტონებში“, ფურცლებს ამოფარებული მისტიკოსები და ნაირ-ნაირი აცრემლებული — „ფუტურისტიკი, იმაჟინისტიკი, აკმეისტიკი“ — რითმის ქსელში გახლართულნი. აგერ მანქვა-გრეხით მოცეკვავენი, მესტვირენი, რომელნიც სცოდავენ — აშკარად და ფარულად. ამ გარემოცვასთან პოეტს არაფერი აკავშირებს.

სამოქალაქო ომების მძიმე წლებში ის „როსტა“-ში პლაკატებზე მუშაობს, ცეცხლისმფრქვევ ლოზუნგებს ადგენს. ბურჟუაზიის მღვდლებს, თეთრ გენერლებს — ხატავს და მახვილი სიტყვებით ამკობს და ყოველდღიურად რევოლუციონურ სულისკვეთებით აბობოქრებულ მასას აწოდებს. პოეტი ის იყო, ხელოვანი ის იყო და არა ის მუზეუმის ვირთხები, რომელთაც ხელოვნების ქურუმებათ მოჰქონდათ და მოაქვთ თავი. ამიტომ კიდევაც რევოლუციის სახელით, რევოლუციის პოეტი — მათ განმანადგურებელ ბრძანებით მიმართავდა:

„თქვენ გეუბნებით
მე, რომელმაც თავი ვანებე
უსაქმურობას,
ვმუშაობ როსტაში,
თქვენ გეუბნებით!
გენია ვარ მე თუ არა გენია
თავი დაანებეთ სანამ თოფების
კონდახებით არ გაგდევნიან.
თავი დაანებეთ!
დაივიწყეთ!
მიაფურთხეთ
რითმებს, არიებს
სიდამპლეს, ხავსს—
ყვავილის ბუჩქებს
ხელოვნების არსენალიდან.
ვის უნდა ეს
ან ვის სჭირია:
„თუ როგორ დასწვა ის ქალის ვნებამ
როგორ უყვარდა, გაუბედურდა და
ტიროდა,
გვინდა სხვა გვარი დღეს ოსტატები
არა თქვენსავით, გრძელ-თმიანი მოქადაგენი.

. . . .

ამხანაგებო
მოგვეცით ახალი ხელოვნება
რომ რესპუბლიკა ტალახიდან ამოვათრიოთ“.

რევოლუციის მთელი წლების განმავლობაში მაიაკოვსკი ამ ახალ ხელოვნებას ქმნიდა. მისი ტომების თვითეული ფურცელი, რევოლუციითაა გაჟღენთილი. მისი მახვილი მიმართულია - რევოლუციის დიდი და პატარა, აშკარა და ფარული მტრების წინააღმდეგ. ის ამათრახებს და ამასხარავებს, როგორც მსოფლიო ბურჟუაზიის წარმომადგენლებს, პუანკარეებს, ბლოკადის ყველა სულის ჩამდგმელებს, ორთავიან არწივის სისხლიან თეთრ გენერლებს, ისე შინაურ „ფერი-მჭამელებს“, მეშჩანებს, ობივატელებს, პოეტი ამ მცონარეების დაუძინებელი მტერია; ის მუდამ ებრძოდა მათ.

ბიუროკრატიზმი, ლოთობა, ცრუ-მორწმუნეობა, მონური წამხედურობა, უვიცობა, სიბნელე, უპაირათობა და კიდევ სხვა მრავალი ჩვენი დროის მავნე და საშიში თანამგზავრნი, პოეტის მახვილი კალმის იერიშებით—მრავალჯერ ყოფილან „შევიწროებულნი“. ობივატელს, მეშჩანებს, ჩვეულებრივს, საბჭოთას, პარტიის, კომკავშირის, პროფკავშირის ბილეთით დაუნდობლად ამათრახებდა, ახალი ადამიანისათვის — მებრძოლი პოეტი.

რევოლუციონური პოეზიის სიამაყე მაიაკოვსკი, ახალი ადამიანის ჩამოყალიბებისათვის იბრძოდა. მას მედგარი იერიშები მიჰქონდა ძველის, დამპალის, მავნის — წინააღმდეგ.

მაიაკოვსკის განუსაზღვრელად სძაგდა და განუსაზღვრელად უყვარდა. ეს დიდი შემოქმედებითი სიძლიერითაა გამომჟღავნებული მის პოეზიაში.

მაიაკოვსკი — რევოლუციონური სიტყვის და ტემპის — უდიდესი ოსტატია. მაიაკოვსკია — დიდებული რევოლუციონურ მარშების ავტორი. მისი „მარში მარცხნივ“, ათასეულ მუშებს და მეზღვაურებს, მებრძოლ აღფრთოვანებით — ბარიკადებისაკენ მიმართავდა. მაიაკოვსკიმ მისცა კომკავშირს მარშები და საუკეთესო მახვილი სატირული სურათები, ახალგაზრდობის ყოფიდან.

უკანასკნელად, ყველაზე უკეთ და თითქმის პირველმა, მაიაკოვსკიმ გამოკვეთა — უმახვილეს ფორმულებში, გამოუყვეტელი კვირის მნიშვნელობა და მანვე დასწერა დამკვრელი ბრიგადების მარში.

მაიაკოვსკი პირველია იმ მწერალთა იშვიათ ერთეულთა შორის, რომელნიც დაკვრითი ტემპით ეხმაურებიან რევოლუციის ყოველი დღის ამოცანებს და საქმეებს.

მაიაკოვსკი გრძნობდა და განიცდიდა რევოლუციის ყოველ ნაბიჯს. დიდი და პატარა საქმეები მისთვის არ არსებობდა. მან კარგათ იცოდა, რომ რევოლუციის დღეების —ყოველი საქმე გრანდიოზულია. დიდს და პატარა საქმეს ის თანაბარი ხალისით და მონდომებით აკეთებდა. მაიაკოვსკი მტკიცედ იდგა ბრძოლის, სოციალიზმის შენების გზაზე. ის არ უფრთხოდა ამ გზის სიძნელეებს. ცხოვრების გადაკეთება უმძიმესი საქმეა, მაგრამ ჩვენი დროის და ახლისათვის მებრძოლთა გმირული სიდიადე სწორედ იმაშია, რომ ამ სიძნელეს და უჩვეულო მუშაობას შესწირონ მთელი თავისი ენერგია და მთელი თავისი სიცოცხლე. ესენინის თვითმკვლელობის გამო — მაიაკოვსკი სწერდა:

„საკეთებელი მეტად ბევრია,
მხოლოდ მოასწარ.
ცხოვრება უნდა
გადავაკეთოთ,
და მხოლოდ შემდეგ
ვადიდოთ იგი.
ეს დრო მძიმეა
კალმოსნისათვის:
მაგრამ მითხარით
თქვენ
კუტებო და მახინჯებო
სად,
და ან როდის,
აურჩევია დიდ ადამიანს,
გზა—
გატკეპნილი, უადვილესი...

რევოლუციის დიდი ადამიანი მაიაკოვსკი—უკანასკნელ დღეებამდე—გაურბოდა ამ უადვილესს გატკეპნილ გზას. ის ახალ გზებს იკვლევდა. ებრძოდა ყოველგვარ წინააღმდეგობებს წამოჭრილთ ამ ახალ გზაზე; ამტკიცებდა და აძლიერებდა ახალს. მასში აღფრთოვანებას იწვევდა გამარჯვების ყოველი ნაბიჯი. მისი პოემები ეს ბრძოლის რევოლუციის ხალისის—პოემებია. განსაკუთრებული ლირიზმისაა, ოქტომბრის ათი-წლის თავზე დაწერილი პოემა „მშვენიერია“ („хорошо“), ეს უძვირფასესი განძია—ოქტომბრის პოეზიის. რევოლუციის ნება, გამარჯვება, ხალისი, რწმენა, წინსწრაფვა ამ პოემაში სჩქეფს—უძლიერესი ენერგიით.

მაიაკოვსკი სიხარულის პოეტია. მასში ენთუზიაზმს ანთებს სოციალიზმის შენების წინსვლა.

ჩემმა
კოოპერაციამ
ფრთები
ასხა,
ქარხნები
დაჩქარდა
მღერის.
სასიამოვნოა—
მშვენიერია.

მას უხარია, რომ სოციალიზმისათვის მებრძოლთა რიგებში ის აქტიურია, მას რომ თავისი წვლილი შეაქვს.

აწყვია
გროვათ ვიტრინებში
სადაც არის
წიგნების გროვა,
ჩემი გვარი
გვარებში
პოეტურ რუბრიკის.
მე მიხარია
ეს ჩემი შრომა არის,
რომ ურთდება
შრომას
ჩემი რესპუბლიკის.

მაიაკოვსკის არასოდეს პერსპექტივა არ დაუკარგავს. ძლიერი კომუნისტური რწმენის და დაჯერების პოეტი, რევოლუციონურ სინამდვილეზე დაყრდნობილ მომავლის წარმოდგენას სცდილობდა (მისი უკანასკნელი პიესები). ნეპის შემოღების დროს ის დაუნდობლათ ჰკიცხავდა იმედ-დაკარგულებს, დასევდიანებულებს; მათ ვისაც ნეპი რევოლუციის დამარცხება ეგონათ.

მრავალმხრივი და უძლიერესად მეტყველია მაიაკოვსკის პოეზია. ის მუდმივად ფრონტზე იბრძვის. უკანასკნელ გახმაურ ბრწყინვალე ლექსში („Во весь голос“) პოეტი სწერს:

„მე ასენიზატორი
და მეთულუხე
რევოლუციის მიერ
მობილიზებული
დამოწოდებული,
წავედი ფრონტზე
და მივატოვე
მებატონეთა ბაღისნობის
პოეზია—ქალი თვითნება“.

ფრონტელი—მაიაკოვსკი, საუკეთესო აგიტპროპია, ბოლშევიკური სულისკვეთებით გაჟღენთილი—ის მომავალს მიმართავს შემდეგი სიტყვებით:

„უსმინე,
ამხანაგო შთამომავლობავ,
აგიტატორს,
მაღალი ხმით მყვირალ—მეთაურს
მე დავაყრუებ
პოეზიის ნიაღვრებს და
გადმოვალახავ ლირიულ ტომებზე
როგორც ცოცხალი
და ცოცხლებთან მოლაპარაკე.
მე თქვენთან მოვალ
კომუნისტურ შორეულ დროში
ისე კი არა,
ვით რაინდი ესენინურად ამღერებული;
ჩემი ლექსები
გადალახავს საუკუნეთა
ამართულ ქედებს,
გადაშორდება მთავრობებს და
პოეტთა თავებს“.

მაიაკოვსკიმ მთელი თავისი ხმის სიძლიერით განაცხადა:

„გამოვცხადდები
ცე-სე-კა-ში
მიმდინარე, ბრწყინვალე წლების,
და თავხედ მლიქვნელთა
პოეტურ რაზმის თავების ზევით
მე აღვმართავ,
როგორც პარტ-ბილეთს ბოლშევიკურს,
ჩემი პარტიული წიგნაკების
ყველა ას ტომსა“.

მაიაკოვსკიმ მთელი თავისი შემოქმედებითი მუშაობით დაიწერა ბოლშევიკური პარტ-ბილეთი. ის ბრწყინვალეთ და ამაყად ატარებდა ამ პარტ-ბილეთს, მაგრამ მისი დასასრული თვითმკვლელობა ეწინააღმდეგება მისი პოეზიის ყოველი სტრიქონით გამოჭედილ, ბოლშევიკურ პარტ-ბილეთს.

რევოლუციონურ პოეზიის სიამაყემ, მსოფლიო ლიტერატურის გიგანტმა დაუშვა დიდი შეცდომა; ანარქისტულმა ატავიზმა, ძველმა არაკომუნისტურმა საქციელმა სახედისწეროთ იფეთქა მასში.

დაუჯერებელი ფაქტი, მაიაკოვსკის თვითმკვლელობა ეწინააღმდეგება მის ცხოვრებას, შემოქმედებას, მთელ მის არსებას. ასე პარტიული ტომის წიგნის ავტორს თავი არ უნდა მოეკლა. მასში პირადს უნდა დაეთმო— საზოგადოებრივისათვის. პირადი ყოფის, „სიყვარულის ნავს“ ვერ უნდა გადმოელახა გრანდიოზული რევოლუციონურ საქმიანობის საზღვრები. ის სხვაგვარად უნდა გადაჭრილიყო.

რათ უნდა მტკიცება იმას, რომ ასეთი გაქცევა მაიაკოვსკისათვის ყოვლად შეუფერებელია. მან, რომელმაც სასტიკათ დაგმო ესენინის თვითმკვლელობა, რომელსაც სავსებით შეგნებული ჰქონდა რომ:

„სიკვდილი ხომ
არ არის ძნელი,
ცხოვრების შექმნა
უფრო ძნელია.

პოეტი სიხარულის, სიცოცხლის, აღფრთოვანების; პოეტი, რომელიც მთელი თავის სიცოცხლის განმავლობაში იბრძოდა ახალი ქვეყნისათვის, ახალი ცხოვრებისათვის არ შეიძლებოდა ასე წასულიყო ბრძოლის ველიდან. იმ ბრძოლის ველიდან, სადაც მან მთელი თავისი უნარი, ტალანტი, ენერგია, მიიტანა; სადაც მისი სიცოცხლე და სტიქია იყო. მაიაკოვსკის, რომელიც გააფთრებით ებრძოდა პირადი ყოფის—ოჯახურ ტრაგედიებით სავსე ნაფუძვეებს—არ უნდა...

მაგრამ თვითმკვლელობა ფაქტია. „არ უნდა“, ვეღარაფერს იზამს.

ბოლშევიკური პარტ-ბილეთის რკინის კანონია თვითმკვლელობის დაუშვებლობა. კლასიურ ბრძოლებში გამოწრთობილმა მაიაკოვსკიმ დაუშვა შეცდომა.

ჩვენ კომუნისტებს, არ შეგვიძლია—არ დავგმოთ ეს საქციელი, მაგრამ მიუხედავათ რევოლუციის დიდი პოეტის შეცდომისა, მაიაკოვსკი რჩება ბრძოლის, სიხარულის და კომუნისტური მოწოდების პოეტად.

მაიაკოვსკი ისევ ძლიერად ყვირის:

„მძაგს ყოველგვარი
მძორი და ლეში
და ყოველგვარი
მიყვარს სიცოცხლე“.

მაიაკოვსკის პოეზია ახალი ცხოვრებისათვის მოლაშქრეა.

ის დიდხანს იმოქმედებს კლასიურ ბრძოლების ველზე, კლასიურ ზიზღით და თავგანწირვით აელვარებულ ბარიკადებზე.

დიდია მაიაკოვსკის დამსახურება. განუსაზღვრელია მისი გავლენა მსოფლიო რევოლუციონურ ლიტერატურაზე; საბჭოთა კავშირის ყველა ერთა პროლეტარულ მწერლობაზე.

ის იდეურ-პოლიტიკურ რევოლუციონურობასთან ერთად, უდიდესი რევოლუციონერი იყო ფორმის, მწერლობის შინაგანი ბუნების.

თავგანწირულ ბრძოლის, ენტუზიაზმის, ნგრევის და მშენებლობის პოეტი, მიუხედავათ მისა—შეუფერებელი და განუზომელი სევდის ამღვრეული დასასრულისა, მოგვიწოდებს ბრძოლისაკენ, თავდადებულ შრომისაკენ.

ის ნერგავს ჩვენში სიხარულს, თავდადებას, ენტუზიაზმს.

ჩვენი ეპოქის უდიდეს ისტორიულ მოლაშქრისა და დიდი მებრძოლის მაიაკოვსკის, ერთად-ერთი ძეგლი, ნაჩვენებია პოეტის—უკანასკნელ ლექსში:

„და ჩვენ საერთო
ძეგლათ დაგვიდგას
ბრძოლებში ნაშენი
სოციალიზმი“.

ბენ. ბუაჩიძე.

ჯანმრთელობის დაწესებულებათა და მედპერსონალის აღწერა

სამეურნეო და სოციალური მშენებლობის არც ერთი დარგი ისეთი ღარიბი არ არის სტატ. ცნობებით, როგორც ჯანმრთელობის დარგი. ამით აიხსნება ის, რომ გეგმიანი მუშაობა, რომელიც ქვაკუთხედია სოციალისტური მშენებლობისა არსად ისე არ მოიკოჭლებს, როგორც ჯანმრთელობის დარგში.

ჯანმრთელობის დაცვის ქსელის მოწყობა-გაფართოება, კადრების მომზადების საკითხი, სამკურნალო დახმარების სოციალურ-კლასობრივ საფუძველზე დაყენება და სხვა აუცილებლად მოითხოვს სწორ სტატისტიკურ ცნობებს, ხოლო ასეთი ცნობების მიღება ჯანმრთელობის სტატისტიკის დღევანდელ მდგომარეობის გამო აღწერის გარეშე შეუძლებელია.

ჯანმრთელობის დაწესებულებათა საქმიო პერსონალის აღწერამ, რომელიც პირველად ტარდება საბჭოთა კავშირში, მტკიცე საფუძველი უნდა ჩაუყაროს ჯანმრთელობის სტატისტიკას.

უდიდესი მნიშვნელობა, რომელიც ეძლევა ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა და საქმიო პერსონალის მომავალ აღწერას, ვალდებულს ხდის ყველა სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებებს—პირველ რიგში ჯანმრთელობის დაწესებულებებს და პერსონალს, მხურვალე მონაწილეობა მიიღონ ამ უდიდეს მუშაობაში და ყოველმხრივ ხელი შეუწყონ მის წარმატებით დამთავრებას.

აღწერის კარგად ჩატარებისათვის ერთი მთავარი პირობათაგანია წინასწარ მოსამზადებელი მუშაობის კარგად დაყენება.

სახელმწიფო და პროფესიონალურმა ორგანოებმა თავიდანვე გაითვალისწინეს ეს გარემოება და დროზე მიიღეს სათანადო ზომები. 13 მარტს საქ. ჯანმრთელობ. კომისარიატმა ცირკულიარული მიწერილობა გაუგზავნა საოლქო და სამაზრო დაწესებულების განყოფილებებს აღწერის მნიშვნელობისა და აღწერაში ჯანმრთ. დაწესებულებათა მონაწილეობის წესის შესახებ. ამავე თარიღით საქ. მედსანშრომის ცენტრ. გამგეობამ თავის მხრით ვრცელი წერილით მიმართა ყველა საოლქო და სამაზრო განყოფილებებს, ადგილკომებს, რაიადგილკომებს და რწმუნებულებს, სადაც ცენტ. გამგეობა განმარტავდა რა აღწერის დიდ მნიშვნელობას,—წინადადებას აძლევდა ადგილკომებს და რწმუნებულებს მოეწყოთ, აღწერის დამხმარე (ხელისშემწყობი) კომისიები, რომლის მიზანი უნდა ყოფილიყო აღწერის პოპულიარიზაცია დაწესებულების თანამშრომელთა შორის საერთო კრებებზე მოხსენების გაკეთებით და საზოგადოებრივი კონტროლის გაწევა აღწერის ფორმულიარების დროზე და სწორად შევსებისათვის“. საქ. სახკომსაბჭოს დადგენილებაში, აღწერის წარმატებით ჩატარებისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ, აღნიშნულია, რომ „ჯანმრთელობის დაწესებულებათა და მათში მომუშავე საქმიო პერსონალის აღწერის ფორმულიარების შევსება დაევალოს ამ დაწესებულებათა გამგეებს მათი პერსონალურ პასუხისმგებლობით“.

სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ზემოთაღნიშნულ ღონისძიებებისა, ჯანმრთ. დაწესებულებათა გამგეები და ადგილკომები სრულ უმოქმედობას იჩენენ აღწერის წარმატებით ჩატარებისათვის. აღწერის დამხმარე კომისიები დღემდე არ დაარსებულა ან თუ დაარსდა—ისიც მხოლოდ ქაღალდზე, აღწერის პოპულიარიზაციისათვის თითო-ოროლას გამოკლებით თითქმის არავის არავითარი მუშაობა არ ჩაუტარებია. ამის შედეგია ის, რომ ქ. თბილისში საოლქო საღწერო კომისიაში დაწესებულებათა მხოლოდ 30-40 პროც. ცხადდება სათანადო ინსტრუქციის მისაღებათ, მიუხედავად იმისა, რომ მათ კატეგორიული წინადადება ჰქონდათ მიცემული საოლქ. კომისიისა და ჯანმრთ. განყ. მიერ ინსტრუქციის მისაღებად აუცილებლად გამოეგზავნათ თავიანთი წარმომადგენელი.

თბილისის ჯანმრთელობის დაწესებულებათა და აღწერის ხელის შემწყობ კომისიების ასეთი გულგრილი დამოკიდებულება აღწერისადმი—თუ ის შემდეგშიაც გაგრძელდა —შეუძლებელს გახდის აღწერის არამც თუ წარმატებით, არამედ ოდნავ დამაკმაყოფილებლად ჩატარებასაც კი. ამ გარემოებას საჭიროა აქედანვე მიექცეს ჯანმრთელობის უმაღლეს ორგანოებისა და, მედსანშრომის პროფ. კავშირის ცენტრ. გამგეობის ყურადღება. დაუყოვნებლივ უნდა იქნეს მიღებული უსასტიკესი ზომები იმ დაწესებულებათა და პირთა მიმართ, რომლებიც არ ასრულებენ უმაღლეს ორგანოების დირექტივებს და სრული უპასუხისმგებლობით ეკიდებიან მათზე დაკისრებულ მოვალეობას.

აღწერა 15 აპრილს დაიწყო და 30 აპრილს უნდა დამთავრდეს. ადგილებზე არსებული აღწერის ხელშემწყობი კომისიების მოვალეობაა ამ ხნის განმავლობაში თვითონაც ამოქმედდენ და მთელი ადგილობრივი ძალებიც აამოძრაონ ამ ფრიად მნიშვნელოვან და რთულ ოპერაციის წარმატებით შესრულებისათვის.

ვ. გოლქვაძე.

ბრძოლა უბედური შემთხვევების წინააღმდეგ

წელს განსაკუთრებული ჩქარი ტემპით სწარმოებს მშენებლობა. იგება ახალი ქარხნები, ეწყობა ახალი ბაღები, დასასვენებელი და ფიზკულტურის დაწესებულებები, შენდება ახალი სახლები და სხვ.

ასეთი [illegible] მშენებლობისათვის საჭიროა დიდძალი კვალიფიციური და გამოცდილი მუშა ხელი, რომელთა არსებული რაოდენობა ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას. ამიტომ სათანადო ორგანოები ჯერ კიდევ ზამთარში შეუდგნენ ახალი კადრების მომზადებას.

ცხადია, 2-3 თვეში შეუძლებელია კვალიფიციურ მუშების ისე მომზადება, რომ მათ შეეძლონ სავსებით დაიცვან მშენებლობის დროს საჭირო სიფრთხილე. მათი უმრავლესობა ტეხნიკური ცოდნით ჩამორჩენილია. სწორედ ეს გარემოება გაითვალისწინეს შრომის ორგანოებმა და მშენებლობის დროს ტეხნიკური უშიშროების დასაცავად შეიმუშავეს განსაკუთრებული წესები.

მაგრამ ამ წესებს, როგორც ეს შრ. კომისარიატში მოწვეულ სპეციალისტების თათბირზე გამოირკვა, სრულებით არ იცავენ მშენებელ ორგანიზაციების ადმინისტრაციები და მშენებლობის ხელმძღვანელი პასუხისმგებელი მუშაკები.

თათბირზე ამხ. სირაძემ აღნიშნა, რომ სამეურნეო ორგანოების მიერ უშიშროების დასაცავად გამოყოფილი ტეხნიკური პირები თავიანთ მოვალეობას გულგრილად ეკიდებიან, რასაც ასე ხშირად მოსდევს უბედური შემთხვევები. ადმინისტრაციის მხრივ არაა შესაფერი ხელმძღვანელობა და კონტროლი. ასეთივე მდგომარეობას აქვს ადგილი არა მარტო ახალ მშენებლობაში, არამედ წარმოებებშიაც.

ზოგიერთი წარმოების ადმინისტრაცია არ ღებულობს წინასწარ ზომებს, რომ თავიდან აცილებული იქნას მოსალოდნელი უბედურება და მუშების დასახიჩრების შემთხვევები.

ამ დანაშაულებრივი დაუდევრობით აიხსნება საამშენებლო სეზონის დასაწყისში გახშირებული უბედური შემთხვევების მიზეზები.

თათბირმა გამოიმუშავა კონკრეტული ღონისძიებები, როგორც წარმოებებში, ისე მშენებლობაში ტეხნიკურ უშიშროების დასაცავად და დაადგინა შესაფერ ზომების მიუღებლობისათვის დამნაშავენი სასტიკათ იქნან დასჯილნი.

ქრონიკა

მოქალაქეთა საყურადღებოდ

ქალაქის კომენდანტი აცხადებს მოქალაქეთა საყურადღებოდ, რომ დღეს, მლაშე ტბის რაიონში მოხდება საარტილერიო სროლა საბრძოლო ყუმბარებით.

არსებულ ქარხნების გადაკეთება და ახალი ქარხნების აგება

თბილისის აღმასკომმა დაამტკიცა ადგილობრივ მრეწველობის მშენებლობის გეგმა, რომლის მიხედვით წელს აგებული იქნება შემდეგი ახალი ქარხნები: აგურის მექანიკური ქარხანა, გაჯის ქარხანა, სანდარის ქვის სატეხი ქარხანა, ძეგვის კირის ქარხანა, მუხრანის საკონსერვო ფაბრიკა და სხვ. ახალ ქარხნების აგებასთან ერთად იწარმოებს არსებულ ქარხნების რეკონსტრუქცია და გაფართოება. ახალი ქარხნების აგებაზე და არსებულ ქარხნის გადაკეთება-გაფართოებაზე წელს დაიხარჯება 2.080.000 მანეთი.

ანტისააღდგომო კამპანია სკოლებში

განათლების კომისარიატის სოციალური აღზრდის მთავარმმართველობამ შეიმუშავა სკოლებში ანტისააღდგომო კამპანიის ჩატარების გეგმა და სახელმძღვანელოდ დაუგზავნა განათლების განყოფილებებს. განათლების განყოფილებებს ევალებათ სკოლებში ანტირელიგიურ კამპანიას მისცენ სისტემატიური ხასიათი, ხოლო რელიგიურ დღესასწაულებთან, კერძოდ „აღდგომასთან“ დაკავშირებით ანტირელიგიური მუშაობა აწარმოონ განსაკუთრებული ენერგიით.

სტუდენტთა კონტრაქტაცია

სტუდენტთა კონტრაქტაციის გაფართოების მიზნით, შრომის სახალხო კომისარიატთან დაარსდა სპეციალური კომისია. კომისიის მიზანია ზედმიწევნით გამოარკვიოს წარმოებების მოთხოვნილება ახალ კადრებზე და საჭიროების მიხედვით მათ კონტრაქტაციაზე აიყვანოს სტუდენტები.

დისპუტი

დღეს, საღამოს 7 საათზე სას.-სამეურნეო ინსტიტუტის კლუბში მოწვეულია მებრძოლ უღმერთოთა საზოგადოების უჯრედების საერთო კრება სას.-სამ. ინსტიტუტის სტუდენტების, პროფესორების და ტეხნიკური პერსონალის მონაწილეობით. დღის წესრიგშია დისპუტი შემდეგ თემაზე: „ცხოვრობდა თუ არა ქრისტე“. დისპუტის შემდეგ კონცერტი და კინო.

ახალი ბაღი ვერის რაიონში

ვერის რაიონში დღემდე არ იყო დასასვენებელი ბაღი. აღმასკომში შეუდგა ამ ნაკლის გამოსწორებას და გადასწყვიტა ბაღის მოწყობა. ბაღი გაშენდება ბართოვის ქუჩაზე სივრცით 4 ჰექტარზე. ბაღის მოსაწყობად აღმასკომმა გადასდო 18.000 მანეთი. მუშაობა უკვე დაწყებულია.

სხვადასხვა

◆ განათლების მუშაკთა სახლში დღეს, საღამოს 7 საათზე, მოწვეულია ყველა მასწავლებლების კრება. დღის წესრიგი: განუწყვეტელი კვირის შემოღების შედეგები სკოლაში.

◆ სტალინის სახელობის თუთქლ. და გონ. შემკეთებელ ქარხნის ადგილკომის შენობაში დღეს, საღ. 5 საათზე, შესდგება ს. ს. მ. ი.-ს სამეურ.-ტეხნ. საზ.-ის სამთო სექციის გაერთიანებული კრება, ამავე ქარხნის მუშებთან ერთად. დღის წესრიგშია ინჟ. ნარსიას მოხსენება: „საქართველოს სამთო მრეწველობის ხუთწლიანი გეგმა“. შესვლა თავისუფალია.

◆ ტეხნიკურ საზოგადოების საირიგაციო სექციაში დღეს, საღ. 7 ნახ. საათზე, (სახ. მეურნეობის მუშაკთა კლუბი) პროფ. ინჟ. ჭიჭინაძე წაიკითხავს მოხსენების მეორე ნაწილს: „ჰიდრო-ელსადგურების მშენებლობა ევროპაში“ შესვლა თავისუფალია.

◆ სას.-სამ. ინსტიტუტში. ზოოტეხნიკური ფაკულტეტის მდგომარეობისა და პერსპექტივების შესახებ დღეს, 4 საათზე ამავე ფაკულტეტის სტუდენტთა კრებაზე მოისმენილი იქნება ამხ. გ. მესხის მოხსენება.

—:—

ხელოვნების ქრონიკა

ჭიათურის მუშათა თეატრის გასტროლები

თბ. მუშათა თეატრში დაიწყო ჭიათურის მუშათა თეატრის გასტროლები. დღეს და ხვალ წარმოდგენილი იქნება ვიქ. გაბესკირიას პიესა „ზღვაური“. 20 აპრილს წარმოდგენილი იქნება ს. შანშიაშვილის პიესა „პროტექცია“.

—:—

— ახალი წიგნი თეატრზე. გამოვიდა და იყიდება ვახ. გარკის ისტორიულ-თეორიული ნარკვევი „თეატრი“. წიგნი გამოცემულია სუფთად, დაბეჭდილია 240 გვერდზე ფასი 1 მ. 50 კ.

სამზადისი პირველი მაისისათვის

პროფსაბჭოს საორგანიზაციო განყოფილებაში შესდგა დაინტერესებულ ორგანიზაციების წარმომადგენელთა თათბირი, რომელზედაც შემუშავებული იქნა მუშათა საერთაშორისო დღის—1-ლი მაისის ჩატარების გეგმა. გეგმის მიხედვით:

კავშირების ცენტრ. გამგეობებთან და საკავშირთაშორისო ორგანიზაციებთან გამოყოფილ იქნება კომისიები, რომლებმაც უნდა დაამუშაონ კონკრეტული კალენდარული გეგმა, ჩაატარონ მოსამზადებელი მუშაობა 20-30 აპრილამდე და უხელმძღვანელონ კამპანიის ჩატარებას.

20-დან 30 აპრილამდე ყველა კლუბებსა და წითელ კუთხეებში უნდა მოეწყოს ლექციები, მოხსენებები და საუბრები პირველ მაისის შესახებ და რევოლუციამდე საპირველმაისო დემონსტრაციების მონაწილეების მოგონებათა საღამოები.

20-დან 30 აპრილამდე ეწყობა ექსკურსიები რევოლუციის მუზეუმში და აგრეთვე მუშებისა და წითელარმიელების ერთმანეთთან შეხვედრა კლუბებში, წითელ კუთხეებსა და გარნიზონის ნაწილების ყაზარმებში.

30 აპრილს, საღამოს და აგრეთვე 1 და 2 მაისს კლუბებსა და წითელ კუთხეებში ეწყობა 1-ლი მაისისადმი მიძღვნილი მხატვრული საღამოები, რომელიც უნდა გამოხატავდეს პროლეტარიატის რევოლუციონურ ბრძოლას და აგრეთვე საბჭოთა კავშირის მუშათა კლასის სამეურნეო-პოლიტიკურ ამოცანებს. საღამოები იმართება ოჯახის წევრებთან და წითელარმიელებთან ერთად.

1 მაისს ეწყობა დემონსტრაცია საგიტაციო კარნავალით. თვითეულმა კლუბმა უნდა მიიღოს მონაწილეობა კარნავალში და მხატვრულად გააფორმოს ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი პოლიტიკური, სამეურნეო და საწარმოო მომენტები, კარნავალის საერთო გეგმისა და სცენარის მიხედვით.

1 მაისს მასიურ დემონსტრაციაში ყველა საკლუბო წრეები იღებს მონაწილეობას.

კლუბებსა და წითელ კუთხეებში და წარმოება-დაწესებულებებში უნდა გამოიცეს კედლის გაზეთის სპეციალური ნომრები პირველი მაისის შესახებ, უნდა გამოიკრას ლოზუნგები, პლაკატები და სხვ.

პროფკავშირების ბიბლიოთეკებში მოსამზადებელი მუშაობის პერიოდში უნდა მოაწყონ ლიტერატურის გამოფენა პირველი მაისის ისტორიის, ამ დღის, როგორც საერთაშორისო პროლეტარიატის სოლიდარობის დღესასწაულის მნიშვნელობის შესახებ.

იმ კლუბებსა და წითელ კუთხეებში, რომელნიც სოფლად მდებარეობენ, ან და სამსახურს უწევენ იმ მუშებს, რომელნიც დაკავშირებული არიან სოფელთან, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ახსნა-განმარტებით მუშაობას სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის საკითხების გარშემო. ამ მიზნით უნდა იქნას გამოყენებული საკოლმეურნეო საკითხების შესახებ სახელმძღვანელო დირექტივები. (წერილები ამხ. სტალინის „თავბრუდახვევა წარმატებებისაგან“, „პასუხი ამხ. კოლმეურნეებს“, საქ. კპ. (ბ) ცეკას დადგენილება კოლექტივიზაციის მსვლელობის შესახებ, მთავრობის დადგენილება კოლმეურნეობების შესახებ, ახალი კანონი სას.-სამ. გადასახადის შესახებ და სას.-სამეურნეო არტელის დებულება).

პირველ და ორ მაისს ეწყობა საშეფო ორგანიზაციების გასვლა სოფლად, საშეფო კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობებში.

2 მაისს ეწყობა მასიური მაისობა ქალაქ გარეთ (ხუდადოვის ტყე და ადგილი სად. ნავთლუღის მახლობლად). აქ ფართოდ მოეწყობა თვითმოქმედ წრეების, ფიზკულტურის და სხ. გამოსვლები.

ვლადიმერ მაიაკოვსკის ხსოვნის აღსანიშნავი საღამო

ს. პ. კ. ს. კულტსექტორი, პროლეტარულ მწერალთა ასოციაციასთან ერთად დღეს, 18 აპრილს, ს. პ. კ. ს. დიდ დარბაზში აწყობს საღამოს.

საღამოზე მწერალთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები წაიკითხავენ მაიაკოვსკის ლექსებს და გამოვლენ მოგონებებით მაიაკოვსკის ცხოვრებიდან.

ბილეთები განაწილებულია კავშირებს შორის და ნაწილი დატოვებულია ხელოვნების სასახლეში

Б 651

დასაწყისი საღამოს 7 საათ.

მოთავსება? შავ სიაში მყოფ პირს, თუ იგი ღარიბია, გაუჭირდება საექიმო დახმარება, კოოპერატივში მონაწილეობა, სკოლაში ბავშვების მიბარება, ასევე ბინის საკითხშიაც. როგორც ხედავთ შავ სიაში მოქალაქის მოქცევა—ეს მეტად სერიოზული საკითხია. აქ დიდი სიფრთხილეა საჭირო, რათა უსამართლოდ საშუალო ან ღარიბ ხალხს ხმა არ წაერთვას ყველა აქედან გამომდინარე შედეგებით. საბჭოები კი ამას ზერელედ უყურებენ და აქა-იქ ამ უფლებას იყენებენ პირადი ანგარიშის გასასწორებლად. ასეთ მიდგომას ბოლო უნდა მოეღოს.

როცა შავსიელებზე ვლაპარაკობთ, შეუძლებელია არ შევეხოთ ხმის წართმევას საერთოდ ებრაელებისათვის, რადგანაც აქ კიდევ უფრო დიდ გაუგებრობას აქვს ადგილი. გაზ. „ზარია ვოსტოკა“-ს გუშინდელ ნომერში სწერია, რომ ქუთაისის საოლქო აღმასრ. კომიტეტმა აღძრა შუამდგომლობა ცაკის წინაშე, რათა საჩხერეში 190 ღარიბ ებრაელს მიეცეს ხმის უფლებათ. მე ვკითხულობ: სად იყო აქამდე ქუთაისის ოლქის ხელისუფლება? განა მან აქამდის არ იცოდა, თუ რა ხდებოდა საჩხერეში და ან როგორაა საქმე ამ მხრივ სხვა ადგილებშიაც, როგორც მაგ., კულაშში და თვით ქუთაისშიაც ყველა ჩვენგანმა კარგად იცის, თუ ვინ იყვნენ ებრაელები და რას წარმოადგენენ ისინი დღეს. ისინი განსაკუთრებით ეწეოდენ ვაჭრობას. კერძო ვაჭრობა ან უკვე მოისპო სავსებით ან ისპობა. ისინი წინათ ან წვრილი ვაჭრები იყვნენ, ან ხელოსნები, უმთავრესად კი ვაჭრები, მართალია, ებრაელებში იყვნენ მდიდრები, მაგრამ დიდი უმრავლესობა წინათაც სილატაკეში ცხოვრობდა. ჩვენ ამ საკითხსაც ვერ მივუდექით ისე, როგორც საჭირო იყო, აქაც შაბლონს ვერ გავცდით. ებრაელობა ვაჭრობას ეწეოდა ან ეწევა,—მაშასადამე მთელი ებრაელობა შავ სიაში უნდა იქნას შეტანილი, კარგია, რომ ქუთაისის ოლქმა აღძრა შუამდგომლობა საჩხერეს ღარიბ ებრაელების შესახებ. მაგრამ რა დააშავეს ონის, ლაილაშის, ჩხარის, კულაშის და თვით ქუთაისის ღარიბმა ებრაელებმა? მაგრამ ებრაელები ცხოვრობენ არა მარტო ქუთაისის ოლქში, არამედ გორის ოლქშიაც (სურამი), ცხინვალშიაც, ახალციხის და სენაკის მაზრებშიაც. რით ცხოვრობენ ისინი? ვაჭრობენ კვერცხით, ასანთით და თავიანთ თავს [illegible]. დღეში რაღაც ორ-სამ კვერცხს ჰყიდიან, განა ეს ვაჭრობაა? ამას წინად საგანგებოდ გამოკვლეულ იქნა ებრაელების მდგომარეობა სენაკის მაზრაში (სოფ. სუჯუნა და ბანძა). ამ გამოკვლევამ გამოამჟღავნა იქაური ხელისუფლების სრული უყურადღებობა ღარიბ ებრაელებისადმი. ეს უკანასკნელები მოკლებულნი არიან საექიმო დახმარებას. მიწის ნორმა ხომ იმათთვის არ არის, არც კოოპერატივი, რაც დაუშვებელია.

ეხლა სოფლის საბჭოთა თავმჯდომარეების შესახებ. აქ არიან ის ამხანაგები, რომლებმაც გაიარეს ორკვირიანი კურსები და რომლებიც უნდა იქმნენ გამოყენებული სოფლის თავმჯდომარეების თანამდებობებზე. ეს კარგი საქმეა. სოფლის საბჭოების თავმჯდომარეები უნდა იყვნენ სოფლის ცხოვრების ხელმძღვანელები და ორგანიზატორები, სინამდვილეში კი ისინი გადაიქცნენ უფრო ადმინისტრატორებათ ამ სიტყვის ძალიან ცუდი მნიშვნელობით. არის აუარება ფაქტები, რომლებიც ადასტურებენ, რომ საბჭოს თავმჯდომარეები გაბიუროკრატდნენ კიდეც. მე ვიყავი მოწმე ასეთი შემთხვევისა კახეთის ოლქში. ერთი გლეხი მისულა საბჭოს თავმჯდომარესთან და სიტყვიერად განუცხადებია ერთ პირზე საჩივარი. თავმჯდომარეს მოუთხოვია წერილობითი განცხადების წარდგენა და გარდა ამისა განმცხადებელი მილიციისათვის გადაუცია. ესაა წმინდა ფორმალური მიდგომა, რაც დაუშვებელია. აქ საბჭოთა ხელისუფლების დიდი აზრი და მნიშვნელობა იჩრდილება და იკარგება. საბჭოს თავმჯდომარე ისე უნდა მოქმედებდეს, რომ მან გლეხის ნდობა დაიმსახუროს საქმით; გლეხი უნდა გრძნობდეს და არა შიშს გრძნობდეს. თუ საბჭოს თავმჯდომარეს არა აქვს გლეხებში ნდობა, არა აქვს პატივისცემა, მას არც ავტორიტეტი ექნება. ასეთი საბჭოს თავმჯდომარე, თუნდაც დიდად განვითარებული და სწავლული იყოს, არ ვარგა. რასაკვირველია, ადმინისტრატორობაც საჭიროა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სოფლის საბჭოს თავმჯდომარემ ყველა საქმეები გადასწყვიტოს როგორც მას მოესურვება და სოფლის საბჭოს კი სოფლის საქმეების მოწესრიგებაში არაფერი კითხოს. თავმჯდომარე უნდა იყოს ხელმძღვანელი სოფლის ყოველივე წამოწყების. ის უნდა მეთაურობდეს ყველა საქმეს სოფლად. ეხლა გადახედეთ რა ხელმძღვანელობა არის ჩვენ სოფლებში. მიაქციეთ ყურადღება, როცა სოფელში ხართ, სკოლას, სახალხო სახლს, სამკითხველოს, სასოფლო გზებს. თქვენ დაინახავთ ხშირად საშინელ უყურადღებობას ყველა ამისადმი, ვერ შეამჩნევთ მზრუნველის ხელს. მოუვლელობა, უსუფთაობა, უკულტურობა. სკოლის ეზოები შემოუღობავი, რა მაგალითი უნდა მიეცეს ამით გლეხებს? ძალიან ცუდი. ჩვენ კი დიდი საქმეების გაკეთებას ვკისრულობთ და „პატარა“ საქმეებს კი უყურადღებოდ ვტოვებთ. რა თქმა უნდა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყოველგან ასეთი მდგომარეობაა. ერთი სიტყვით ჩვენ დღეს დიდ საქმეს ვაკეთებთ, სოფლის მეურნეობა გადაგვყავს მთლიან კოლექტივიზაციაზე და ამავე დროს ვერ მოგვივლია პატარა ეზოსათვის, შენობისათვის. რას უნდა მიეწეროს ეს? მოუმზადებლობას. განა დიდი თანხაა საჭირო სკოლის ეზოს მოვლისათვის ან კლუბების, კუთხეების, სამკითხველო-წიგნთსაცავების სოფლად შენახვისათვის? სრულებითაც არა. როცა გლეხი ხედავს ასეთ უპატრონობას, უყურადღებობას, რასაკვირველია იტყვის: ამ ხალხს უბრალო საქმეც ვერ მოუგვარებია და დიდს როგორღა გააკეთებენო. რა თქმა უნდა ასეთ ხელმძღვანელს ნდობაც არ ექნება.

საჭიროა უპირველეს ყოვლისა ვიზრუნოთ იმაზე, რომ ჩვენი მუშაობის შედეგს ხედავდეს ხალხი. ამით ჩვენ დაუმტკიცებთ მას, რომ ჩვენ შეგვიძლია მუშაობა. დასათხოვი არიან ისეთი მასწავლებლები, რომელნიც წლების განმავლობაში არ ზრუნავენ თავის სკოლისათვის, არ უვლიან სკოლის ეზოს; მაგრამ საჭიროა ჩვენვე მიუთითოთ მათ ამაზე, რადგანაც შეიძლება არ იციან, ან იციან კიდევაც, მაგრამ არ აკეთებენ.

თუ რა მოხდა მთლიან კოლექტივიზაციაზე გადასვლის დროს, ამაზე მე მგონია აქ დაწვრილებით არაა საჭირო ლაპარაკი, რადგანაც ეს დღეს უკვე ყველამ იცის, მაგრამ ვთქვათ, რაც მოხდა-მოხდა. მოაწყვეს კი მაინც საქმე რიგიანად კოლექტივებში? რომ არ ქონდათ ამის გამოცდილება,—ეს მართალია. არც ჰქონდათ თავის დროზე გარკვეული დირექტივები საქმის წესიერად დაყენების შესახებ, შრომის ორგანიზაციის შესახებ და სხვ. და სხვ. მაგრამ გაერთიანებული ქონების მოვლა-პატრონობა, ამხანაგური მოპყრობა კოლექტივის წევრებთან ხომ შეიძლებოდა? ეს ხომ ელემენტარული მოთხოვნა იყო? სამწუხაროდ, ძლიერ იშვიათად კმაყოფილდებოდნენ ასეთი მოთხოვნები. უფრო ხშირად ხდებოდა გაერთიანებული კოლექტიური ქონების განწევა-განიავება და არარაციონალურად მოხმარება. განა გასაკვირალია, თუ კოლექტივის წევრი-გლეხები ასეთმა ფაქტებმა აალელვეს და ააშფოთეს? სად იყვნენ ამ დროს სოფლის საბჭოები? როგორ უყურებდენ ისინი ასეთ ფაქტებს? მაგრამ აღმოჩნდა, რომ სოფლებში, მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებში განსაკუთრებით, საბჭოები ფაქტიურად აღარც კი მოქმედებდენ და სოფლის ბატონ-პატრონებად თვლიდენ თავიანთ თავს კოლექტივების გამგეები. წარმოიშვა აზრი, რომ საბჭოების ადგილი კოლექტივებმა უნდა დაიჭირონ, ე. ი., საბჭოები უნდა გაუქმდენო. ასეთი აზრი დაიბადა არა მარტო ჩვენში, საქართველოში, არამედ საბჭოთა კავშირის სხვა რაიონებშიაც. ამხ. კაგანოვიჩმა საკავშირო თათბირზე თავის სიტყვაში მოჰყავს ერთი დოკუმენტი, რომელიც ეკუთვნის სმოლენსკის ოლქის ერთ-ერთ რაიონულ პარტორგანიზაციის მდივანს, სადაც, სხვათა შორის, სწერია: „მთლიანი კოლექტივიზაციის გატარებასთან დაკავშირებით ზოგიერთი ამხანაგების წინაშე წამოიშვა საკითხი, რა ვუყოთ სოფლის საბჭოებს, დარჩენ ისინი, თუ არა? აღმოჩნდენ ისეთი ამხანაგებიც, თეორეტიულად კარგად მომზადებულებიც, რომლებიც მომხრენი არიან იმის, რომ სოფლის საბჭოები დატოვებულ იქნენ: მე კი ვფიქრობ, რომ სოფლის საბჭოებს მეტის-მეტად დიდ როლს და მნიშვნელობას აძლევენო“... შემდეგ ავტორი ადარებს რა სოფლის საბჭოებს კოლექტივების საბჭოებს, გამოყავს შემდეგი დასკვნა: „მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებში სოფლის საბჭოებისათვის ადგილი აღარ არის. ეს პირველი ეტაპია სახელმწიფო აპარატის თანდათანი სიკვდილისა (отмирание), —ამ უნაყოფო მჭამელისა (непроизводительный нахлебник), და არა მარტო სოფლის საბჭოს სიკვდილისა, არამედ რაიონული აღმასრულებელი კომიტეტისაო“. როგორც ხედავთ, ზევით მოყვანილი სიტყვების ავტორი თითქო დიდ „მემარცხენეობას“ იჩენს. მისი აზრით უკვე შეიძლება დღესვე სოფლის საბჭოების გაუქმება და იმათი ფუნქციების გადაცემა ნებაყოფლობითი ორგანიზაციებზე. მაგრამ ასეთი „მემარცხენეობა“ უკიდურეს მემარჯვენეობაზედაც უარესია. მეორე ავტორმა, ვინმე სერგეევმა დასწერა სტატია სათაურით: „50.000.000 მ. ეკონომია წელიწადში“, სადაც ვკითხულობთ: „მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებში სოფლის საბჭოები ნელ-ნელა კვდებიან“. ავტორი, მართალია, სცნობს, რომ სოფლად დღეს მწვავდება კლასობრივი ბრძოლა, რაც თხოულობს პოლიტიკურ ხელმძღვანელობას, მაგრამ ამისთვის სოფლის საბჭოები არ გამოდგებიან; ამიტომ იგი იძლევა წინადადებას სოფლის საბჭოების გაუქმების შესახებ, რაც „მოგვცემს წლიურად 50 მილ. მანეთის ეკონომიასო“.

მომყავს აქ კიდევ ერთი ავტორის აზრი საბჭოების გაუქმების შესახებ. ეს ავტორი არის ვინმე ნოვაკოვსკი, რომელიც ჯერ კიდევ გასულ წელს ერთ კრებულში სწერდა შემდეგს: „საბჭო და კოლექტიური მეურნეობა ერთდებიან (сливаются), მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონში საბჭოს დასაბეგრავი აღარაფერი რჩება, მილიცია უთმობს ადგილს კოლმეურნეობის დაცვას, საგზაო მშენებლობა გადავა კოლმეურნეობის სატრანსპორტო განყოფილებაში, აგრეთვე ჯანმრთელობის განყოფილება კოლექტივის ამბულატორია-საავადმყოფოში, ერთი სიტყვით საბჭოს ფუნქციებში აღარა რჩება ისეთი რამ, რაც კოლმეურნეობის ამოცანებს შორდებოდესო“.

როგორც ხედავთ, სოფლის საბჭოების გაუქმების აზრის ქადაგებამ საკმარისად ფართო ხასიათი მიიღო. აქ იყო ერთნაირი გატაცებაც. ასე, მაგ., გაზ. „წითელ დროშაში“, რომელიც გამოდის ყუბანის ოლქში (ჩრდ. კავკასია) მოთავსებული იყო წერილი—სათაურით: „Штурм земли“, სადაც ნათქვამი იყო:

„ამ დღეებში გაუქმდება ახალი სუვოროვის სტანიცის საბჭო. რისთვის? იმიტომ, რომ უფართოესი კოლექტივიზაციის პირობებში მას გასაკეთებელი არაფერი დარჩენია“-ო.

უნდა ითქვას, რომ ჩვენში სოფლის საბჭოების გაუქმების ქადაგებას ასეთი ხასიათი არ მიუღია. ყოველ შემთხვევაში პრესაში ასეთი აზრი არავის გამოუთქვამს. მაგრამ კოლექტივების პრაქტიკაში აქა-იქ ასეთი ტენდენცია ჩვენშიაც იყო, კოლექტივები ზოგ ადგილას საქმით აუქმებდენ სოფლის საბჭოებს. მაგალითად რას ნიშნავს ის, რომ კოლექტივები თავის თავზე იღებენ მიწის ჩამორთმევის ფუნქციებს, ეს საბჭოს საქმეა. ასეთი პრაქტიკა სინამდვილეში იყო. სხვათაშორის კახეთის ოლქში კოლექტივები ფაქტიურად ითვისებდენ საბჭოების ფუნქციებს და მით სცემდენ საბჭოების პრესტიჟს. აშკარა ლაპარაკი სოფლის საბჭოების გაუქმების შესახებ არ ყოფილა, მაგრამ ასეთი ტენდენცია იყო. ეს ძალიან შემცდარი აზრია, კიდევ მეტი, ეს მავნე აზრია, რომელიც არსებითად გამოხატავს კონტრრევოლუციონერების სულისკვეთებას. სრულიად ამაოდ იმეორებენ ამ შემთხვევაში მარქსის, ენგელსის და ლენინის აზრს სახელმწიფო აპარატის თანდათანი სიკვდილის შესახებ. ზევით დასახელებულ ავტორებს, რომლებიც აუქმებენ დღეს საბჭოებს, ეტყობა სრულიად შემცდარი წარმოდგენა აქვთ მარქსის და ლენინის შეხედულებაზე სახელმწიფოს თანდათანი სიკვდილის შესახებ, ამისათვის საჭიროა მხოლოდ სადი მსჯელობა. სოფლის საბჭო უშუალო დასაყრდენი ორგანოა საბჭოთა სისტემაში. როგორ შეიძლება მისი გაუქმება? მაშინ ხომ ყველა ზემდგომი ორგანოები, როგორც არიან რაიონული აღმასკომი, ოლქის აღმასკომი და შემდეგ საბჭოთა ცენტრალური ორგანოები—ყველანი ესენი ჰაერში დარჩებიან გამოკიდული, თუ სოფლის საბჭო იქნება გაუქმებული, თავის-თავად ცხადია, რომ ზემდგომი ორგანოებიც უნდა გაუქმდეს; ეს უკვე იქნებოდა პროლეტარიატის დიქტატურის გაუქმება. შესაძლებელია თუ არა ეს ჩვენს პირობებში? შესაძლებელია თუ არა ეს მით უმეტეს გამწვავებული კლასობრივი ბრძოლის დროს. რასაკვირველია, არა, ამიტომ საჭიროა საბჭო და კერძოთ სოფლის საბჭო. სრულებით საჭირო არაა მის მაგიერ სხვა ორგანო გამოვიგონოთ ან შევქმნათ, თუნდაც კოლმეურნეობის სახით, რომელსაც სულ სხვა დანიშნულება აქვს.

თავის თავად იგულისხმება, რომ სახელმწიფო და, მაშასადამე, საბჭოც თანდათან მოკვდება, მაგრამ ჯერ ეს დრო არ დამდგარა. როგორ შეიძლება დღევანდელ პირობებში არა თუ გაუქმდეს, არამედ ოდნავაც შესუსტდეს საბჭოს როლი? პირიქით, დღეს საკითხი დგას საბჭოების არა გაუქმების, არამედ **გამაგრებისა და გაფართოების** შესახებ. ჩვენ ვიცით, რომ პროლეტარიატის დიქტატურის, როგორც სახელმწიფოს გაუქმება აუცილებელია, მაგრამ ამას წინ უნდა უსწრებდეს კიდევ სხვა პროცესები, როგორიც არის საბოლოო გაუქმება კლასების, დამყარება სოციალისტურ-კომუნისტური წესწყობილებისა; მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ არ კმარა ამ წყობილების ჩვენ ქვეყანაში დამყარება, საჭიროა, რომ ასეთი წყობილება დამყარდეს მთელ დედამიწის ზურგზე და მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი გავაუქმოთ სახელმწიფო აპარატი. წარმოვიდგინოთ, რომ ჩვენ მივაღწიეთ კლასების გაუქმებას ჩვენს ქვეყანაში, დავამყარეთ აგრეთვე კომუნისტური წესწყობილება, მაგრამ ჩვენს გარშემო კიდევ არსებობენ კაპიტალისტური სახელმწიფოები. განა ასეთ პირობებში ჩვენ შეგვეძლება სახ. აპარატის გაუქმება? ერთიც ვნახოთ, ასეთ დროს ჩვენ თავს დაგვესხნენ კაპიტალისტური სახელმწიფოები. თუ ჩვენ აღარ გვექნება ძლიერი სახელმწიფო აპარატი, ადვილი იქნება ჩვენი დამარცხება. ნებაყოფლობით შემდგარი მშრომელთა ამხანაგობები ამას ვერ შესძლებენ. ამისათვის საჭიროა ძლიერი და მაგარი ხელისუფლება, ამიტომ ჯერ ნაადრევია სახელმწიფოს გაუქმების შესახებ ლაპარაკი. ზევით მოყვანილ ამონაწერების ავტორები თითქო ძალიან „მემარცხენეობენ“, „ჩვენ ვაუქმებთ სახელმწიფო აპარატს, გადავდივართ პირდაპირ იმაზე, რასაც გვასწავლიდენ მარქსი და ენგელსიო“. მაგრამ ამ „მემარცხენეობას“ ჩვენ ფრჩხილებში ვსვამთ. **ნამდვილად ეს არის კონტრრევოლუციის წისქვილზე წყლის დასხმა.** ეს იქნებოდა ჩვენი ბრძოლის შესუსტება კონტრრევოლუციონერთა იერიშების წინააღმდეგ, კულაკობის შემოტევის წინააღმდეგ. დღეს ეს ყველასათვის აშკარაა.

ამნაირად, ჩვენ მივედით იმ დასკვნამდე, რომ სოფლის საბჭოები უფრო გამაგრებულნი და განმტკიცებული უნდა იქნენ, აგრეთვე აღჭურვილნი უფრო მეტი უფლებებით, ვიდრე დღემდე იყვნენ. თქვენ ალბათ იცნობთ ახალ დებულებას, რომელიც გამომუშავებული და დამტკიცებული არის საკავშირო ცაკის მიერ სოფლის საბჭოების მოწყობის შესახებ. ეს დებულება შემუშავებულია თანახმად საკავშირო კომპარტიის ნოემბრის პლენუმის დადგენილებისა, სადაც, სხვათაშორის, ნათქვამია, რომ ცეკას პლენუმს ყველაზე უფრო საყურადღებო ამოცანად საბჭოებისათვის, განსაკუთრებით სოფლებში, მიაჩნია კოლექტივიზაციისადმი ყურადღების ყოველმხრივად გაძლიერება. საბჭოების ყურადღება უნდა მიექცეს პირველ რიგში კოლმეურნეობების წევრების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას, რომ კოლმეურნეობები გადაიქცნენ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სოციალისტურად გარდაქმნა-გადაკეთების საფუძვლად. აუცილებლად უნდა იქნას გამაგრებული საბჭოების ხელმძღვანელი როლი კოლექტივების მიმართ, საბჭოების პასუხისმგებლობა უნდა იქნას გადიდებული კოლექტიურ მშენებლობის საქმეში. კოლექტივებმა სისტემატიურად უნდა ჩააბარონ ანგარიში საბჭოებს, რასაკვირველია, არ უნდა იქნას დაშვებული წვრილმანი „აპეკა“ და ადმინისტრატიული ჩარევა კოლექტივიზაციის საქმეში. აი, სწორედ ამ საფუძველზე არის აშენებული ახალი დებულება სოფლის საბჭოების შესახებ. სოფლის საბჭოების ახალი დებულება სავსებით შეეფერება იმ ახალ ამოცანებს სოფ. მეურნეობის კოლექტივიზაციის დარგში, რომლებიც ამჟამად დგანან ხელისუფლების და პარტიის წინაშე.

დებულებაში ნაჩვენებია, რომ სოფლის საბჭო წარმოადგენს პროლეტარიატის დიქტატურის ორგანოს სოფელში, რომ სოფლის საბჭო აწყობს მშრომელთა მასების მონაწილეობას სახელმწიფო მართვა-გამგეობაში—სოციალისტურ სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში. განსაკუთრებულ ყურადღების ღირსია ამ დებულების მე-11, 12 და 13 მუხლები, სადაც საბჭოებს ევალებათ ხელმძღვანელობა სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნისათვის, კოლექტივებისა და სხვა კოოპერატიული გაერთიანებათა. ეს ახალი დებულება რადიკალურად განსხვავდება ძველი დებულებისაგან, და სწორედ ის შეფარდებულია იმ მდგომარეობასთან, რომელიც გვაქვს დღეს სოფლის მეურნეობაში, რომ სოფლის საბჭო უნდა ემსახუროს სოფლის კოლექტივიზაციის საქმეს. არა ისე [illegible], როგორც ხდებოდა აქამდე, არამედ სულ სხვანაირ საფუძველზე. სოფლის საბჭოს ეძლევა ამ მხრივ განსაკუთრებული უფლებები. იგი ხელმძღვანელობს კოლექტიურ მეურნეობებს, არჩევს მათ საწარმოო გეგმებს, შეაქვს შესწორებები, შუამდგომლობს იმათ დამტკიცების შესახებ უმაღლეს ორგანოების წინაშე და შემდეგ კონტროლს უწევს კოლექტივებს, თუ როგორ ასრულებენ ისინი ამ გეგმებს. გარდა ამისა სოფლის საბჭოს ამჟამიდან უფლება ეძლევა უხელმძღვანელოს სოფლის საბჭოს ტერიტორიაზე განათლების საქმეს, საგზაო მშენებლობას, ჯანმრთელობას, კოოპერაციას და სხვადასხვა კოოპერატიულ გაერთიანებს და სხვ. აქამდე სოფლის საბჭო განზე იდგა ყველა ამისაგან. ერთი ძნელი საკითხი საბჭოების მოწყობისა კოლექტივიზაციასთან დაკავშირებით მდგომარეობს იმაში, თუ როგორ უნდა იქნას მოწყობილი სოფლის საბჭო იქ, სადაც მთლიანი კოლექტივიზაცია ხდება, ამ მხრივ ჯერ ყველაფერი არ არის გამორკვეული. სოფლის საბჭომ ახალი დებულებით უნდა გაუწიოს ყოველგვარი ხელმძღვანელობა კოლექტივს, მაგრამ ძნელდება საკითხი მაშინ, როდესაც კოლექტივის ტერიტორია სცილდება სოფლის საბჭოს ტერიტორიას. სოფლის საბჭო დებულებით უნდა იყოს იქაც, სადაც 300 მცხოვრებია. ეს მუხლი ერთად-ერთი მუხლია, რომლის განხორციელება ცხოვრებაში არ ხერხდება. როცა არჩევდენ ამ ახალ დებულებას საკავშირო თათბირზე, იქ თითქმის ყველა ადგილობრივი ამხანაგები ამტკიცებდენ წინააღმდეგს, ე. ი. ფაქტიურად ისინი კი არ ამრავლებდენ საბჭოების რიცხვს იმ მიზნით, რომ დაეკმაყოფილებინათ დებულების ეს მუხლი, არამედ ამცირებდენ კიდეც საბჭოების რიცხვს, მაშასადამე ადიდებდენ სოფლის საბჭოების ტერიტორიას. ჩვენ გვაქვს ახლა რუსეთში, უკრაინაში და სხვ. რესპუბლიკებში დიდი კოლექტივები. ადგილობრივ სანამ რაიონული მასშტაბით არ გაერთიანდება სოფლის მეურნეობა, როგორ გინდათ ეხლა აქ მოაწყოთ სოფლის საბჭო. კოლმეურნეობა მაშინ დაჭუცმაცდება. ეს საკითხი დებულებაში გადაჭრილია იმ აზრით, რომ კოლექტივის საზღვარი და სოფლის საბჭოს საზღვარი ერთმანეთს ხვდებიან. ამ მხრივ საქართველოში ბევრად უფრო ხელსაყრელი პირობებია, შესაძლებელია, რომ ერთი და იგივე სოფლის საბჭომ გაუწიოს ხელმძღვანელობა რამდენიმე კოლექტივს, ან და თუ დიდი იქნება კოლექტივის ფართობი, უნდა იყოს უბნური განყოფილებები სოფლის საბჭოს მიხედვით. მე მგონია, რომ ეს საკითხი ჩვენში მაინც და მაინც დიდ დავას არ გამოიწვევს, იმიტომ, რომ სოფლის საბჭოს ფარგალში შეიძლება ან ერთი ან რამდენიმე კოლექტივი იქმას ჩამოყალიბებული და სოფლის საბჭოს შეუძლია ხელმძღვანელობა გაუწიოს ერთსაც და მეორესაც, რასაკვირველია, ამ ახალ დებულებამ უნდა გამოიწვიოს ცვლილება. ეს ცვლილება არ განისაზღვრება მარტო სოფლის საბჭოთი. ის გადადის რაიონულ აღმასკომზე და ქალაქის საბჭოებზე. მან უნდა გამოიწვიოს ცვლილებები ჩვენი მუშაობის მეთოდებში და ფორმებში.

შემდეგ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სოფლის საბჭოთა სექციების მუშაობას. იმათი მუშაობა დღემდე ვერ არის მოგვარებული. ქალაქებში სექციებმა ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში რამდენიმედ გამოაცოცხლეს და გააჯანსაღეს საბჭოების აპარატის მუშაობა. მაგრამ იმის თქმა, რომ სექციების მუშაობა დამაკმაყოფილებელი არისო, არ შეიძლება. აღმასკომების აპარატებში ისეთი ხალხი მუშაობს უმეტეს ნაწილად, რომელიც ფორმალურად გულგრილად ეკიდება საქმეს და დაინტერესებულია მხოლოდ თავიანთ ადგილების შენარჩუნებით. მათ სრულებით არ აინტერესებთ საბჭოთა ხელისუფლების მუშაობა. შიგა და შიგ ურევიან ალბად მავნებლებიც. ამას გამოსწორება ესაჭიროება და ამ საქმეში დიდი როლი უნდა ითამაშონ სექციებმა, აუცილებლად საჭიროა, რომ სახელმწიფოებრივი აპარატის მუშაობას გაეცნონ და ჩაებან მასში მშრომელთა უფართოესი მასები, როგორც ამას მოითხოვს კომუნისტური პარტიის პროგრამა. ეს ადვილი საქმე არაა, ამიტომ უწინარეს ყოვლისა უნდა გადახალისდეს სექციების მუშაობა. მხოლოდ ამ გზით შეიძლება საბოლოოდ მოეღოს ბოლო ბიუროკრატიზმს. რაც შეეხება სოფლის საბჭოების სექციებს, უნდა ითქვას, რომ სექციების მრავალრიცხოვანობა ხშირად ხელს უშლის იმათ მუშაობას ხალხის უყოლობის გამო. ეს არ არის მიზანშეწონილი. სოფლის საბჭოებთან უნდა მოეწყოს არა უმეტეს სამი ან ოთხი სექციისა: სას.-სამეურნეო, კულტურული, მშენებლობის და კოოპერატიული.

ახლა ჩვენ უნდა გადავიდეთ სოფლის მუშაკების კადრებზე. საჭიროა მცოდნე და მომზადებული ხალხი. კოლექტივიზაციის განსახორციელებლად საჭიროა სათანადოდ მომზადებული ხალხი. მაგრამ უწინარეს ყოვლისა, საჭიროა სოფლის საბჭოების ხელმძღვანელები. თუ კოლექტივის ხელმძღვანელი, კოლექტივის თავმჯდომარე იქნება ქალაქის მუშა, სოფლის საბჭოს თავმჯდომარეც არა ნაკლებ მომზადებული უნდა იყოს. რა თქმა უნდა სოფლებში ჩვენ გვყვანან დღეს აქტიური გლეხები არა მარტო პარტიულები, არამედ არა პარტიულებიც, მაგრამ იმათ ესაჭიროებათ მომზადება. ამიტომ ჩვენ ვაყენებთ საკითხს სოფლის საბჭოების კადრების შესაქმნელად. თქვენ იცით, რომ სოფლის საბჭოების ხელმძღვანელების დიდი ნაწილი უნდა შეცვლილ იქნას. უმთავრესი ნაწილი საბჭოს ხელმძღვანელებისა, ე. ი. ძველი თავმჯდომარეები, რომლებიც დაიჩვიენ მხოლოდ ადმინისტრატორობას და სხვა სკოლა მათ არ გაუვლიათ, ვერ შესძლებენ ხელმძღვანელობას დღევანდელ რთულ და ძნელ პირობებში. მაგრამ იბადება საკითხი — საიდან უნდა ვიშოვოთ ეს ახალი კადრები. რასაკვირველია, უპირველეს ყოვლისა აქ ქალაქი უნდა მივიდეს სოფელთან; ქალაქმა უნდა გაუწიოს დახმარება მას. მეტი გამოსავალი არ არის. ეს იქნება მივლინება ქალაქის მუშების სოფლად. მაგრამ აქ საჭიროა ფრთხილი მიდგომა. არ კმარა მარტო: ქალაქის მუშა არის და პირდაპირ გავგზავნოთ სოფელშიო. წარსული გამოცდილება გვიმტკიცებს, რომ ასეთი მიდგომა კარგ ნაყოფს ვერ მოგვცემს. როცა სოფლად ვგზავნით ხელმძღვანელებს უნდა ვიცოდეთ, ვის ვგზავნით და რა ცოდნით, რა გამოცდილებით. პირველ ყოვლისა საჭიროა სწორი მიდგომა გლეხკაცობასთან. გარდა ამისა საჭიროა ადგილობრივ გლეხებიდანაც გამოიყოს კარგი აქტიური ძალები, რომელნიც გამოყენებულ უნდა იქნან სოფლად სამუშაოდ.

ახალი ამოცანების განხორციელება თხოულობს, რა თქმა უნდა, მეტ ყურადღების მიქცევას სოფლის საბჭოების მუშაობაზე, ვინემ აქამდე. უნდა აღინიშნოს აქ პროფორგანიზაციების სუსტი მუშაობა. პროფორგანიზაციები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ სოფელს, მოვლა-მაგირეობას. ამას რამე უნდა ეშველოს. შემდეგ დიდი ყურადღება უნდა მიექცეს სახელმწიფოებრივ აპარატის წმენდას სოფლებში. ვინ არის დღეს სოფლის საბჭოში? ამას წინად მე მომივიდა ცნობა, რომ სოფ. რუისში ვინმე ერისთავს დაეტუსაღებია გლეხი. ვინ არის ეს ერისთავი? ის ყოფილი სოფლის საბჭოს მდივანია. უსათუოდ იგი ყოფ. თავადია. და მისი ბრძანებით აპატიმრებენ გლეხებს. შეიძლება იგი ამას განგებ სჩადის გლეხების ასაღელვებლად. რის მაჩვენებელია ეს? იმის, რომ სოფლის საბჭოს აპარატში არიან ისეთი ელემენტები, რომლებიც გაჟღენთილი არიან ზიზღით საბჭოთა ხელისუფლების და მშრომელების მიმართ. და ეს ხდება იმიტომ, რომ საბჭოების თავმჯდომარეები ხშირად მოუმზადებლები არიან. ამიტომ აუცილებელი ხდება მცოდნე კაცის აყვანა მდივნად. მაგრამ ეს „მცოდნე კაცი“ ხშირად ან უხეშია, ან სრულებით უცხო საბჭოთა ხელისუფლებისათვის. ყველაზე უფრო ცუდია ამ მხრივ მდგომარეობა ისეთ რაიონებში, როგორიცაა ბორჩალოს რაიონი, ახალციხის მაზრა, აჭარისტანი, აფხაზეთი და სხვ.

აქ უნდა მოვიხსენიოთ მუშების შეფობა სოფელზე. ამაზე ბევრი თქმულა, ბევრი დაწერილა. რასაკვირველია, არ შეიძლება იმის თქმა, რომ შეფობამ სარგებლობა არ მოიტანა. მაგრამ შეფები ვერ ასრულებენ იმ ანდერძს, რომელიც მოგვცა ლენინმა, ადგილი აქვს კიდევ საზეიმო სხდომებს, მუსიკით შეხვედრას და ამით თავდება საქმე. ეს დაუშვებელია. ზოგიერთ შემთხვევაში შეფები იწყებენ ისეთ საქმეს, რომლის დამთავრება მათ არ ძალუძთ. მაგალითად იწყებენ ალაგ-ალაგ სკოლის შენობების აგებას, როდესაც არა აქვთ ამისათვის საშუალება და იმავე დროს ივიწყებენ უფრო პატარა საქმეებს, რასაც სოფლისათვის არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს. შეფებმა უნდა გაიგონ გლეხების ნამდვილი სულისკვეთება, მათი არსებითი საჭიროებანი, უნდა შეისწავლონ რა ხდება სოფლად და გაუწიონ დახმარება თავისი ცოდნით და გამოცდილებით.

საჭიროა, რომ შეფობაში მონაწილეობას ღებულობდენ ქალაქის მუშა - ქალებიც, რომლებიც განსაკუთრებით გლეხ-ქალებთან უნდა მართავდენ საუბრებს, უხსნიდენ მათ საბჭოთა ხელისუფლების მნიშვნელობას და სხვ. ერთი სიტყვით მე ვამბობ, რომ არ არის საჭირო დიდი საქმის წამოწყება. შეფებმა უნდა აკეთონ ის, რის გაკეთებას თავისი საკუთარი ძალებით შესძლებენ — ეს უფრო ნაყოფიერი იქნება.

საჭიროა აღინიშნოს აქ ერთი გარემოება, ე. ი. ცენტრალურ დაწესებულებათა ინფორმაცია სოფლის მდგომარეობის შესახებ, ხშირად ამ ინფორმაციას „კაზიონური“ ხასიათი აქვს, როგორც მაგ.: „ყველაფერი კარგად არისო“. უნდა მოგახსენოთ, რომ მე პირადად ამას ვერ ვიტან. შეკითხვაზე საქმის მდგომარეობის შესახებ ღებულობ პასუხს: „ყველაფერი მშვენივრად არის“. რა უნდა უპასუხო ამაზე, — როცა იცი, რომ სტყუიან. გვეუბნებოდენ: კოლექტივიზაცია 80 პროცენტით ჩატარდა, ძალდატანებას ადგილი არ ჰქონია, ეს ნებაყოფლობით მოხდაო. ვინ არ იცის, რომ ტყუილს მოკლე ფეხები აქვს. ტყუილი არ ვარგა, რადგანაც ბოლოს მაინც გამომჟღავნდება სიმართლე. იმ ამხანაგებს, რომლებიც მიდიან სოფლებში სამუშაოდ, მართებთ თავი დაანებონ ასეთ ინფორმაციის მოწოდებას, არ ვარგა ასეთი კაზიონური თქმა: ყველაფერი კარგად არისო. უნდა სიმართლე ითქვას, იმიტომ, რომ სულ ერთია ის ბოლოს და ბოლოს მაინც გამოაშკარავდება.

ყველას ახსოვს, როდესაც ჩადრის ახდა ხდებოდა აჭარისტანში, რომ მთელი აჭარისტანის ქალები ნებაყოფლობით იხდიან ჩადრსაო, სიხარულით, სიამოვნებით. რომ ვეკითხებოდით, როგორ უყურებენ ამ ამბავს იმათი ქმრები და ძმები, ისინიც სიამოვნებით ეგებებიანო. არ იყო ეს მართალი, თქვენ კარგად იცით.

ამხანაგებო, ჩემი მოხსენება გაგრძელდა. არ შემეძლო ამომეწურა აქ ის საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია სოფლის საბჭოების მუშაობასთან. სამწუხაროდ, ქალაქის საბჭოების მუშაობას ვეღარ შევეხე, მაგრამ ასევე უნდა ითქვას იმათ მუშაობაზედაც. განა ქალაქის საბჭოების მუშაობა კი უკეთესია? არა. უნდა ვთქვა აშკარად, რომ ეს მუშაობა არ არის ისეთი, როგორიც ეს ქალაქს შეეფერის. თუნდაც ავიღოთ ტფილისის საბჭოს მუშაობა, ის ისევე არა დამაკმაყოფილებელია, როგორც სოფლის საბჭოს მუშაობა. სოფლის საბჭოს ედგა დიდი გამოცდა ამ მთლიან კოლექტივიზაციის დროს. გამოტეხილად უნდა ვთქვა, რომ უმეტეს შემთხვევაში ეს გამოცდები მათ ვერ დაიჭირეს. ბრალი ამ საქმეში, რასაკვირველია, მარტო მათ არ მიუძღვით. შეიძლება უფრო მეტი ბრალი მიუძღოდეს ზემდგომ ორგანოებს, მაგრამ ის, რაც იმათ ევალებოდათ, ის მათ ვერ შეასრულეს. ეხლა საბჭოები თავის ფუნქციებით უნდა გადახალისდენ. საბჭოები უნდა გადაიქცენ ნამდვილ ორგანოდ პროლეტარიატის დიქტატურისა. აქამდე ეს არ იყო. ამას თხოულობს გამწვავებული კლასობრივი ბრძოლა, რასაც დღეს ადგილი აქვს განსაკუთრებით სოფლად.

სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია სოფლის საბჭოებისაგან მოითხოვს გამახვილებულ ყურადღებას. რა თქმა უნდა, ეს არ არის მარტო ადგილობრივი საქმე, ეს არის საერთო საქმე, როგორც ადგილობრივი ხელისუფლების, ისე ცენტრალურ ხელისუფლების. აქ გარჩევას მე არ ვხედავ. ყველა ამ ორგანოების მიერ დღეს განსაკუთრებული ყურადღება უნდა იყოს მიქცეული სოფელზე. ჩვენ ჯერ კიდევ არ გვაქვს, როგორც ეს საჭიროა, საბჭოთა ახალი სოფელი. რომ ვიძახოთ ახალი, ახალი სოფელიო, მარტო ამით საქმე არ გაკეთდება. ჩვენ გვაქვს ყოველივე საშუალება, ყოველივე საბუთი იმისათვის, რომ მართლაც ჩვენი სოფელი გადავაქციოთ საბჭოთა სოფლად. განა ჩვენ ვერ შევძლებთ სოფლის გადაკეთებას სოციალისტურად, როდესაც ქალაქი უკვე დაადგა ამ გზას — ინდუსტრიალიზაციის გზას. ეს სავსებით რეალური ამოცანაა. ჩვენ სოფელსაც გავხდით ახალ სოფლად, სოციალისტურ სოფლად. ამის გარანტიას ჩვენ მივცემთ, მაგრამ ამისათვის საჭიროა შეგნებული, მომზადებული ხალხი, რომელსაც უნდა ჰქონდეს მარქსისტული ცოდნა და ლენინური მიდგომა მუშებისადმი და გლეხებისადმი.

აი რა გვესაჭიროება ჩვენ დღეს უწინარეს ყოვლისა. ლენინის მიდგომა ჩვენ უნდა განვახორციელოთ და ამის შემდეგ ჩვენ მივაღწევთ **გარდაქმნილ, გადახალისებულ, ახალ სოციალისტურ სოფელს.**

ფართლეულის და საკვებ პროდუქტების ბაზრის მოწესრიგება

ფართლეულის და საკვებ პროდუქტების ბაზრების მოწესრიგების მიზნით შესაფერი ღონისძიებების გამოსამუშავებლად, ვაჭრობის მომწესრიგებელ თბ. აღმასკომის განყოფილებაში შესდგა დაინტერესებულ ორგანიზაციების წარმომადგენელთა თათბირი. თათბირზე თბილისის ბაზრების მდგომარეობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ქებურიამ.

მოხსენებიდან გამოირკვა, რომ იმ მაღაზიების რიცხვი, რომლებიც ორმაგ ფასებში იყიდება ფართალი, მცირეა. რის გამო ადგილი აქვს დაუსრულებელ რიგებს. გარდა ამისა, ორმაგ ფასებში ფართლეულს იძენენ სპეკულიანტები, რომლებიც შემდეგ გლეხებზე ჰყიდიან ოთხმაგ და კიდევ უფრო ზედმეტ ფასებში. ეს იმიტომ ხდება, რომ გლეხებმა არ იციან ასეთი მაღაზიების არსებობა და ვინც იცის, მათ არა აქვთ საშუალება ფართლის შესაძენად მთელი დღის განმავლობაში ლოდინის. აღსანიშნავია, აგრეთვე, რომ ოლქში ჯერ არ სწარმოებს ფართლეულის ორმაგ ფასებში გაყიდვა.

რაც შეეხება საკვებ პროდუქტების ბაზარს, აქაც ადგილი აქვს მთელ რიგ დეფექტებს. ჩარჩ-ვაჭრები აშინებენ გლეხებს, რომ ქალაქში თითქოს აკრძალული იყოს გლეხების მიერ სურსათ-სანოვაგის გაყიდვა.

ზოგიერთი ორგანიზაციების უპასუხისმგებლო მუშაკები ხშირად მართლაც უკრძალავენ გლეხებს თავიანთ ნაწარმოების ქალაქში ჩამოტანას. ადგილი აქვს ძალადობასაც.

თათბირმა დაადგინა გადიდებულ იქნას განსაკუთრებული ფონდის ფართლეულის ორმაგ ფასებში გამსაღებელი სავაჭროების რიცხვი, განსაკუთრებით გარეუბნებში.

დაევალოს ცეკავშირს ორმაგ ფასიან ფართლეულით ვაჭრობა შემოიღოს ოლქში არსებულ კოოპერატივებში. რაც საშუალებას მისცემს გლეხებს თავი დააღწიონ სპეკულიანტებს და იმავე დროს ადგილობრივ შეიძინონ მათთვის საჭირო ფართლეული.

სავაჭროების მომწესრიგებელ განყოფილებას დაევალა ენერგიული ზომები მიიღოს სპეკულიანტების წინააღმდეგ და ამ მიზნით გააძლიეროს მეთვალყურეობა ფართლეულის ბაზარზე.

სასტიკი ზომები იქნება აგრეთვე მიღებული იმათ წინააღმდეგაც, რომლებიც აწარმოებენ საკვებ პროდუქტების გადაყიდვას, ხოლო გლეხებს ხელს უშლიან უშუალოდ გამოიტანონ ბაზარზე თავიანთი ნაწარმოები (რძის პროდუქტები, ბოსტნეული, კვერცხი, ფქვილი, ხორბალი და სხვ.).

ვაჭარ-გადამყიდველები გარდა იმისა, რომ დაიბეგრებიან როგორც უპატენტოთ მოვაჭრენი, იმავე დროს პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი.

ფარულად დაკლულ საქონლის ხორცით და მისი პროდუქტებით ვაჭრობა აკრძალულია.

თბილისის მუშკოოპში

საშაქარლამო ნაწარმოები

თბილისის მუშკოოპმა „ზაკსოიუზი"-დან მიიღო ცნობა, რომ მისის ნორმის გარეშე, თბილისის მუშკოოპისათვის გამოყოფილია 19 ტონა საშაქარლამო ნაწარმოები ერთმაგ ფასებში, ხოლო 16 ტონა ორმაგ ფასებში.

ბურღულის განაწილება

„სოიუზხლებ"-მა მიიღო ბურღულის დიდი პარტია, რომელიც გაუნაწილდება თბილისის კოოპერატივებს.

ფართალი ორმაგ ფასებში

მუშკოოპმა მიიღო ფართლეულის დიდი პარტია. მიღებული ფართლეული გაიყიდება სპეციალურად გახსნილ მაღაზიებში ყველა მომხმარებლებზე გადიდებულ ფასებში.

თევზი

თბ. მუშკოოპი ყოველდღიურად ღებულობს 40—50 ფუთ ნედლ თევზს და 2—3 ვაგონს გაყინულ თევზს, რომელიც ნაწილდება კოოპერატიულ სავაჭროებს შორის.

კურსები

მუშკოოპი ხსნის კოოპკომისიების წევრებისა და რწმუნებულებისათვის გადასამზადებელ კურსებს. მოკლე ხანში გაიხსნება აგრეთვე სადუქნო კომისიების წევრთა გადასამზადებელი კურსები.

პურის ქარხნის ამუშავება

„პირველ მაისიდან ამუშავდება მუშკოოპის პურის საცხობი ქარხანა, რომელიც ყოველდღიურად გამოაცხობს 3.000 ფუთ პურს.

სასამართლო

14 ათას მანეთის გამფლანგველი

ლიუქსემბურგის რაიონის სახალხო სასამართლომ ამხ. კასუმოვის თავმჯდომარეობით საჯაროდ გაასამართლა ადგილობრივ საბჭოთა აფთიაქის ყოფილი გამგე ისაი გრიგოლისძე დომბა.

როგორც ვსწერდით, ისაი დომბა მთელი ოთხი წლის განმავლობაში სისტემატიურად ფლანგავდა სახაზინო ფულებს და ისე ოსტატურად სჩადიოდა ამას, რომ რევიზიის დროს ყოველთვის „ალალ-მართალი" გამოდიოდა.

გასულ წელს ფარდა აეხადა ყველაფერს და მსუნაგი დომბა დააპატიმრეს.

როგორც წინასწარი გამოკვლევით, ისე სასამართლო ძიებით დადასტურდა, რომ აფთიაქის გამგეს გამდიდრების წყაროდ ჰქონდა გადაქცეული საბჭოთა აფთიაქი და ამ ხნის განმავლობაში გაუფლანგავს 14.000 მანეთამდე.

დომბას მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 8 წლით სასტიკი იზოლიაციით და სასჯელის მოხდის შემდეგ სამოქალაქო უფლებების აყრა 3 წლის ვადით. მსჯავრდადებულს დაეკისრა გაფლანგულ თანხის ანაზღაურება.

ამ საქმის გამო პასუხისგებაში იყო მიცემული აგრეთვე სახმედვაჭრობის ინსტრუქტორ-რევიზორი იოსებ იაკობისძე გაბუნია, რომელსაც ბრალად ედებოდა რევიზიის ზერელედ მოხდენა.

გაბუნიას არ დაუმტკიცდა წაყენებული ბრალდება და იგი სასამართლომ გაამართლა.

—:—

კაგაროვს ბრალდება მოეხსნა

როგორც ვსწერდით, თბილისის მეორე უბნის სახალხო სასამართლოს მიერ გასამართლებულ იქნა მოქ. სოლომონ კაგაროვი, რომელსაც ბრალდებოდა მევახშეობა. კაგაროვს სასამართლომ მიუსაჯა ორი წლით თავისუფლების აღკვეთა.

უბნის სასამართლოს განაჩენი კასაციის წესით განიხილა უზენაესმა სასამართლომ, რომელმაც ვერ ჰპოვა კაგაროვის მოქმედებაში სისხლის სამართლის ხასიათის დანაშაული და საქმე მოსპო.

ბერ.

შემთხვევები

ტრამვაის მსხვერპლნი

რკინის გზის სადგურთან ტრამვაის ვაგონმა № 12, რომელსაც მართავდა ვატმანი ნიკოლაიშვილი, გაიტანა მცირეწლოვანი აბდულ სალიმ სიდიკ-ოღლი. დასახიჩრებული გადაიგზავნა საავადმყოფოში.—რიყის ქუჩაზე ტრამვაის ვაგონი დაეჯახა ყარაშვილის ურემს და დაამსხვრია. დაშავდა ცალი ხარი. ადამიანის მსხვერპლი არ ყოფილა.

შეპყრობა

ჯიბგირობისათვის დააპატიმრეს მირზა მირზოევი (უბინაო).—ქურდობისათვის შეიპყრეს მცირეწლოვანი ისაკ სუმბათისძე მარქაროვი.

ქურდობა

ლულუ ბადალევსკის ბინიდან ევდოკია ანტონის ასულ კოსტენკომ მოიპარა 300 მანეთის ნივთები და მიიმალა. —გატეხეს რკინის გზის მე-8 სკოლა, საიდანაც წაღებულია სხვადასხვა სასკოლო ნივთები.

ჯიბგირობა

აბანოში კლავდია პაშიჩენკოს მოპარეს ტანისამოსი.—თავისუფლების მოედანზე მუშკოოპის მაღაზიაში მარგო გედევანიშვილს ჯიბიდან ამოაცალეს 75 მ.

რკინისგზებზე

62.675 მან. საქარხნო-საფაბრიკო სკოლის გასაფართოებლად

ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობას მიეცა 62.675 მანეთი თბილისში საქარხნო-საფაბრიკო სკოლის გასაფართოვებლად.

ამ თანხიდან 52.475 მანეთი დაიხარჯება სკოლასთან ორთქლმავლების საშუალო შეკეთების სახელოსნოს აშენებაზე და 10.200 მანეთი—სკოლის ახალ სახელოსნოს, საკლასო ოთახების და საერთო საცხოვრებლის მოსაწყობად.

ხე-ტყის მასალების გადაზიდვის გაძლიერება

სააღმშენებლო სეზონის დადგომის გამო, რკინის გზაზე გაძლიერდა ხე-ტყის მასალების გადაზიდვა. ხე-ტყის მასალების გადაზიდვის საქმეში შეფერხების თავიდან აცილების მიზნით ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობას მიცემული აქვს წინადადება, დიდ სადგურებზე, საიდანაც იგზავნება ხე-ტყე, მუშაობა იწარმოონ განუწყვეტლივ მთელი დღე-ღამის განმავლობაში.

თურქესტან-ციმბირის გზაზე

უმუშევარ რკინისგზელებს, რომლებიც მათი სურვილის თანახმად გაიგზავნებიან სამუშაოდ თურქესტან-ციმბირის ახლად გაყვანილ გზაზე მიეცემათ ავანსად სამგზავრო ფული იმ ჯამაგირის ანგარიშში, რომელიც მათ დაენიშნებათ ახალ სამსახურის ადგილზე.

მაგარი სასმელებით ვაჭრობის აკრძალვა

ამიერ-კავკასიის მთავრობის დადგენილების თანახმად, ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობამ გამოსცა ბრძანება, რომლის თანახმად, რკინის გზის სადგურების ბუფეტებში და გზის მახლობელ რაიონებში იკრძალება მაგარი სასმელებით ვაჭრობა.

ნებადართულია მხოლოდ ლუდის და 14 გრადუსამდე სიმაგრის ღვინით ვაჭრობა.

100.000 მანეთი პ[illegible]იკური განათლებისათვის

ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობამ მიიღო 100.000 მანეთი გზაზე პროფტექნიკური განათლების საქმის გასაძლიერებლად.

რადიო-გადაცემა

პარასკევი, 18 აპრილი

დღეს, დილის 9 საათიდან 10 ს. 30 წ. საქ. პროფსაბჭოს კულტსექტორის ინიციატივით ეწყობა „მუშათა შუადღე"-ს გადაცემა. პროგრამაშია—ახალი ამბები და კონცერტი.

საღამოს 10 კილოვატიანი რადიო-სადგურის საშუალებით გადაცემულ იქნება:

17 ს. — 17 ს. 55 წუთამდე—მუსიკა ნასადილევს; რეკლამების გადაცემა რადიოთი. 18 ს.—18 ს. 40 წ.—რადიო-გაზეთი, ქართულ ენაზე. 18 ს.—40 წ.—19 ს. 10 წ.—გაზ. „ენი კენდი" რადიოთი, თურქულ ენაზე. 19 ს. 10 წ.—19 ს. 35 წუთამდე—საუბარი: „ეკლესია და ოქტომბრის რევოლუცია", ქართულ ენაზე. 19 ს. 35 წ.—20 საათამდე—პიონერისა და მოსწავლის საათი, რუსულ ენაზე; დროის შემოწმება და გეოფიზიკური ობსერვატორიის ცნობების გადაცემა. 20 ს.—20 ს. 20 წ.—საუბარი ანტირელიგიურ თემაზე: „ჯვარის წარმოშობის საკითხი", რუსულ ენაზე. 20 ს. 20 წ.—21 საათამდე—რადიო-გაზეთი, რუსულ ენაზე. 21 საათიდან—22 საათამდე— მუსიკის გადაცემა გრამოფონით. 22 ს.—24 საათამდე — კონცერტის გადაცემა სრულიად საკავშირო ქსელით; კონცერტის თემაა: ქართული და სომხური მუსიკა. უკანასკნელი ცნობები.

პარტიული კალენდარი

საქ. კომპ. (ბ) თბილისის საოლქო კომიტეტის პარტმუშაობის ცენტრალური კაბინეტი იუწყება, რომ ანტისააღდგომო კამპანიის შესახებ კონსულტაცია კაბინეთში შესდგება, რუსულ ენაზე 20 აპრილს, სომხურ ენაზე 24 აპრილს, თურქულ ენაზე 21 აპრილს და ქართულ ენაზე 19 აპრილს, კონსულტაციის დასაწყისი საღამოს 6 საათზე. კაბინეტი სთხოვს კონსულტაციაზე გაგზავნონ პარტიული და კომკავშირის აქტივი და ულერთოთა წრეების ბიუროს წევრები.

—:—

საქ. ლენ. კომკავშირის თბ. საოლქო კომიტეტის საკონფლიქტო კომისიის სხდომა შესდგება დღეს, საღამოს 6 საათზე. კომკავშირის თბ. საოლქო კომიტეტის საკონფლიქტო კომისიის წევრების და ამხ. ზ. წერეთლის, გ. დავითაიას, ლ. არხიპანდის, გ. სოფრომაძის, ა. ტიგიშვილის, ვ. კოხრეიძის, გ. ფანცულაიას დასწრება სავალდებულოა.

დღეს, საღამოს 6 საათზე მოწვეულია სახ. უნივ. სოციალ-ეკონომიური ფაკულტეტის კომუჯრედის წევრთა და კანდიდატთა დახურული კრება. დღის წესრიგი: ბიუროს ანგარიში და გადარჩევა.

დღეს, დილის 11 საათზე ბიურო-კოლექტივში მოწვეულია სახელმ. უნივ. სოციალ-ეკონ. ფაკულტეტის კომუჯრედის ბიუროს სხდომა, გარდა ბიუროს წევრებისა სხდომას უნდა დაესწრონ ამხ. ი. ბარამიძე, ი. ბერიშვილი, დინიბეგოვი, კომახიძე დ., მარგალიტაძე შ., სახუაძე, სოსელია გ., სიხარულიძე შ., ჯინჭარაძე ნ., ფრუიძე გ., ჭურიძე მატ., ფურცელაძე ალ., ჩიგოგიძე ვას., ხუციბერიძე გალ., ჯავახაძე ქრ., ჯაში გ.

ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრი 1929—30 წ. სეზონი

პარასკევს, 18 აპრილს, მე-3 აბონემ. მე-15 წარმ. მოსკოვის დიდი თეატრის პრემიერის დ. დ. გოლოვინის მონაწილეობით დემონი

შაბათს, 19 აპრილს, საქართველოს პროფკავშირთა მიზნობრივი წარმოდგენა ბილეთებს ანაწილებენ კავშირები, ქეთო და კოტე მე-3 აქტში მონაწილეობენ მ. ტ. სემიონოვა და ვ. ა. სემიონოვი.

კვირას, 20 აპრილს, აბონემენტის გარეშე პრემიერა ა. ი. ფალავას ახალი დადგმა აბესალომ და ეთერი ბილეთები იყიდება.

ნ. 622

აპოლო 1-ლი სეანსის დასაწყისი 5 ს. 50 წ. — პოლა ნეგრი ახალ მხატვრულ სურათში [illegible]

რ. ლიუქსემბურგის (ყოფ. მინიონი) — ოპიუმი

სოლეი 1-ლი სეანსის დასაწყისი 5 ს. 50 წ. — უცხოეთის მხატვრული სურათი ბიძია თომას ქოხი ბიჩერ-სტოუს ცნობილი რომანის მიხედვით

ამ დღეებში ახალი ფილმი „ი უ დ ა"

პალასი 1-ლი სეანსის დასაწყისი 6 ს. 15 წ. — პრემიერა ცეცხლის ტრანსპორტი ქსენია კლიაროს, გ. კუზნეცოვის მონაწ.

სპარტაკი (ყოფ. არფასტო) — მხატვრული ფილმი დამსხვრეული ღმერთები რეჟისორი — ლემბერგი

დარბაზი 1-ლი სეანსის დასაწყისი 6 ს. 15 წ. — მარჩელა ალბანი და ვერნერ კრაუსი სურათში კულისებს იქით

დღეიდან, 18 აპრილიდან

კინო-სპარტაკში (ყოფ. არფასტო)

ახალი მხატვრული სურათი დამსხვრეულ ღმერთებ! რეჟ. ლემბერგი

რ. ლუქსემბურგის სახ. კინოში (ყოფ. მინიონი)

მხატვრული ფილმი ოპიუმი რეჟისორი [illegible]

ს. ს. განათ. კომის. ნებართვით თვითგანვითარებისთვის და საშემოდ. გამოცდებისათვის

ვამზადებ მოწაფეებს

7 წლ. და 10 წლედ. დამთავრებულებს სპეც-ტეხნიკუმში: ინდუს. რ. ქიმიურ. ფარმაც. და უმაღლეს სასწავლებელში მუშათა ფაკულ. 1 და 2 კურს. და მუშათა უნივერსიტ. შესასვლელად, შემდეგ საგნებში: არითმეტ. ალგებ. გეომ. ტრიგონომ. ფიზიკაში, რუსულსა და გერმანულ ენაში, ვასწორებ ჩამორჩენილ და სუსტს მოწაფეებსაც. შესდგება 2 ჯგუფი დილის და საღამოს ჯგუფში 10 კაცი. ნახვა და ჩაწერა 1—7 საათამდის. მისამართი: კარლ მარქსის მოედნის ახლოს (ყოფ. ვორონცოვის მოედანი) პლეხანოვის და ალექსის ქუჩის კუთხე № 5.

ინვალ. კოოპერატიული ნადი „ოქტომბერი" ღებულობს დაკვეთას გამბის და მატყლის გაწმენდაზე. პლეხანოვის გამზირი № 31 ტელ. 25-17. ნ. 649 2—1

ელექტრო შუქით თმის მკურნალობის და სამკურნალო კოსმეტიკის კაბინეტი ექ. ნატალია გიორგის ას. კონტოროვიჩისა გადავიდა ძერჟინსკის ქუჩაზე № 9 (ყოფილი პეტრე დიდის). მიღება დილის 11—3 და საღამოს 6—8 საათამდე. 25—1

ოლქფინგანის სააუქციონო კამერა აცხადებს, რომ ა/წ. 20 აპრილს, დღის 12 საათზე, ხაზინის ქ. № 3 (ყოფ. ხაზინის შენობაში), დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ოლქფინგანისადმი დავალიანების ასანაზღაურებლად გაიყიდება: როიალი, პიანინო, ბუფეტები, შიფონერკები, და სხვა საოჯახო ნივთები. საჯარო ვაჭრობა იწარმოებს დღის 12 საათიდან საღამოს 7 საათამდე. მსურველებს შეუძლიათ წინასწარ დაათვალიერონ ნივთები. ნ. 645

საქ. მიწსახკომი ამით აცხადებს, რომ მიმდინარე წლის 20 აპრილს დილის 10 საათზე მიწათმოწყობის სამმართველოს სამხაზველოში, ტრიბუნალის ქუჩა № 32 (ყოფ. სასამართლოს ქ.) დანიშნულია საჯარო ვაჭრობა 100 სავსე ქოლგების მოსამზადებლათ. პირობების გაგება შეიძლება იმავე სამხაზველოს ხაწყობში ამხ. ინიაშვილთან, დილის 10 საათიდან 3 საათამდე. 2169

ცხადდება ყველა სახელმწიფო, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ დაწესებულებისა და ორგანიზაციების საყურადღებოთ, რომ ტფილისის ლიმონათისა და სხვა ხელოვნური წყლების ქარხანა ყოფ. მიტროფანე ლალიძისა მიმდინარე წლის 13/IV-დან გადავიდა ტფ. ოლქ. აღმასკ. „ადმრეწვგანის" ტრესტი „ტფილსოფმრეწვის" სრულ საკუთრება-განკარგულებაში. ქარხანა მუშაობს მიტროფანე ლალიძის უშუალო ხელმძღვანელობით. ვთხოვთ ყველა დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს ყოველ გვარი ცნობების მისაღებად და ქარხნის ნაწარმის დასაკვეთად (გარდა წვრილი დაკვეთებისა) მიმართონ მხოლოდ „ტფილსოფმრეწვს". ქ. ტფილ. ა/კ. ფედერაციის (ყოფ. ველიამინოვის ქ, № 2. ტელეფონი № 13-05. ნ. 1133 „ტფილსოფმრეწვი"-ს სამმართველო.

სოფ. მარტყოფის სასოფლო-სამეურნეო საკრ. ამხ-ბის რეორგანიზაციის გამო

ყველა დაწესებულება—ორგანიზაციებს, ვისაც კი ჰქონდა საქმიანი ურთიერთობა მარტყოფის საკრედიტო ამხ-ბასთან, დღიდან გაზეთში გამოქვეყნებისა 15 დღის განმავლობაში უნდა წარმოადგინონ ყოველგვარი პრეტენზიები.

ამ ვადის გახვლის შემდეგ არავითარი პრეტენზიები მიღებული არ იქნება.

ნ 2141 გამგეობა.

სიღნაღის რაიონის სასამართლოს და საქობოს საკრედიტო ამხანაგობის აღმასრულებელი ნ. სელეზნიშვილი

აცხადებს, რომ 30 აპრილს დღის 12 საათზე, დაბა ლაგოდეხში საჯარო ვაჭრობით იყიდება ხილის ბაღში უძრავი ქონება ქვიტკირის სახლი ერთი საცხოვრებელი ოთახით თავისი სამზარეულოთი, სახლის ქვეშ სარდაფი და გვერდზე გომური თავისი კარ-მიდამოთი, კუთვნილი ტიგრან სიმონის ძე ოთაროვისა, საქობოს საკრედიტო ამხანაგობის ვალის დასაფარავათ, თანახმათ სიღნაღის სახალხო მოსამართლის აღმასრულებელი ფურცლებისა 4/V 1927 წ. № 547 და 2/VIII 1927 წ. № 1011.

გასასყიდი შენობა შეფასებულია 500 მან. ყველა საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მიმღები მოვალეა დაიცვას სამ. საპ. კოდ. 311 და 312 მუხ. ნ. 646

თბილისის მუშათა თეატრი (ყოფ. ს ხალ. სახლი)

ჭიათურის მუშათა 1-ლი თეატრის გასტროლები

აპრილს 18—19 ვ. გაბესკირია- ზღვაური.
„ 20—21 ს. მანშიაშვილი პროტექცია.
„ 22—23 ია ეკალაძე ზეინკალი
„ 24 25 აფინოგენოვ—„მგლის ბილეთი".

სამხატვრო ნაწილის გამგე-რეჟისორი—პავლე ფრანგიშვილი. ბილეთების ფასი 2 მ-დან 30 კ-მდე. დასაწყ. საღ. სრულ 8-ნახ. ს. 2104 3—2 თეატრის დირექტორი ბიტოლი ლეჟავა.

სამოქ. სამ. საპრ. კოდ. 306 მუხ. თანახმად თბილისის მე-4 უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ა. გიორგაძე

ამით აცხადებს, რომ 1930 წ. 24 აპრილს დღის 11 საათზე, ქალ. თბილისში კლ. ცეტკინის ქუჩაზე № 17 სახლში საჯარო ვაჭრობით გაჰყიდის მოქ. გრიგოლ კაჟახიძის მოძრავ ქონებას: ხალიჩებს, თეფშებს, სხვადასხვა ჭურჭლეულობას, მაგიდას, შირმას, დანა-ჩანგალს და სხვა ნივთებს. ქონება შეფასებულია 705 მან. 80 კაპ. და გაიყიდება „ზაკტპოს" პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად, თანახმად ქუთაისის მ/ქალაქის სასამართლოსაგან 1928 წ. 3/V № 2108-ით გაცემული აღმასრულებელი ფურცლისა. 2152

ქვემოდ ჩამოთვლილი დოკუმენტები

(დაკარგული და მოპარული) ჩაითვალოს გაუქმებულათ.

- — მუშკოოპის წიგნაკი № 83124 სანდრო ჩიქოვანის სახელზე. 2165
- — კომკავშირის უნივერსიტეტის სასწავლებლის მოწმობა (პირადი) და ოსოავიაქიმის წიგნაკი ვალოდია ვარდიაშვილის სახელზე. 2153
- — პარტკანდიდატობის მანდატი № 19286 და ა.ლ.კ.კ. საწევრო მანდატი № 57370 ალიოშა ბუაჩიძის სახელზე. 2154
- — მეტრიკული ამონაწერი ვახტანგი ანანიაშვილის სახელზე. 2148
- — ლომბარდის ქვითარი № 115447. 2137
- — პასპორტი გრიგორი ეგორის-ძე მოსიაშვილის სახელზე. 2135
- — პირადობის მოწმობა და სამხედრო აღრიცხვის ბარათი—ივლიანე ხვინგიას სახელზე. 2130
- — მეტრიკული ამონაწერი № 5071 ალექსი დაბრუნდაშვილის სახ. 2129
- — კავშირის წიგნაკი № 2470 და საანგარიშო წიგნაკი № 186 ვიქტორ გოცირიძის სახელზე. 2165
- — პურის წიგნაკი „ბ" ვლადიმერ ბულუსაშვილის სახელზე. 2173
- — კავშ. წიგნაკი № 13/37200, პირადობის მოწმობა № 1007 აბრამ ლიპარტიის სახელზე. 2150
- — სამხედრო წიგნაკი ლევანტი ვაჩეიშვილის სახელზე. 2150
- — პროფკავშირის წიგნაკი № 6001 მარო სოლომონის ასული ბერიძეს სახელზე. 1263

გულდათუთქული დედა ოლღა, მამა ერმილე, დები: ელენა და ეთერი, ბიძები: დავით და გიორგი ეპიტაშვილები, დეიდები ნინო თაზიშვილი და თამარა მირიანაშვილი იუწყებიან, რომ დღეს, 5 საათზე, კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი

შალვა ერმილეს-ძე ტურაბელიძის

ხსოვნის აღსანიშნავად. 2142

დამწუხრებულნი მეუღლე ეკატერინე ანდრონიკაშვილისა, ვაჟი დიმიტრი, ქალები: ნინა ლაზარევისა ქმრით, ელისაბედ მალიევისა ქმრით და შვილებით, ბარბარე ფურცელაძისა შვილებით და რძალი ნადეჟდა ანდრონიკაშვილი შვილებით იუწყებიან მათი ძვირფასი

მალხაზ არჩილის ძე ანდრონიკაშვილის

გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს, ბინიდან გრიბოედოვის ქუჩა, № 22, 4 ნახ. საათზე. დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე. 2147

ტასია ივანეს ასული, მარო და კატო დიმიტრის ასულნი, აგრაფინა იოსების ასული, ვერა ნიკოლოზის ასული და ალექსანდრე დიმიტრის ძე არაბიძენი აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს თავიანთი საყვარელი სიძის

ილარიონ იოსების ძე ლემონჯავას

გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს, 18 აპრილს, ქალაქის მეორე საავადმყოფოს პროზექტურიდან (კამოს ქუჩა № 103) ნაშუადღევის 4 საათზე. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. (ს)

ა.-კ. ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოს მუშა-მოსამსახურეები მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას დაუვიწყარი ამხანაგის

ილარიონ იოსების-ძე ლემონჯავას

გარდაცვალებას. გამოსვენება 18 აპრილს, 4 საათზე ქალაქის მეორე საავადმყოფოს პროზექტურიდან (კამოს ქ. № 103) კუკიის სასაფლაოზე. 2161

დედა ნინო, დები ელენა და მ რო, სიძე შალვა ცინცაძე და დისშვილი იოსებ ცინცაძე აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ დღეს, 18 აპრილს, საღამოს 5 საათზე, დიდუბის პანთეონში გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი

პროფ. ანდრია მიხეილის-ძე რაზმაძის

ხსოვნის აღსანიშნავად. 2080

თბ. სახ. უნივერსიტეტის მათემატიკური დარგის მე 4 კურსის სტუდენტები აუწყებენ საზოგადოებას, რომ დღეს 18 აპრილს, საღამოს 5 საათზე, დიდუბის პანთეონში გადახდილ იქნება სამოქ. პანაშვიდი

პროფ. ანდრია მიხეილის-ძე რაზმაძის

ხსოვნის აღსანიშნავათ. 2081

თავზარდაცემულნი: მეუღლე ელენე, მამა, შვილი ვახტანგი, ძმები: იაკობ, ანტონ და ვასილ, რძლები: მარიამი, ნინო და სოფია აუწყებენ ნათესავთ, ამხანაგთ და ნაცნობთ ძვირფას

გორია იოსების-ძე ლითანიშვილის

უეცრად გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი დღეს. 6 საათზე, ფოთის ქუჩა № 12, (დიდუბე) ცხედრის გად სვენება ორჯონიკიძის სახელ. კლუბში დღეს 2 საათზ. კლუბიდან გასვენება დღის 4 საათ. დაკრძალვა ხუდადოვის ტყეში, ძმათა სასაფლაოზე. 2124 2—2

საზ. „წერა-კითხვა"-ს ცენტრალური გამგეობა იუწყება, რომ 15 აპრილს, ღამით ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საზ. „წერა-კითხვა"-ს ცენტრალური გამგეობის პრეზიდიუმის წევრი

ამხ. გორის იოსების-ძე ლითანიშვილი

2174

საზ. „წერა-კითხვა"-ს თბილისის საოლქო გამგეობა იუწყება, რომ 15 აპრილს, ღამით ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საზ. „წერა-კითხვა"-ს ცენტრალურ გამგეობის პრეზიდიუმის წევრი

ამხ. გორის იოსების-ძე ლითანიშვილი

2174

საზ. „წერა-კითხვა"-ს თბილისის ლენრაისაბჭო იუწყება, რომ 15 აპრილს, ღამით ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ამავე საბჭოს თავმჯდომარე

ამხ. გორის იოსების-ძე ლითანიშვილი

2174

პლეხანოვის სახ. კლუბის გამგეობა და კლუბის მუშა მოსამსახურეები აუწყებენ საზოგადოებას, რომ 15 აპრილს, ღამით უეცრად გარდაიცვალა რკ. გზ. უბკავშირის ენერგიული და დაუღალავი კულტმუშაკი

გორია ლითანიშვილი

2125 2—2

სახკინმრეწვის გამქირავებელ განყოფილების თანამშრომლები და კინო-თეატრების გამგეები აუწყებენ ნაცნობთ და მეგობართ მათი ძვირფასი მეგობრის ანტონ ლითანიშვილის ძმის

გორია ლითანიშვილის

უეცარ გარდაცვალებას. ნ. 642

სადგ. ნავთლუღის გაერთიანებული ადგილკომი და რკ. გზის ამხ. მამია ორახელაშვილის სახელობის მუშათა კლუბის გამგეობა ღრმა მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას, რომ 15 აპრილს ღამით უეცრად გარდაიცვალა რკ. გზის თბილისის უბკავშირის, ენერგიით სავსე კულტმუშაკი

ამხ. გორია ლითანიშვილი

დაკრძალვა დღეს, 4 საათ. გამოსვენება ამხ. ორჯონიკიძის სახ. კლუბიდან, დასაფლავება ხუდადოვის ტყეში, ძმათა სასაფლაოზე. 2171

რუსთაველის სახელობის 1-ლი სახელმწიფო თეატრის რეჟისურა, დასი, ადმინისტრაცია და ტეხნიკური პერსონალი აუწყებს საზოგადოებას

გორია ლითანიშვილის

გარდაცვალებას. ნ. 647

პლეხანოვის სახელობის კლუბთან არსებული ქართული დრამწრე გულის ტკივილით აუწყებს საზოგადოებას საყვარელ და ენერგიულ კულტ-მუშაკის

გორია ლითანიშვილის

უდროოდ გარდაცვალებას. 2134

რკ. გზ. პროფკავშირის თბილისის უბკავშირთან და საქ. ჯანსახკომთან არსებული ქართული სანგიტთეატრის მუშაკნი მწუხარებით იუწყებიან, რომ უეცრად გარდაიცვალა უბკავშირის ინსტრუქტორი, ენერგიული კულტმუშაკი და თეატრის მეგობარი

ამხ. გორია ლითანიშვილი

დასაფლავება დღეს, 18 აპრილს. 2163

ამხ. ს. ორჯონიკიძის სახ. მუშათა კლუბის მუშა-მოსამსახურეები აუწყებენ საზოგადოებას, რომ 15 აპრილს, ღამით უეცრათ გარდაიცვალა ამავე კლუბის ყოფილი ინსტრუქტორი და ენერგიული მუშაკი

გორია ლითანიშვილი

გამოსვენება მოხდება ამხ. ს. ორჯონიკიძის სახ. კლუბიდან 18 აპრილს, 4 საათზე. 2160

ამხ. ს. ორჯონიკიძის სახ. კლუბის გამგეობა აუწყებს საზოგადოებას, რომ 15 აპრილს, ღამის 11 საათზე უეცრათ გარდაიცვალა კლუბის გამგეობის წევრი, ენერგიული და დაუღალავი კულტ-მუშაკი

გორია ლითანიშვილი

ცხედრის გამოსვენება მოხდება ამხ. ს. ორჯონ. სახ. კლუბიდან ა. წ. 18 აპრილს, 4 საათზე. 2158

რკინის გზელთა პროფკავშირის თბილისის საუბნო კომიტეტის პრეზიდიუმი მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ 15 აპრილს, ღამის 11 საათზე უეცრათ გარდაიცვალა კულტსექტორის დაუღალავი მუშაკი ამხანაგი

გორია ლითანიშვილი

ცხედრის გამოსვენება მოხდება ამხ. ს. ორჯონიკიძის სახ. კლუბიდან 18 აპრილს, 4 საათზე. 2157

გულითადი მეგობრები: ლევან გუნია, ზაქარია ნასყიდაშვილი, მელიტონ ჩხეიძე, შალვა ჩალაური, კონსტანტინე არზიანი, გრიგოლი სანადირაძე, ვანო დედანიშვილი, დავით სავანელი, ნიკოლოზ ბუაჩიძე და გრიშა ლიანოზოვი ულრმეს მწუხარებას გამოსთქვამენ მათთვის ძვირფას და დაუვიწყარ მეგობრის

გორის იოსების-ძე ლითანიშვილის

უდროოდ დაკარგვის გამო. 2156

ს.კ.პ. (ბ) თბ. ორგანიზაციის ლენრაიკომი იუწყება, რომ ქალაქ თბილისში, 15 აპრილს, მოულოდნელად გარდაიცვალა კომპარტიის წევრი, თბილისის საუბნო კომიტეტის კულტგანყოფილების ერთგული და დაუღალავი მუშაკი

ამხ. გორის იოსების-ძე ლითანიშვილი

2143

ორჯონიკიძის სახ. კლუბთან არსებული ქართული დრამატიული წრე და მომღერალთა გუნდი ულრმეს მწუხარებას გამოსთქვამს კულტ. მომუშავის

ამხ. გორია ლითანიშვილის

გარდაცვალების გამო. 2133

რკინის გზელ უმუშევართა კოლექტივი „რკინისგზელი" მწუხარებით აუწყებს ყველა ნაცნობ-მეგობართ, რომ 15 აპრილს ღამით უეცრად გარდაიცვალა დაუღალავი მუშაკი და საუკეთესო ამხანაგი

გორია ლითანიშვილი

2131

ზაკკოსტორგის თანამშრომლები: ბაიდაშვილი კოლია, ჯაფარიძე ალექსანდრე, შანშიაშვილი ალექსანდრე, ბოლქვაძე სერგო, კოპრეიძე გიორგი, ქადეიშვილი ვანიჩკა, გოჩიტაშვილი ნიკოლოზი და დოლიძე ნოე მწუხარეობით აუწყებენ საზოგადოებას მათთვის ძვირფასი ამხანაგის და მეგობრის

გორია (ბაგრატ) იოსების-ძე ლითანიშვილის

უდროოთ გარდაცვალებას. გასვენება ბინიდან (ფოთის ქ. № 12) დღეს, 4 საათზე. 2120

თბილისის სახელმწიფო ოპერის დირექცია მწუხარებით იუწყება ოპერის სამხატვრო პოლიტიკური საბჭოს პრეზიდიუმის წევრის და ენერგიული კულტმუშაკის

გორია ლითანიშვილის

უდროოდ გარდაცვალებას. ნ. 652

სადგ. გურჯაანის კლუბის გამგეობა და კლუბთან არსებულ წრეების წევრები ღრმა მწუხარებით აუწყებენ კლუბის წევრებს სად. გურჯაანის კლუბის ყოფ. გამგის და ამჟამად თბილისის უბნის რკ. გზის პროფკავშირის ინსტრუქტორის, დაუღალავ კულტ. მუშაკის

გორია იოსების-ძე ლითანიშვილის

მოულოდნელად დაკარგვას. 2128

ღრმათ დამწუხრებულნი სად. გურჯაანის რკ. გზის მუშათა კლუბის დრამატიული წრის წევრები: ნ. სავიცკაია, პ. რამიშვილი, ე. კარბელაშვილი, ქ. ეგაძე, ზ. ტყეშელაშვილი, ა. ნერსესოვა, შ. ჩაგუნავა, კ. ჭანკვეტაძე, გ. ასათიანი, ი. ჩიმლაძე, ს. ბაშინჯაღოვი, ვ. ხარიტონიშვილი, ს. მელიქიძე, ლ. სტურუა, დ. მათიაშვილი, პ. თავაძე, ვ. ლორიაშვილი, ი. თევდორაშვილი, ვ. მატინოვი, კ. ციხისთავი ამით აუწყებენ ნაცნობებს და მეგობრებს მათთვის ძვირფას ამხანაგის და ხელმძღვანელის

გორია ლითანიშვილის

უდროოდ გარდაცვალებას. 2128

სად. გურჯაანის კლუბთან არსებული ქალთა წრე განუსაზღვრელ მწუხარებას გამოსთქვამს ძვირფას

გორია ლითანიშვილის

უდროოდ დაკარგვის გამო. 2128

სად. გურჯაანის ს. ობოლაძის სახელობის მუშათა კლუბის გამგეობის წევრები: ვ. შოვნაძე, კ. მაისურაძე, გ. გარსევანოვი, მ. მებაღიშვილი, შ. გაჩეჩილაძე, ი. გასიტაშვილი, ვ. ციტაიშვილი, ნ. მარკოზაშვილისა, ს. აბაზოვი, ი. გურაშვილი, დ. ფურცელაძე, ი. გვერდწითელი, გ. მედულაშვილი, ს. ხვედელიანი, ხ. ოსიპოვა და ს. მგალობლიშვილი იუწყებიან

გორია იოსების-ძე ლითანიშვილის

უდროოდ დაკარგვას. 2128

სად. გურჯაანის კომუჯრედი, ადგილკომი და მუშა-მოსამსახურეები ულრმეს მწუხარებით აუწყებენ პროფკავშირის წევრებს სად. გურჯაანის კლუბის ყოფ. გამგის და ამჟამად თბილისის უბნის რკ. გზის პროფკავშირის ინსტრუქტორის, დაუღალავი მუშაკის

გორია იოსების-ძე ლითანიშვილის

დაკარგვას. 2128

თავზარდაცემულნი სიძე გაბრიელი, დისშვილები ნიკოლოზ, თამარა, ალექსანდრე, ლიზა მღებრიშვილები, თამარა, პეტრე და ელენე სუფრთელაძეები აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს

გორია იოსების-ძე ლითანიშვილის

უეცრად გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს, 2 საათზე, ფოთის ქ. № 12, ორჯონიკიძის სახ. კლუბში, იქიდან 4 საათზე, ხუდადოვის ძმათა სასაფლაოზე. 2166

ღრმად დამწუხრებულნი დეიდები: ეფემია კანდინოვისა, მარია ფაფაზაშვილისა და დეიდაშვილები: ვერა ლომთაძისა, სუსანა მაჭარაშვილისა, მარგო სუმბათაშვილისა, სონია ინაშვილისა, მარია იუზბაშოვისა, ნინა კოტარიასი ქმრებით და ევგენია ფაფაზაშვილი აუწყებენ

გორია ლითანიშვილის

უეცრათ გარდაცვალებას. 2167

მახლობელი მეგობრები: ნინო მირიანაშვილი, ალექსანდრე, ნიკოლოზ, კონსტანტინე (კოტე), ნინო და ლიდია ხირსელები მწუხარებით იუწყებიან ძვირფას, დაუვიწყარ და სიცოცხლით სავსე იშვიათ მეგობრის

გორია იოსების-ძე ლითანიშვილის

უდროოდ დაკარგვას. 2132

ანა და იამა ფანიაშვილები, მარიამ ფანიაშვილისა, კოტე და გოგია მეუღლეებით, ნინა და თამარი დიამონდოპულო, კალიოპა მეუღლით ემელიანე გოგინავეები, მწუხარებით იუწყებიან მათთვის ძვირფას სიძის და ქვისლის

გორია იოსების-ძე ლითანიშვილის

გარდაცვალებას. 2155

ამხ.-ბი: გ. კეკელია, ს. მაჭავარიანი, დ. წიეწივაძე, ბ. მუმლაძე, გ. წილოსანი, თ. ბერიძე, ა. ჩხეიძე და ვიკ. ნინიძე მწუხარებით აუწყებენ მეგობრებს, რომ ა. წ. 15 აპრ. ღამის 11 ს. გარდაიცვალა გულწრფელი ამხანაგი

გორის ლითანიშვილი

გამოსვენება მოხდება ამხ. ს. ორჯონიკიძის სახ. კლუბიდან დღეს, 18 აპრილს, 4 საათზე. დაკრძალვა ხუდადოვის ტყეში, ძმათა სასაფლაოზე. 2159

ღრმად დაწუხრებული გრიშა ბარამიძე თავისი შვილებით: რეზიკოთი და ანზორით აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ თავისი ძვირფასი მეუღლის და ერთად-ერთი მეგობრის

გოგუცი (ნატალია) გიორგის ასულ ქავთარაძე-ბარამიძის

უდროოდ გარდაცვალებას სოფ. საგ რეჯოში. 2127

თავზარდაცემულნი მშობლები: ვერა და კოწია, ძმები არჩილი და ავთანდილი, ბიცოლა ჩვდითი, მამიდა ელისაბედი და ბიძები ბეჟანი, ყარამანი, ნიკო, პეტრე, გიგო, ვასო და ადიკო აბდუშელიშვილები იუწყებიან მათთვის დაუვიწყარ

თინა კონსტანტინეს ასულ აბდუშელიშვილის

ტრაღიკულად გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს, 2 საათზე, მთავარ საავადმყოფოს (ყოფ. მიხეილის სახელობის) პროზექტურიდან ვერის ახალ სასაფლაოზე. 2168

ულაზღვრო მწუხარებაში მყოფნი ბიძია და ბიცოლა ნიკოლოზი და სონა მაჭავარიანები, ბიძაშვილები: ლევანი, ტასო, ქეთინო, ოლია, ელენე და ვარუშა; სიძეები: გიორგი აოჩვაძე, ვასო კულულაშვილი და აკაკი ქარცივაძე მწუხარებით იუწყებიან დაუვიწყარ

თინა კონსტანტინეს ასულ აბდუშელიშვილის

ტრაღიკულად გარდაცვალებას. 2149

დღეს ვეთხოვებით სიცოცხლით სავსე ტრაღიკულად დაღუპულ

თინიკო აბდუშელიშვილის

ცხედარს, რასაც ვაუწყებთ მისი უახლოესი მეგობრები: რიმა, კაკი. სულიკო ჯაფარიძეები, მარო დოლაბერიძე, სონია, თამარი კობიაშვილები. 2146

დამწუხრებულნი ბიცოლები: ივლიტა, ოლღა და მარგალიტა, ბიძაშვილები: დომინიკა, მარგო, ლიზიკო, დოდო, მაყვალა, გივი და იოსები, ბიძები: ტერენტი, ქ იხოსრო და გალაკტიონ ქავთარაძეები იუწყებიან მათთვის დაუვიწყარ

თინა კონსტანტინეს ასულ აბდუშელიშვილის

ტრაღიკულად გარდაცვალებას. 2168

ღრმათ და წუხრებულნი მახლობელი მეგობრები: დ. გოლეთიანი, ბ. ჩხიკვაძე, ი. თულაშვილი, მ. ჩერქეზიშვილი, ს. დემჩინსკი, კ. მოდებაძე აუწყებენ საზოგადოებას მათთვის დაუვიწყარ მეგობრის

თინიკო კონსტანტინეს ასულ აბდუშელიშვილის

ტრაღიკულად გარდაცვალებას. 2151

ცხარე ცრემლით დავსტირით უახლოესი მეგობრები ნინა ჯედევანიშვილი, ანიკო მაჭავარიანი და თამარა წანეიშვილი, რომ 14 აპრილს ტრაღიკულად დაიღუპა მათი გულითადი მეგობარი

თ ი ნ ი კ ო

2136

მე-14 შრ. სკოლის მოწაფეობა გამოუთქმელი მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას იშვიათი ამხანაგის

თინა აბდუშელიშვილის

ტრაღიკულ გარდაცვალებას. 2140

მე-14 შრომის სკოლის პედაგოგიური საბჭო ღრმა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას ამავე სკოლის მე-10 ჯგუფის მოწაფის

თინა აბდუშელიშვილის

ტრაღიკულ გარდაცვალებას. 2139

თავზარდაცემულნი მშობლები: სერგო და ვარინკა, ბაბუა სარიდანი, ბებია ეგრასტი, პროფესორი გიორგი ახვლედიანი, ქეთუკი, ვალიკო, თალიკო, პასიკო, კაკი, პაშა, ლიუბა, ფაცაცა ახვლედიანები, პეტრე ქვანია, პარმენ გაბიძაშვილი და მელანია დადიანი აუწყებენ საყვარელი

ლამარა ახვლედიანის

უდროოდ დაკარგვას. გამოსვენება თბ. 1-ლ საავადმყ. პროზექ. (ყოფ. არამ.) 4-ნახ. საათზე, დღეს, 18 აპრილს. დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე. 2122

გულდათუთქულნი დეი მადონა და ლალი; ბიძაშვილები: ელიკო, ნიია, მეგი, ვალერი, ნოდარი და სარიდანი ახვლედიანები; მამიდაშვილები ატუნია და ბესიკი ქვანიები და თეიმურაზი გაბიძაშვილი დასტირიან უეცრად დაღუპულ

ლამარა ახვლედიანს

122

დამწუხრებულნი ალექსანდრე და ელენე ბახუტაშვილები თავისი ახლობელი ნათესავებით: გუკასაშვილებით, ვაჩნაძეებით, შანშიაშვილებით, მარიხაშვილებით და ეპიტაშვილებით იუწყებიან მათი ძვირფასი შვილის

პატარა მ ა ყ ვ ა ლ ა ს

გარდაცვალებას. გამოსვენება შაბათს, 19 აპრილს, 4 საათზე და 30 წ. ქალ. 1-ლ საავადმყოფოდან (ყოფ. არამიანცისა). დაკრძალვა პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. 2173

გაუბედურებული დედა კესარია წერეთლისა, გულმოკლული შვილები: გოგუცა (შუშანიკა), ნინა პატარა ავთანდილით, დათიკო მეუღლე ოლიათი, კოწია და ჯულიეტა ფარნაოზის ასულნი და ძენი ქავთარაძეები, სიძეები ლაზარე შურღაია და ვასო დონდუა იუწყებიან მოამაგე დედის

ოლღა დავითის ასულ წერეთელ-ქავთარაძის

გარდაცვალებას. სამოქალ. პანაშვიდი დღეს, 7 საათზე, ბინაზე, სამრეცხაოს შეს. № 3 (მ ქვევრი ქუჩის ბოლოს), გასვენება ბინიდან სოფ. ივაწმინდაში შაბათს, 19 აპრილს 4-ნახ. საათზე. ნ. 649

ღრმად დამწუხრებულნი დები: ანიკო ხელაშვილი, ოლა კუპრაშვილი, მატრონა ჯალიაშვილი შვილებით და შვილი ელენე ჯანიკაშვილი შვილებით აუწყებენ საზოგადოებას

ნინო ივანეს ასულ ჯანიკაშვილის

გარდაცვალებას. გამოსვენება ბაქრაძის შეს. № 8. დაკრძალვა დღეს, 4 ს., ვერის ახალ სასაფლაოზე. 2138

გულდამწვარი ივანე ილიას ძე შაიშმელაშვილი დედით, შვილებით და მამიდით იუწყებიან, რომ შაბათს, 19 აპრ. 3 ს., სოფ. მაღარაში, (სიღნაღის რაიონი) დანიშნულია სამოქ. პანაშვიდი დაუვიწყარ ძმის

გიორგი ილიას-ძე

საყვარელ მეუღლის **ნინა ივანეს ასულის**

და ერთადერთ ვაჟიშვილის სტუდენტ **კოტე ივანეს-ძე**

შაიშმელაშვილების

ხსოვნის აღსანიშნავად. 2144

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე გერასიმე შელიძე, ქალიშვილი ვერა, სიძე ერმილე ჩიგოგიძე, შვილიშვილები: ლილი და ლია აუწყებთ ნათესავთ და მეგობრებს, რომ ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

სალომე როსტომის ასული ბახტაძე-შველიძისა

რომლის დაკრძალვა მოხდება ქლ. ხონში, სოფ. ქარჩხაბის სასაფლაოზე, შაბათ, 19 აპრილს, დღის 4 საათზე. ნ. 641

[illegible] სტამბა, კამოს ქუჩა № 68. მთავლიტი № 904